

652
1985/2

ISSN 0134 3459

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

ქრონიკა

39/9
6522

1985



4

ქოროსი

გამოცემის

972

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საპარტეზლოს მფარველთა კავშირისა და აკადრის განყოფილების ორგანო

ა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
ა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
ღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

4

1985

ივლისი
აგვისტო



გ ა თ უ მ ი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია, პროზა

ფრიდონ ხალვაში. ახალი წიგნი- დან. ლექსები	3
შოთა ზოიძე. აჭარული ესკიზები	5
იაშა თანდილავა. ლექსები	18
ალექსანდრე ლორია. კანდელა. მო- თხრობა (დასასრული)	21
ამირან ხაბაზი. მესხური ციკლი- დან. ლექსები	31
რევაზ ოსეფაიშვილი. ჩემი ღუმე- ლი შენი განაჩენია. რომანის ფრაგმენტები	33
ლალა თოთაძე. ლექსები	41
ჯემალ სურმანიძე. ლექსები	42

სკკპ XXVII ყრილობის შეასახვედრად

ჯემალ ხოფერია. კაცი და საქმე. ნარკვევი	43
---	----

აკადრის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა



რაც დავიწყებით არ იბინდება

ალექსანდრე პაქსაძე. მინიატურები 49
 მადონა სიზარულიძე. ამბავი ერთი
 ქალიშვილისა 51
 მერაბ დონდოლაძე. ხალხი არ
 ივიწყებს 52

ჯეჯილი

დავით კონცელიძე. ლექსები 54
 იოსებ სანიკიძე. ლექსები. 54

კვალი ნათელი.

რამაზ სურმანიძე. ღვაწლი აბდულ
 მიქელაძისა. გაგრძელება 55

წერილები

შოთა ქურდიძე. ჩვენი მასწავლე-
 ბლები 62
 ზურაბ კომახიძე. ვეტერანები 68
 ოთარ ფუტყარაძე. ვალმოხდილი 71

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლიანა უგულავა. ეპოქის ვრცელი
 პანორამა 73
 გელა ზაქარიაძე. რწმენა სიყვა-
 რულისა 79

მედუზა

ვლადიმერ დარჩია. მე-მაჟორ სე-
 რენადა. 85
 გასულ ორ თვეში 86

**მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია**

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
 გიორგი გაჩეჩილაძე,
 ზურაბ გორგილაძე,
 მამია ვარშანიძე
 (პასუხისმგებელი მდივანი)
 შოთა ზოიძე,
 დავით თედორაძე,
 გიორგი სალუჟაძე,
 ჯემალ ქათამაძე,
 ალექსანდრე ჩხაიძე,
 ფრიდონ ხალვაში,
 დავით ხახუტაიშვილი,
 ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუ-
 მი, ენგელსის ქ. № 21. ტელ.
 3-33-71.



გადაეცა წარმოებას 10. 6. 85, ხელმოწე-
 რილია დასაბეჭდად 28. 6. 85, საბეჭდი
 თაბახი 5,5, საგამომცემლო 4,8, შეკვეთის
 № 2140, ემ 01540, ქაღალდის ზომა
 60X90^{1/16}, ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
 პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
 ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აპარის
 ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
 თიანება, ბათუმი ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-
 ской ССР по делам издательств,
 полиграфии и книжной торговли,
 Полиграфическое производственное
 объединение Аджарской АССР
 Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი დ ა ნ

დაბადების 60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივანს ფრიდონ ხალვაშს.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ფ. ხალვაში დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

„ჭოროხის“ რედაქციისა და მკითხველთა სახელით ვულოცავთ პოეტს ღირსსახსოვარ თარიღს და ვბეჭდავთ მის ახალ ლექსებს.

მუკაჯირის დაბრუნება

მტკვართან ჩაფენილ ჭალაში
წელით შუბლი რომ გაისველა,
დაიმუხლა და ალაპი
ამ ცის ლოცვაში ახსენა.
ფოჩიან ფესის მაგიერ
თავზე ეხურა სვანური,
მექა-მედინას მაგიერ
მცხეთა იხილა მაღალი
და ქართლის დღე საამური.
ნალოცმა, ნასაუბარმა
ფეხით ამოვლა ირჩია,
ჯერე იქ შედგა ცოტათი,
საცა არსენა-ბიჭია.
მტკვარს და ხეობას ამოჰყვა,
ბაგეს დიოდა „ამინი“,
გული კი იმეორებდა:

— მე სხვა სამშობლო არ მინდა!
— ღვინო?
— ცოდვაა... — ელოდა
თრობას მამულის ტაროსით.
სამშობლოს სადღეგრძელოდა
დალევდა მხოლოდ წყაროსა.

ყავარზე — წვიმა,
ბუხარში — ცეცხლი.
კალათში — ზღმარტლი,
კარდალში — ხსენი...
იმედი, რომ მას ვერავინ
შეცვლის,
არის ჩემი და ამ სახლის
მხსენლი.

ქ. სარკ. შატაშვილი
გ. ჯ. ნესეშვილი
გ. ჯ. ნესეშვილი

ჩემთვის შენ ხარ მთავარი, —
ჩემი გულის წამალი,
შენთვის ვეხზე დამდგარა
ჩემი საწერკალამი.
დამღევს ჯარი სიტყვათა
და ყოველი მათგანი
მოხოვს: საყვარლის საქები
ჩემით იყოს ნათქვამი.
მთის წვერი და ზღვის ყურე
იმნაირად მიყურებს,
თითქოს მეუბნებიან:
ერთგულებად გვიგულე.
მე კი შენ გეუბნები,
ჩემო თავისუფლებავ,
ერთგულ სიყვარულამდე
მიმიყვანე უვნებლად.
აჰ, გაკმდილ კიბეებს

ცეკვით ამოირბენენ
შენი შმაგი ფეხები,
ვამება ამ კარებს
შენი ხელის შეხება
და მორჩილად იღება.
შენი მშვენიერება
ისევ მომეფერება,
მებატება მხნეობა.
მკლავს ევ მარტოქალობა,
შენი უბინაობა,
შენი ხელმოკლეობა.
შენ სხვაგვარად ჩემი ხარ,
შენ ყველას მიჩვენიხარ, —
ყმაწვილობა ბრუნდება.
თითქოს აღარ დამდება,
თვით ბუნებაც ღრმავდება
და სული იკურნება.



კარგო, დღეს შენი
 ღამისფერი თვალების ტყვე ვარ,
 ეს დღე ორმაგად გამითენა
 მაგ ღამის ფერმა.
 ასე ნათელი ჯერ სიშავე
 არ მინახია,
 მზისგან ნასროლი
 სირმის ბადე
 ისე გახია,
 და ჩემთა ფიქრთა სარკმელები
 ისე შეაღო,
 რომ მე ვეღარ ვცნობ —
 დღე ესაა
 თუ დღე შენა ხარ.

აჭარა ესკიზები

წ ა მ ა ლ ი

„შენ ცუდი ბიჭი ხარ, შენ შეეყვარებული გათხოვდეს, შენ არ გაიზარო, მალე ავად გახდეს, შენ წყალში არ დაიხრჩო, ყელის კიბო დაგეშობო და დაიხრჩო. მე მარნიელი ყველაფერი იცის... მოიტა ფული. ყველაფერი გითხრა შენი ბედი...“

ბოშა ქალის ეს სიტყვები სწორედ მაშინ გამახსენდა, როცა ონკოლოგიური საავადმყოფოს პოლიკლინიკის ყელ-ყურის განყოფილებას მოსადგელში ვიდექი და ექიმის გამოძახებას ველოდებოდი.

უცნაურიც კია. დაახლოებით თხუთმეტი წლის წინანდელი შემთხვევა საიდან ამოტივტივდა ჩემი მეხსიერების ზედაპირზე. მე მაშინ სამხედრო სამსახური მოვიხადე და სახლში ვბრუნდებოდი. ის ბოშა ქალიც სამტრედიასი მოსკოვ-ბათუმის მატარებელში ამოლასლასდა. წითელარმიელის ფარაჯა მეცვა და ვაგონის სარკმელთან ვიდექი. მომიახლოვდა, ხელისგული გამომიწოდა და... შემდეგ ყველაფერი ისე როგორც ზემოთ ეთქვი. ახლა კი, ექიმთან ვიდრე ჩემი შესვლის ჯერი არ დამდგარა, ვფიქრობ იმ ბოშა ქალზე, რომელიც გაწბილებული დამშორდა, რადგან ვერ ამწყანა მის გუნებაში ჩათქმული თუმნიანი; კიდევ გამკენწლა გულში, იქნებ სჯობდა დამეკმაყოფილებინა მისი გულისწადილი, მაგრამ ახლა ყველაფერი გვიანდა.

ჩემი ჯერიც დადგა. არ ვიცი, სიფრთხილით თუ შიშით შევაღე კარი. ვიწრო ოთახში, ასე თხუთმეტი კვადრატული მეტრი თუ იქნებოდა, უხერხულად ელაგა რამდენიმე სკამი და ორი მაგიდა. ორივეს სანდომიანი ქალი უჯდა, ერთი ასე ორმოცდაათს მიტანებული, ხოლო მეორე ოცდა-თხუთმეტი წლისა. ჩემდაუნებურად რატომღაც ხანდაზმული ქალისაკენ გავეშარდე. მან კი ხელით მანიშნა, იქით დაბრძანდითო.

ექიმმა ჯერ ვინაობა გამომკითხა, ანკეტა შემივსო და თავი ასწია, თითქოს ახლა შემომხედა.

— რა გაწუხებთ?

ყველაფერი დალაგებით ავუხსენი, რაც და როგორც მაწუხებდა. ეუ-
თხარი, რომ უკვე მესამეჯერ შემაძსენა თავი, ადრე ყურადღებას არ ვაქ-
ცევდი, მეგონა, გაცივების ბრალი იყო და ფარინგოსეპტის ტაბლეტებს
ვღებულობდი, რაც მშველოდა კიდეც, ახლა კი საგრძნობლად გამირთულ-
და. მაწუხებს ყელის სიმშრალე, გულმკერდის არეში, კისერსა და ხერხე-
მალში ვგრძნობ ტკივილებს...

ექიმმა გულმოდგინედ გამსინჯა. შემდეგ ინსტრუმენტები მაგიდაზე
დადო და დაჯდა.

— სიგარეტს თუ ეწევით?

— არა.

— სასმელებს თუ ეტანებით?

— კი.

— აუცილებელია ლაბორატორიული გამოკვლევა, უნდა დანევთ სა-
ავადმყოფოში. ანალიზებს აგიღებთ, რენტგენზე გაგაშუქებთ, ეზოფაგოს-
კოპით გაგსინჯავთ და ყველაფერი ნათელი იქნება! — ისე მშვიდად მით-
ხრა, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ საგანგაშო არაფერი იყო.

იმავე დღესვე მომათავსეს საავადმყოფოში, მეორე სართულის მეცხ-
რე პალატაში. ოთახი საკმაოდ დიდი. ერთმანეთზე მიჯრით ეწყო ცამეტი
რეინის საწოლი, თითო ზის ტაბურეტი და ტუმბა, ავადმყოფები საკუჭ-
ნაოდ რომ იყვნებენ. მეცხრე პალატაში თერთმეტი ავადმყოფი დამხვდა.
მე მეთორმეტე ვიყავი. ჩემი საწოლი ზედ კარებთან იდგა და როცა ღია
იყო, გრძელ დერეფანში ამკვლელსა და ჩამკვლელს ჩემდაუნებურად ვუძ-
ხერდი.

საბედნიეროდ, პალატაში მძიმე ავადმყოფი არავინ დამხვედრია.
აკი გამამხნევებს კიდეცაც, უთუოდ გაგიმართლათ. ერთი თვის უკან
თქვენს საწოლზე ისეთი მძიმე ავადმყოფი იყო, მისი შემყურენი, ცოლით
ვიწვლითო. მერედა, სად წავიდა-მეთქი, უნდა მეკითხა, მაგრამ დროზე
დავადგი კბილი ენას.

— ასე ორმოცდათხუთმეტის იყო. ყელის სიმსივნე ჰქონდა. მძიმე
ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ ვაი ასეთ გადატანას, სამი თვის შემდეგ
დაიხარჯა, ჩვენს თვალწინ სანთელივით დაილია. მას შემდეგ, ავერ, კაი
ხანი გამოხდა და მხოლოდ თქვენ შემოგვემატეთ. ექიმები კარგი ვეყავს,
თავზე გვევლებიან... აქედან რომ გავალთ, მათი პატივისცემა ჩვენ ვიცით,
— მიყვებოდნენ ყველანი ერთად და ცალ-ცალკე.

როცა პირველად შემიყვანეს პალატაში, თითქმის ყურადღება არავის
მოუქცევია, ზოგი კროსვორდს ჩასჩინებდა, ზოგიც ღომინოთი იყო გარ-
თული. ერთ-ორს ეძინა.

პალატაში ყველაზე უმცროსი ოცდასამი წლის მურთაზ ფევაძე აქვს სწორედ მან მიცნო პირველად. სხვა ავადმყოფები ჩემი ვინაობით არც დაინტერესებულან. მურთაზი გამოემელაპარაკა — თქვენ მხატვარი ნიაზ ზარზმელი უნდა იყოთ, შარშან თქვენი გამოფენა ვნახე. მოწაფეობის ჟამს მეც ვიყავი ხატვით გატაცებული, მაგრამ შემდეგ გული ამიცრუვდა, არ მეყო საამისო ბუნებრივი ნიჭიო.

ერთი შეხედვით, ავადმყოფები თავს მხნედ და ლაღად გრძნობდნენ. ხანდახან უჩაბბელი შოთა დევადე თუ წუხდა. მისთვის რომ გეკითხა, გაცივების ნიადაგზე სველი პლევრიტი გაუჩნდა. შებინდებოდა თუ არა, საწოლში აწრიალდებოდა, მუცლის არეში ტკივილები უმატებდა, თანდათანობით ღონე ეცლებოდა და ილეოდა.

ყველა მათგანი ამბობდა, რომ ონკოლოგიურში შემთხვევით იყო, რომ სულ სხვა რამ აწუხებდა, ზოგს რა და ზოგს რა. როცა რომელიმე პალატიდან გავიდოდა, იმ წამსვე წამჩურჩულებდნენ — მაგ საწყალს სიმისენე აქვს და არ იცისო. ასე და ამგვარად თერთმეტივეს ერთი და იგივე დიაგნოზი ჰქონდა. მათ თვალში ჯერჯერობით მე ვიყავი გამოცანა. ყოველ შემთხვევაში, მეც ასე მეგონა, ვიდრე ჩემი ყურით არ გავიგონე მათი საუბარი. ერთხელ, როცა მნახველები გავაცილე და პალატაში შევბრუნდი, ქედელი ფიქრი გორაძე და ჩოხატაურელი მალაქია მინდაძე, ექიმი სვეტლანა პეტროვნა ხუმრობით მალაკოს რომ ეძახოდა, ღომინოს თამაშით ისე იყვნენ გატაცებულნი, ჩემი თავი არცაი შეუმჩნევიათ. მე საწოლს მივაშურე და ზეწარი გადავიფარე. ფიქრი და მალაქია თამაშს რომ მორჩნენ, რატომღაც საუბარი ჩემზე ჩამოაგდეს.

— ეს ჩვენი მხატვარი კაი გაზრდილი ბიჭი ჩანს, — თქვა მალაქიამ.

— მაი კია სწორი, მაგ საწყალს თურმე ყელის კიბო დაუდგინეს ექიმებმა, — გაეპასუხა ფიქრი გორაძე.

მართალია, ჩემი გამოკვლევა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და მკურნალი ექიმი ყელის ქრონიკულ ანთებას ვარაუდობდა, მაგრამ გულში მაინც გამეკენწლა. ხმა არ ამომიღია. ვიყავი ჩემთვის ჩუმად. თურმე, სიჩუმეშიც შეიძლება უდიდესი ხმაური. გულის ისეთი ბაგი-ბუგი დამეწყო, მეგონა, მკერდს გამოანგრევდა. ათასნაირმა ფიქრმა გამიელვა თავში. ერთი პირი ისიც კი გავიფიქრე, გავიპარები რამდენიმე საათით და ენციკლოპედიებს გადავქექავ, ყველაფერს გავიგებ ყელის კიბოს შესახებ-მეთქი. ამ ფიქრში ვიყავი, როცა პალატაში შემოვიდა ქობულეთელი მურად ინაიშვილი და ერთი ცნობილი კაცის გარდაცვალება გვაუწყა.

ყველანი, ვინც კი ვიყავით პალატაში, წუთიერად ფეხზე წამოვდექით.

— ასეა, შვილებო, — განაგრძო მან, — სიკვდილი ყველას ათანასწორებს.

ნახევარი საათი ისე გავიდა, არცერთს ხმა არ ამოგვიღია.

სიჩუმე ისევ მურად ბიძიამ დაარღვია. იგი ოთხმოცს მიტანებული კაცი იყო და ყველანი ასე ვეძახოდით.

— ამხელა კაცს ექიმობას და წამლობას ვინ დააკლებდა, მაგრამ ხომ ხედავთ, დრო მოვიდა!

მურად ბიძიამ ეს ბოლო სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს საკუთარ ასაკს გაუსვა ხაზი.

— ისე, კაცმა რომ თქვას, — განაგრძო მან. — გულდასაწყვეტი არაფერი მაქვს, ავიც მინახავს და კარგიც. ომშიც მიცხოვრია და მშვიდობაშიც. სირცხვილი არსად მიჭამია. კაი შვილები დავზარდე, არაფერში ვემდური, ყურადღებას და მზრუნველობას არ მაკლებენ, ხომ ხედავთ, ყველაღლე მაკითხავენ. მთელს ქობულეთში პირველი მანქანა მე ჩამოვიყვანე, ჯერ „მოსკვიჩი“, მერე „პობელა“, მერე „ვოლგა“ და კიდო ახალი „ვოლგა“. ახლა ოჯახში ორი „ვოლგა“ გვაქვს, ასეა შვილებო, შრომაც მიყვარდა და ცხოვრებაც. კაცმა რომ თქვას, თურმე ჯანმრთელობაზე გემრიელი რამე არ არის ქვეყანაზე. ნეტაი, ეს ჭირი არ გამჩენოდა და იმის ნახევარიც ნუ მქონოდა რაც მაქვს.

ყვებოდა მურად ბიძია აღსარებასავით და ჩვენც ყველანი სმენად ვიყავით ქცეულნი.

უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც აქ ვარ და მხოლოდ მურად ბიძიასგან გავიგონე, რომ კუჭის კიბო აწუხებდა. ისიც მითხრეს, რომ სიკვდილით აქ არაიენ კვდება. როცა ექიმები შეატყობენ, რომ საქმე ვერაა კარგად, ავადმყოფის ჭირისუფალს ეტყვიან, თქვენი ავადმყოფი თავს უკეთ გრძნობს, ჯობია ცოტა ხნით სახლში წაიყვანოთ, იქნებ გარემოს გამოცვლა მოუხდესო.

წამი წამს მისდევდა, წუთი-წუთს, საათი — საათს, ღამდებოდა და თენდებოდა, მოდიოდნენ მნახველები ხორავით სავსე ცელოფანის პარკებით ხელდაჰმძიმებულნი, ნაძალადევი ღიმილითა და ასევე ნაძალადევი იმედიათი განწყობილებით, მოდიოდნენ უნუგეშოდ და ფარული ცრემლებით.

ხანდახან სხვა პალატებიდანაც შემოგვეხმდებოდნენ, ხან ხილი შემოჰქონდათ, ხან ჯოკერის სათამაშოდ გვიწვევდნენ.

მოკლე დროში თორმეტი სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა ბუნების, სხვადასხვა შესაძლებლობის ადამიანი გარემოებამ ისე შეგვაკავშირა, თითქოს ერთმანეთის ნათესავეები ვიყავით, თითქოს წაიშალა ის ბარიერი, უცხო ადამიანებს შორის რომ აღიმართება ხოლმე.

სახელდახელო სადილს რომ შევექცეოდით, მურთაზმა მითხრა:

— ვიდაც ლენინგრადელი ექიმი ყოფილა ჩამოსული დასასვენებლად. ძალიან აქებენ. თქვენ ხომ არაფერი გსმენიათ მისი ასავალ-დასავალის შესახებ?

— შეიძლება მართლაც იყოს ვინმე, ეგ მე არ ვიცი, მაგრამ ჩვენი ბა-
ღრი ექიმი რომაა, ისეთი სპეციალისტი ლენინგრადშიც კი ძნელად მოი-
ძებნება, — ვუპასუხე მე და მანგოს წვენი დავისხი.

ამ საუბარში მურთაზის დედა წაგვადგა თავს. ჯერ შეილი ჩაიხუტა
გულში, მასთან ალერსით გული იჯერა და შემდეგ სათითაოდ გამოგვკით-
ხა ჯანმრთელობის ამბავი.

მურთაზის დედა ასე ორმოცდაათს მიტანებული ქალი იყო, თითქმის
ყოველდღე მოდიოდა შვილის სანახავად. ასაკთან შედარებით მოტეხილი
ჩანდა. მეტად დარბაისლური იერი და ძალიან კეთილი გამომეტყველება
ჰქონდა. ყველანი ძალიან შეეწვრვიეთ. მოფერებით ფერიდე-ხანუმს ვეძახ-
დით.

როცა მოსალამოვდებოდა, ვიტყოდით, საცაა ფერიდე-ხანუმი გამოჩნ-
დება ცხელ-ცხელი ხატაპურებითა და ამბებით ხელდამშვენებული.

მე ახლაც არ ვიცი, იცოდა თუ არა ფერიდე-ხანუმმა მურთაზის დია-
გნოზი. თავად მურთაზს სჯეროდა, რომ კუჭის წყლული აწუხებდა.

ერთხელ, გამომშვიდობებისას, ფერიდე-ხანუმმა დაგვიბარა, მომავა-
ლი კვირიდან აქ არ გნახოთ, ავადმყოფობის არაფერი გეტყობათ, თქვენ-
თქვენს ცოლ-შვილს მიაშურეთ, მეც ჩემი ბიჭი სახლში უნდა წავიყვა-
ნოო. ჩვენს შორის თუ ვინმე მართლაც არ ჰგავდა ავადმყოფს, ეს მუ-
რთაზი იყო.

იმ ღამით გვიან ჩამეძინა. უმაღლ სიზმრებმა წამიღო. რა კოშმარი
არ ვნახე. ჯერ იყო ღა, ბონდის ხიდზე გავდიოდი. ხიდი იმოდენა იყო,
მეორე მხარეს თვალს ვერ ვუწვდენდი. ბონდის ქვეშ შავი მდინარე მია-
გორებდა უზარმაზარ ტალღებს. მესამედიც არ მქონდა გავლილი და ხი-
დმა რწევა დაიწყო, შემდეგ საქანელასავით შეირყა და ირგვლივ ყველა-
ფერი დატრიალდა... მურთაზის ხმა მომწვდა, უკან გამობრუნდი, თავი არ
დაიღუპოო... შემდეგ მე და მურთაზი ბაზარში აღმოვჩნდით. მიღეთის
ხალხი ირეოდა ერთმანეთში. მურთაზს ვითომ სამხატვრო აკადემია დაე-
სთაურებინა. მოსაწვევი ბარათი გადმომცა, ორ დღეში ჩემი ვერნისაჟი
გაიხსნებაო. სიხარულით ფრთები გამომესხა. აბა, შენ იცი, როგორ გამო-
გვჩენ და გვასახელებ-მეთქი.

მეორე დღით ცუდ გუნებაზე გამომეღვიძა. დანა პირს არ მიხსნი-
და, ყელი გამიშრა და წყურვილი მახრჩობდა. უმაღლ ექიმს ვუხმე. სა-
თანადო პროცედურების შემდეგ შეება ვიგრძენი. როგორც კი სული მო-
ვითქე, სიზმრის სიუჟეტი აილანდა თვალწინ. მურთაზს გავხედე. კნე-
ხოდა და საწოლში ტრიალებდა. თორმეტ საათზე გულის რევა და ღებო-
ხება დაეწყო. ფერიდე-ხანუმიც უმაღლ იქ გაჩნდა. მალე მამამისიც მოვიდა,
მოვიდნენ და-ძმებიც. ის ღამე დედამისმა შვილის სასთუმალთან გაათე-
ნა, ზოლო მეორე დღით, ექიმის რჩევით, მურთაზი სახლში წაიყვანეს.

— ისევ თერთმეტი დავრჩით, — ამოიოხრა შოთა დევამემ.

— ერთი კაი მწვრთნელი რომ გვყავდეს, ფეხბურთელთა გუნდი ვართ, — ნაძალადევი ხუმრობით თქვა მაღაქიამ.

— კაი მწვრთნელი ეგერ იყოს და კაი ექიმი კი მოგვიზღება, — თქვა თევრათ ირემამემ, რომელიც, საერთოდ, ცოტას ლაპარაკობდა და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გაუცინია.

მეორე დღეს ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩვენს პალატაში ფერიდე-ხანუმი შემოვიდა თავისი დიდი კალათით.

— მურთაზი ძალიან ცუდად არის. ღამით ნემსი გავუკეთეთ და ცოტა ჩაეძინა. თქვენს სახელებს აბოდებდა. ღმერთმა შეილი გადამირჩინოს და თქვენ სანამ არ გამოჯანმრთელდებით და სახლში არ წახვალთ, ყოველდღე უნდა გინახულოთ. ახლა მაპატიეთ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ.

ფერიდე ხანუმმა კალათიდან ნაირ-ნაირი ხილი, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, ჭყინტი ყველი, მოხარშული დედალი ამოალაგა და გამოგვემშვიდობა.

— აფერუმ შენს ქალობას! — აღმოხდა მურად ინაიშვილს, რომელიც ბოლო დროს, საერთოდ, ცოტას ლაპარაკობდა. გვეტყოდა, ხომ იცით მოხუცებული კაცის გული, ოსმალების ამბავისა არ იყოს, ვინ იცის, რამდენჯერ მოგიყვებით ერთი და იგივეო.

გადიოდა დღეები. ფერიდე-ხანუმი ყოველდღე თორმეტ საათზე ჩვენს პალატაში დაცლიდა თავის კალათს, მურთაზის ამბავს გვეტყოდა და გაუჩინარდებოდა. თვალსა და ხელს შუა თითო დღეში თითქმის თითო წელი ემატებოდა, სანდომიანი შუბლი თითქოს დაედარა კიდეც. ყოველთვის ცდილობდა მურთაზის მდგომარეობა ისე ეთქვა ჩვენთვის, რომ გული არ გაგვტეხოდა, რწმენა არ წაგვრთმეოდა და ხელი არ ჩაგვექნია.

დრო კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ. მაინც ჩქარა ჩაიარა ექვსმა დღემ მურთაზის წაყვანის შემდეგ. ექვსჯერ შემოგვიტანა ფერიდე ხანუმმა წამალივით რწმენა და იმედი და ექვსჯერ დაიცალა მეცხრე პალატაში მისი ნოეს კილობანივით გრძნეული კალათი, ასე გათენდა მეშვიდე დღე. იგი ერთი ჩვეულებრივი რიგითი დღე იყო ჩვენთვის. ექიმის შემოვლა, წამლები და პროცედურები, საუზმე, ღმინო, ჯოკერი, ანეკდოტები, მნახველები, უამრავი მომსვლელ-წამსვლელი. მიუხედავად ამისა, მაინც რაღაცით განსხვავებული და არაჩვეულებრივი, თითქოს რაღაც გვაკლდა, ვლაპარაკობდით და ვერ ვლაპარაკობდით, ვიცინოდით და სიცილი არ იყო. ესადილობდით და არაფერს გემო არ ჰქონდა, ვცდილობდით დამინებას და ვერ ვიძინებდით. ყველანი ჩვენ-ჩვენს საწოლში ვწრიალებდით, მოსვენება გვინდოდა და ვერ ვისვენებდით, საშველს ვეძებდით და ვერ ვპოულობდით.

ასე, საათის სამი თუ იქნებოდა. მურად ბიძიამ რამდენჯერმე მხარი

მოიცვალა, მაგრამ საწოლში ვერ მოისვენა. წამოდგა, ფოსტლებში დაეძინა. კნარი ფეხები ჩარგო, თავისი ცხვირკაუჭა ჯოხი მოზიდა, მკლავებით დაეყრდნო, უფრო სწორად დაეკიდა.

— მურად ბიძია, ხომ არაფერი გჭირდება? — შევეხმიანე და ბალიშში ჩარგული ცხვირ-პირი მაღლა აეწიე.

— არა, შეილო, არაფერი მჭირდება. ანდა, რა უნდა მჭირდებოდეს?!

— ტკივილები ხომ არ გაწუხებთ?

— მაწუხებს, რაღა არ მაწუხებს.

— ტკივილი ყველას გვაწუხებს, მურად ბიძია, აბა, ისე აქ რა მოგვიყვანდა, მაგრამ დღეს მაინც რაღაც სხვა გუნებაზე ხართ.

— არ მომწონს მე აგი ამბავი და იმიტომ ვარ ასე!

— რა ამბავი?

— ის ამბავი, შეილო, რომ დღეს ფერიდე-ხანუმი ვერ მოვიდა ჩვენთან.

ელდა მეცა: „ჰო, მართლა!“ — წამოვიძახე არაადამიანური ხმით და საწოლიდან ისე წამოვხტი, თითქოს ზამბარამ ამტყორცნა.

— მე უკვე ერთი საათია ვფიქრობ მაგაზე, მაგრამ გამხელა ვერ გავბედე, — თქვა თევრათ ირემამემე. — თურმე ცოცხალ ადამიანს კაცი ვერ გეიმეტებ ისე, — დაიწყო თავისი ღინჯი ზემოაჭარული კილოთი.

ყველანი სასოწარკვეთამ მოგვიცვა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, თურმე, არცერთმა არ ვიცოდით მურთაზის სოფელი, ანდა რომ გვცოდნოდა, რა შეგვეძლო.

ის დღე ისე დაღამდა, ხმა აღარავის ამოგვიდია. სულ არაფერი გვისკამს და არაფერი გვიჭამია. ის იყო ექთანმა, რომელსაც ტურფა ერქვა და სიყვარულის წამალს ვეძახოდით, დანიშნულებისამებრ წამლები ჩამოგვირიგა და ფეხაკრეფით გავიდა.

უეცრად შემაჟრჟოლა, მერე მთელს სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. ვიგრძენი, რომ შემცივდა. ირგვლივ მიმოვიხედე. ფანჯრები ღია იყო. ავდექი და ფეხაკრეფით გავიარე. ცაზე შავი ღრუბელი გაკრულა. ოდნავ ჟინჟლავდა. ქუჩაც დაცარიელებულიყო. ფანჯარასთან შორიახლოს მღვარ მაგნოლიის ფოთლებს ბუსუსებზეთ ასხდნენ წვიმის წვეთები. ქუჩის განათებაც ფერმკრთალი მეჩვენა. დროგამოშვებით მსუბუქი ავტომანქანები თუ დაარღვევდნენ სიჩუმეს. მათი ფარნებას შუქზე თანდათან გამოიკვეთა წვიმის სილუეტი. სადღაც შორს, სივრცეში, ელექტროკარდიოგრამასავით დაიკლავნა ელვა, შემდეგ გამაყრუებელი გრუხუნი, რასაც შხაპუნა წვიმა მოჰყვა.

ეს სურათი ჩვეულებრივი ამბავია ბათუმისათვის. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გავწუწულვარ მეგობარ გოგონასთან ერთად. მაშინ სულ სხვა ელფერი ჰქონდა ყველაფერს. ახლა, გვიან ღამით, საავადმყოფოს ფანჯ-

რიდან სასოწარკვეთილი ადამიანის თვალთ დანახული წვიმის სურათს სულ სხვა შუქ-ჩრდილები ახლავს. ვლგავარ ფანჯარასთან და თვალწინ მდგას მურთაზის ალექსილი სახე. მეგობარი გოგონა რომ მოაკითხავდა, წითელ მიხაკებს დაუტოვებდა და დაუბარებდა — შენ აქედან გასულიც რომ არ გეგონო, მე ისევ აქ გავჩნდებიო. ახლა გავყურებ ღამეს და წვიმას. ღამე იმ გოგონას შავი თვალები მგონია, ხოლო წვიმა იმ თვალებიდან გადმონადენი ცრემლები. გავყურებ ღამეს და იგი ფერიდე-ხანუმის სამოსელი მგონია, ხოლო წვიმა მისი ცრემლები, მურთაზის გულს რომ აცვივია ახლა. გავყურებ ღამეს და ვფიქრობ, ნეტავი, მაინც ხვალ გადაიდარებდეს, ნეტავი, მზე მიაცილებდეს მურთაზს უკანასკნელ სასუფეველთან.

— დახურე, შვილო, ფანჯრები და დაწევი, — გამომაფხიზლა მურად ბიძიას ხმამ. — ღმერთია მოწყალე, ღმერთი ჰოესმაროს მურთაზსაც და მის დედასაც, ყველას, ყველას, ყველას, ღმერთი მოეხმაროს. ვინ იცის, იქნებ ჩვენი შიში ნაადრევია. დანამდვილებით ხომ არაფერი ვიცით. იქნებ შეეშალა ხელი იმ ქალს და ვერ მოვიდა. ხვალამდე მაინც ვიქონიოთ იმედი, ხომ იცი, შვილო, კაცი იმედით ცოცხლობს, ჩვენც იმედით ვიცოცხლებთ.

ფანჯრები საიმედოდ ჩავრახე და საწოლს მივაშურე.

ბუნებამ თითქოს ისმინა ჩემი მუდარა. მზიანი დილა გათენდა. მზის სხივები ჩვენს პალატაშიც შემოიჭრა, პირველი სხივები მურთაზის საწოლს მოეფინა, რადგან იგი ფანჯარასთან აღმოსავლეთით იდგა, შემდეგ გადაინაცვლა და შუადღემდე მთელი ოთახი მოიარა. ნათელმა დღემ რწმენა გავვიღვიძა, გუშინდელი შიშიც თითქოს გაანახევრა. ახლა განახევრებული იმედით მოველოდით თორმეტი საათის მოსვლას და ფერიდე-ხანუმის გამოჩენას.

თერთმეტ საათზე მეგობარი მხატვარი მეწვია. წიგნები და ახალი ჟურნალ-გაზეთები მომიტანა. ხელისკანკალით გავშალე ადგილობრივი გაზეთი და მეოთხე გვერდის ბოლოს შავ ჩარჩოში მომწყვდეულ სტრიქონებს მივაპყარი თვალი. ოჯახის წევრები იუწყებოდნენ მურთაზ ჯემალის ძე ფევაძის გარდაცვალებას.

მეცხრე პალატის თერთმეტივე ბინადარი ფეხზე ავდექით. მზერა მურთაზის საწოლს მივაპყარი და ხანგრძლივი დუმილით თავის ადგილას დავაბრუნეთ ყელში მობჯენილი გულები.

ყოველდღე მოგვდიოდა ახალ-ახალი ამბები მურთაზის კაიბიჭობის შესახებ. მხოლოდ ახლა გავიგეთ, რომ წარჩინებით დაამთავრა ჩაისუბნის საშუალო სკოლა, მოუხდია სამხედრო სამსახური და ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარა. ამის შესახებ ჩვენთან ერთხელაც არ დაუძრავს კრინტი. ახლა თერთმეტივე მეცხრეპალატელი მეხსიერებაში ვიდღეგნო მის ყოველ სი-

ტყვას, ხუმრობითა თუ სერიოზულობით ნათქვამს. მეასედ და მეათასედ კწონით და ვზომავთ მის სიგრძე-განს. ყოველდღე ვყლაპავთ იმედის აბებს და სულს ვიმშვიდებთ.

მურთაზის გარდაცვალებიდან მეშვიდე დღემ ისევ ავგიფორიაქა სული. ისევ გვეწვია უბედური დედა თავისი გრძნეული კალათით, რომელშიც ახლა ბევრი ტკბილეული ელაგა.

გვეწვია, მაგრამ არა როგორც ორმოცდაათს მიტანებული სანდომიანი ფერიდე-ხანუმი, არამედ შუბლდაღარული, თმებგათეთრებული სამოცდაათს მიტანებული, სულგატენილი, შავებმოსილი დედა.

ჯერ სათითაოდ მოგვატირა, შემდეგ მურთაზის საწოლს მიუახლოვდა და ისეთი ხმით შეკივლა, რომლის მსგავსი არასოდეს მსმენია.

ცრემლი რომ გაუშრა, წამოდგა, თავისი კალათი აიღო.

— თქვენგან აქ მხოლოდ ერთიც რომ დარჩეს, ყოველდღე უნდა მოვიდე, — მინდა ის ჰპერი ჩავისუნთქო, ჩემი შვილი რომ სუნთქავდა თქვენთან ერთად. ეხლა ეს იქნება ჩემი ერთადერთი წამალი და საშველი, — თქვა და მანიშნა, რაღაც სათქმელი მაქვსო.

დერეფანში გავედით და გრძელ სავარძელზე დავსხედით.

— მურთაზის გასვენებაზე მთელი ქვეყანა მოვიდა, — დაიწყო მან. — ნეტაი, საიდან არ იყვნენ. ერთი ჩემი შორეული ნათესავი გვეწვია მესხეთიდან. იგი ახალციხეში ცხოვრობს. ერთი ამბავი მომიყვა და შენ უნდა გიაძხო. ნასტავლი კაცი ხარ და იქნებ მიაკვლიო, თქვენ ყველგან მივიწვლებათ ხელი. მესხეთში ცხოვრობს თურმე ერთი ჩვენებური ქალი, ვინმე ჰურიე თურმანიძე. ომის წინა წლებში გათხოვილა თურმე ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარიდან. იმ ქალს ოქროს ხელები ჰქონია. ბალახებისაგან ამზადებს სხვადასხვანაირ წამლებს. გველის ნაკბენს სულ ადვილად არჩენსო. ის ქალი თურმე კიბოს წამალსაც აკეთებს. ისიც თქვა, რომ მისი მალამო ზოგს უზდებოდა და ზოგს — არა. აბა, მართლა ღმერთი ხომ არ არის?! სტავლით რომ ვთქვათ, ნასტავლი არ ყოფილა მარა, ხომ იცი, დეიბადება ნიჭითა და ჭკუა-გონებით გამორჩეული ადამიანი. იმ ჩემმა ნათესავმა მისამართი არ იცის, თქვენ ახლა არ გაგიჭირდებათ მისი მიგნება. სახელი და გვარი რომ იცი, ადვილად მიაგნებ. ისე არ იფიქროთ, რომ თქვენ გჭირდებოდეთ ის წამალი, მარა წამალი, წამალია და თქვენ თუ არა, სხვას დასჭირდება, ნეტაი, ჩემი მურთაზის სიცოცხლეში ესტავლებინა ვინმეს და რკინის ქალამნებს ჩაეიცმევდი და მივაგნებდი იმ ქალს, — ყოველივე ამას მარცვალ-მარცვალ, ცრემლმორეული მეუბნებოდა.

მე ახლა აღარც კი ვიცი, როგორ გამოვხატე მისდამი გულითადი მაღლობა. აღუთქვი, რომ აუცილებლად მივაკვლევდი ჰურიე თურმანიძეს და მის მალამოს გავუნაწილებდი ყველას, ვისაც კი სჭირდებოდა.

მეცხრე პალატაში ერთი სული ჰქონდათ, როდის შევიდოდი. ფერდუ-
ხანუმის საუბარი დაწვრილებით მოვეყვი. მაღაქია მინდაქემ კვერი და-
ძიკრა, მეც გამიგია, რომ მესხეთში ყოფილა ასეთი და ასეთი ხალხური
წამლების ოსტატი, მაგრამ ძალიან დიდ გასამრჯელოს ითხოვსო და
მხოლოდ ჯამაგირიანი ოჯახი ვერ გაწვდებაო.

იმავე დღეს ვაფრინე დეპეშა ერთ ჩემს სიყრმის მეგობართან, რომე-
ლიც ასპინძის რაიონში ცხოვრობს და საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე
მუშაობს.

კუს ნაბიჯით მიიწველა დრო. ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან მურთა-
ხის დედა და მიდიოდა. ერთ დღეს, როცა იგი ღერეფანში გავაცილე, სა-
მორიგეოში ვილაც სტუმარი მეცხრე პალატას კითხულობდა.

— აი, ის კაცი მეცხრე პალატიდანაა და წაყვეით, — უთხრა მორიგემ.

ლამის თვალებს არ დაუუჯერე. წინ ჩემი სიყრმის მეგობარი თამაზ
ამაღლობელი აღიმართა. ათ წელზე მეტი იყო გასული, რაც ერთმანეთი
არ გვენახა, მოულოდნელი სიხარულით ისე დავიბენი, რომ თამაზს ჩავა-
ვლე ხელი და საავადმყოფოს ეზოსაკენ გავწიე. ბოლოს ყველაფერი თა-
ვის ადგილას დალაგდა. გონს რომ მოვეგე, თამაზს ჯერ თავისი ცხოვრე-
ბის ამბავი გამოვკითხე, შემდეგ ჩემი მოუყვევი. ცოტა არ იყოს, მან მე
ღამაიშვდა, მე კიდეც ის, და ბურუსიც გაიფანტა.

— ჰურიე თურმანიძის მიგნება არ გამჭირვებია, — დაიწყო მან. —
აღრეც გავიწიე მქონდა, რომ ასპინძაში ჩვენებური ქალი ცხოვრობდა
და ხალხურ წამლებს ამზადებდა, მაგრამ, მართალი გითხრათ, არც სახე-
ლი ვიცოდი და არც გვარი. პირველად რაიონის მთავარ ექიმს ვკითხე:
იყო ასეთი პიროვნება, მაგრამ ახლა ცოცხალი არის თუ არა, დანამდვი-
ლებით ვერ გეტყვითო. იმავე დღეს გავეშურეთ იშხარში. სოფელში რომ
მივედი, ჰურიე თურმანიძის სახლი უმაღლესი მიგვასწავლეს, მაგრამ ამაოდ
ცდებით, ორი წელია გარდაიცვალაო, ჩვენ მაინც ვეწვიეთ მის ოჯახს.
რამდენიმე შვილი და უამრავი შვილიშვილი დარჩენია. შუათანა ვაჟმა
გვიმასპინძლა. როცა გაიგო აჭარელი ვიყავი, გულით გაიხარა. ჩემი დე-
დულებიდან ყოფილხართ, დედა ზულოელი ქალი იყო. ჩემი მიზანი რომ
გავუშხილე, სინანულით თქვა, დედა მართლაც ამზადებდა წამლებს, მა-
გრამ ისე უცაბედად მოკვდა, ჩვენთვის არავითარი რეცეპტი არ დაუტოვე-
ბია. მხოლოდ და მხოლოდ დარჩა რამდენიმე სახის შემზადებული წამა-
ლი, მათ შორის არის ერთი თავი, რომლითაც სიმსივნეს მკურნალობდა.
იგი უყოყმანოდ გადმომცა და გზა დამილოცა.

თამაზმა ჩანთა გახსნა და წამლებით სავსე და საგულდაგულოდ
თავდახუფული ათი ჩაის ჭიქა ტაბურეტზე დააღაგა.

— ვინ არის ახლა ამისი საფასურის გადამხდელი! — უნებურად აღ-
მოხდა მაღაქია მინდაქეს.

— მე ეს წამლები უსასყიდლოდ გადმომცეს. ისიც კი, ვინც ამას ამზადებდა და ვინც ახლა ცოცხალი აღარაა, ყოველგვარ გასამრჯელოზე უარს ამბობდა და თავის წამლებს უფასოდ არიგებდა, — თქვა თამაზმა და ისე ლამაზად გაიღიმა, რომლის მსგავსი ჩემს იქ ყოფნაში არ მინახავს.

— განათლდეს მისი სული, — თქვა მალაქიამ.

— ღმერთმა იმ დუნიას მთარგოს, — თქვა მურად ბიძიამ.

ის დღე როგორ დაღამდა, არ გამოვიდა. თერთმეტივე კარგ გუნებაზე ვიყავით. საღამო ხანს ღომინო ვითამაშეთ და ჩვეულებრივზე ადრე დავიძინეთ. უმაღლესი სიზმარმა წამიღო:

ფერიდე-ხანუმი შემოვიდა გრძნეული კალათით. ძლიერ გაეხარდა, რომ მურთაზი კარგად დახვდა. უმაღლესი ვახარე, ჰურიე თურმანიძის წამალი უკვე იმდენი გვაქვს, მართო მეცხრე პალატას კი არა, მთელ ქვეყანას ევოფა-მეთქი.

— ღმერთმა ისე დედაშენი ახაროს, როგორც ახლა შენ გამახარე. — მითხრა და გულზე მიმიხუტა.

სიზმარმა კიდევ უფრო შორს წამიყვანა.

ოცი წლის ბიჭი ვარ. სამხედრო სამსახური მოვიხადე და სახლში გბრუნდები. სამტრედიის მთიანეთის მატარებელზე ბოშა ქალი ამოლასლასდა, მე ვაგონის სარკმელში გავყურებდი. ბოშა ქალი პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა.

— შენ კარგი ბიჭი ხარ, კარგი ბედი გელის, კაი ცოლი შეირთო, ძალიან ლამაზი და მდიდარი, ბევრი შვილი გეყოლებათ, ისწავლი და დიდი კაცი გამოხვდები. ავად თუ გახდების, წამალი იშოვო და მალე მოჩქები. შენ ძალიან ბევრი იცოცხლო.

დილით კარგ გუნებაზე გამეღვიძა. იქაურობას თვალი მოვაკლე. წამლით სავსე ჭიქებს ტაბურეტიდან ტუმბაზე გადაენაცვლებინა. თითო ჭიქა თითო ავადმყოფს ედო. მხოლოდ ჩემი ტუმბა იყო თავისუფალი.

კ ა ნ ი

იჯდა და თავისთავთან ლაპარაკობდა. ხმადაბლა, თითქოს ჩურჩულვდა, თავისთავს ეჩურჩულებოდა. უნდოდა და ლაპარაკობდა, აბა, ვის რას უშლიდა, უბრალოდ იჯდა და ლაპარაკობდა.

ალბათ, თქვენც შეგინიშნავთ კაცი, რომელიც თავისთავთან ლაპარაკობს, მაგრამ იმას, რომლის შესახებაც ახლა გელაპარაკებით, ვერსად ვეღარ იხილავთ, ვერც ვერაფერს ჰკითხავთ და არც არაფერს გიპასუხებთ, რადგან იგი დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის.

იჯდა თავისთავის და ლაპარაკობდა. ვის რას უშლიდა, ჰქონდა თავისთავთან ლაპარაკის უფლება და ლაპარაკობდა. ხომ არაფერს აშავებდა,

ლაპარაკობდა მხოლოდ. ზოგმა მაინც ამოიღო თვალში, თუ კაი კაცი მართლმართო რატომ ლაპარაკობს თავის თავთან? ანდა რა აქვს ამდენი სალაპარაკო, რატომ სხვებს არ ელაპარაკება და მაინცდამაინც თავისთავთან ლაპარაკობს? მის შემხედვარეს, ყველას ერთი სიტყვა „რატომ“ ეკერა პირზე.

ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, გულჩათხრობილია და იმიტომო, ყველანი ვეჯავრებითო, არავის თვლის ლაპარაკის ღირსადო, მეღანქო-ლია ჭირსო, ზოგმა ისიც კი იკადრა, ცუდადაა მაგისი საქმე, გაუჭუნუნა და ეგ არისო.

რა თქმა უნდა, მას არ ესმოდა ეს ხმები. ვინ რას ეტყოდა, ვინ გაუბედავდა, ვინ აკადრებდა პირში ეთქვა აუგი, იგი ხომ არაფერს აშავებდა, იჯდა და ლაპარაკობდა.

თუ რამეს კითხავდი, პასუხს არ დაგამადლიდა. ასე მგონია, პასუხს კი არა, საერთოდ არაფერს დაგამადლიდა.

სამოცდაათს მიღწეული იყო, ჯანღონით სავსე ჩანდა. ასაკთან შედარებით მხნედ გამოიყურებოდა. იმასაც ამბობდნენ, თავისთავს პატივს სცემს, დღესა და დამეს არ ასწორებს. ზის და საათობით თავისთავთან ლაპარაკობს, აბა, ასე რა წაახდენსო.

ამ სიტყვებში ცოტა სიმართლეც ერია, ცოტა ტყუილიც, ყოველთვის თავის დროზე ხნავდა და თესავდა, სარჩო-საბადებელი არასოდეს ჰკლებია, ხაროში სიმიინდი და კიღობანში ფქვილი არ გამოლევიდა.

ერთხელ უჩუმრად ყურიც კი მიუგდეს ცნობისმოყვარე მეზობლებმა, რომლებსაც ეგონათ, თავისთავთან ლაპარაკით ქვეყანას აქცევდა. მათთვის რომ გეკითხათ, თუ ვერე არ იყო, მაშ რატომ ჩურჩულებდა, თავისთავთან ლაპარაკი ხმამაღლაც ხომ შეიძლებოდა, დაფარული და დამალული თუ არ ჰქონდა, რატომ ჩურჩულებდა? რატომ ასე და ასეო, გაიფიქრეს მისმა ბედოვლათმა მეზობლებმა და ჩაუსაფრდნენ, ერთხელ მაინც გავიგონოთო რას ლაპარაკობს თავისთავთან, ბოლოს და ბოლოს, სოლომონ ბრძენი ან ღმერთის მოციქული ხომ არ არისო. ის კი დაავიწყდათ, რომ სოლომონ ბრძენი თავისთავთან არ ლაპარაკობდა.

ჩაუსაფრდნენ და დაყურადეს, დაყურადეს და გაიგონეს მისი ლაპარაკი. მათ რომ ეგონათ, თავისთავთან ლაპარაკობსო, ამ დროს, თურმე, სულ არ ლაპარაკობდა თავისთავთან. მის თვალწინ ერთადერთი ვაჟაკის აჩრდილი იდგა და, თურმე, იმას ელაპარაკებოდა, ეჩურჩულებოდა და რაღაცას ემუდარებოდა.

— მე რბილი მატყლის ლოგინზე უნდა ვიწვე, შენ კი, შენ, შავ მიწაში უნდა ლებოდე? ესაა სამართალი, ესაა ცხოვრება, ესაა სიცოცხლე?!

კაცი იჯდა და ლაპარაკობდა თავისთავთან, მოფარებულში იდგნენ

და უსმენდნენ ავგია მეზობლები, ვინ იცის, კიდეც რა თქვა, მაგრამ მეტის
მოსმენა ვეღარ შეძლეს, გული აუწყვდა.

— აი, თურმე, რას ლაპარაკობს, ჩვენ კი გვევონა, ქვეყანას აქცევდა,
— თქვა ერთმა.

— ქვეყნის დამტკევეი რომ არ იყო, ვიცოდი, მარა, რაღაცით მაინც არ
მომწონდა მაი ამბავი, — თქვა მეორემ.

— ვაჟიკა რომ მიაბარა მიწას, მერე შეიცვალა, განმარტოვდა, თავის-
თავთან დარჩა, — თქვა მესამემ.

ასე იყო და ასე ამბობდნენ დღეს და ვინ იცის, როგორ არ იტყოდნენ
ხვალ, რომ არა ერთი უბედური შემთხვევა.

როცა თავისთავთან ლაპარაკით გული იჯერა, წამოდგა, ვეება თუნგს
დაავლო ხელი და წყაროს წყალს შეუღვა.

წყარო ზედ გზის ნაპირს მოჩქეფდა, რაღაც ბედად ჩამოიარა კოლმეუ-
რნეობის სატვირთო მანქანამ, რომელსაც რამაში მართავდა. სინამდვილე-
ში, მას რამაში თუ ერქვა, ზოგმა აღარც კი იცოდა, რადგან მთელი სო-
ფელი კარგა ხანია შოფერს ეძახოდა. ყველაფერი თვალის დახამხამებაში
მოხდა. კაცი, რომელიც თავისთავთან ლაპარაკობდა, ავტომანქანის ქვეშ
მოჰყვა. ახლა არავინ იცის, თვითონ დაბარბაცდა და შემთხვევით ჩაუვა-
რდა მანქანას წინ თუ მძღოლმა დააშავა.

მთელი სოფელი შეაყარა. კაცი რაიონის საავადმყოფოში გააქრო-
ლეს. ერთდროულად თავს ადგნენ ექიმებიც და გამომძიებლებიც, სუნთ-
ქვა უჭირდა. მარცხენა მკერდში ნეკნი ჩამტვრეოდა. ექიმებმა ყველაფერი
იღონეს ადგილობრივი პირობების შესაბამისად. კაცი ძლივს სუნთქავდა,
უნდოდა რაღაც ეთქვა, ვერ ახერხებდა, ძალა არ ჰყოფნიდა, გამომძი-
ებელს თვალეებით რაღაცას ანიშნებდა.

— შოფერი არაფერ შუაშია, მაგისი ჯავრი არ გამატანოთ მიწაში, —
ჩურჩულით ისე თქვა, თითქოს თავისთავს ელაპარაკებო. შემდეგ მზერა
ერთ წერტილს მიაპყრო და დაღუძდა...

ახლა წევს მუხის კუბოში და ღუმს. აღარაფერს ლაპარაკობს თავის-
თავთან. სამაგიეროდ მისი ავგია მეზობლები ლაპარაკობენ უსაშველოდ
ბევრს. ლაპარაკობენ, რატომ და როგორ მოხდა. მათ შორის ერია ორი-
სამი ღვთისნიერი კაცი, რომელიც ერთადერთ და აუცილებელ სიმართ-
ლეს რომ ლაპარაკობდა — სოფელში რამხელა კაცი გვეოლია და არაფე-
რი ვიცოდით. მისი სიკვდილი დარჩა საჭირო, რომ ამას მივმხდარიყავითო.

შემდეგ ხალხი წავიდ-წამოვიდა. მარტოდმარტო დარჩა საფლავის
ბორცვი სოფლის განაპირას.

ეს ჩემი შორეული სიყრმისდროინდელი ამბავი ერთი დარბაისელი
მოხუცის ხილვამ გამახსენა, რომელიც მიდიოდა და თავისთავთან რაღა-
ცას ლაპარაკობდა...

ს ა რ ფ ი ც ტ კ ი ვ ი ლ ი ა ე რ თ ი

პატარა სოფლით, სარფით, დიდი ლაზეთი საქართველოშია...

თბილისიდან უნივერსიტეტდამთავრებული სარფელი იაშა თანდილავა დაბრუნდა... შუაგყოფილ სოფელზე ფიქრმა, მონატრებამ, ტკივილმა, სიზარულმა და იმედმა ლაზ ბიჭს მშობლიურად, ქართულად ლექსი ათქმევინა. მისი სტრიქონები ახალგაზრდებული წერგის რტოებივით ჩვილია და ცოცხალი. მე ვგრძნობ, ისინი ტკბილ ნაყოფს მოიხსამენ.

კარგ სიმწიფესა და სვავრიელ პოეტურ რთველობას დაუვებდებ დამწყებ პოეტს.

ფრიდონ ხალვაში.



ქვეყნად ტკივილია მრავალი,
სარფიც ტკივილია ერთი.
სად ვპოვო მე მისი წამალი,
მითხარით, შეგინდობთ ღმერთი.
მძას უშველეთო ჭირში,
ეს სიბრძნე ოდითგან მესმის.
ვუშველო? შველა მიჭირს,
შორსაა მუხის ფესვი.
რა დააშავეს ისეთი,
ან კი გასწირეს რისთვის,
რომ ქვეყნად მხოლოდ ის ერთი

დაუტოვიათ სხვისთვის.
ჩქარა შევუბეროთ სული
ბუხარში ნადებ ნადვერდალს,
თორემ გაგვიცივდა გული,
გული წაგვილეკეს ნადველთა.
მთები გაგიდულან ცაზე,
ღრუბლებს ეტოლებიანო
თითქოს.

ზღვა აღიდებიათ ლაზებს,
სული გადარჩენას ითხოვს...

კ ო ლ ს ო ბ ა

სარფში გავმართეთ მისტერიები
მოსაგონებლად გარდასულ

დღეთა,

ეს იყო ჩვენი ისტორიების
გამომწვევება და გულთა ფლეთა.

ჰე, ჰე, ჰე, იამო, ჰელესადო იალესა!
მუხის ტოტზე ნაკიდი ზარის თავი გამხმარი,
გაბმულ ბაიათებმა რა უწყალოდ დაგესლეს,
ჩელში შემომეჭანგა ხმალი პაპის ნახმარი.
სული იმ დიდ ჭყონივით, მეხმა რომ გაგვიხეთქა,
სარფში, სადაც დღესაც გვაქვს ძვალთა
შესალაგება,
გვიღულს, ვითარც დუმილი გულჯავრიან კაცისა.
ჰე, ჰე, ჰე, იამო, ჰელესადო იალესა.
დრონი, შეუკაგებნი, რა საოცრად მირბიან,
მირბიან და თან მიაქვთ ზურგით ჩვენი გულები,
მე კი იმათ არ მივდევი, რადგან აქ შეგულება
ის, რაც ჩემში ჩემმავე ოცნებებმა იციან.
ჰე, ჰე, ჰე, იამო, ჰელესადო იალესა!..

კმის სსოვნას

აქ ყველგან შენი კვალი ატყვია,
შენს ნაფეხურებს წვიმაც აღარ შლის,
ჩვენ აქ უშენოდ ისევ ისე ვართ,
აღარ შევცვლილვართ, თუ უშენობამ
არაფერი არ გვიქნა ბოლოს,
სხვა რამ რა დაგვშლის...
შენ კი...
სოლთა უხილავ სამეფოებში
დაგატარებენ, ალბათ, ფრთავაშლილს.

დღისა და ღამის გასაყარზე

ო, როგორ დნება ალიონზე წამი სინაზის,
ან რა დაიჭერს უსასრულო დროთა ცვალებას,
არ არის ქვეყნად უფრო სავსე, უფრო ღამაზი,
ვიდრე ფერების საოცარი გარდაცვალება.
...და აჰა, ჩნდება სისხლიანი ველი მოკვდავთა,
სულს ღაფავს ნამი, შერჩენილი მთვარის აღერსი,
ნახეთ, რა ღვთიურ მღუმარებით ღამე მოთავდა...
და იშვა მარად უფლისწული — დღე უცხადესი.

მზე იმზირება გაბზარულ ღრუბლიდან,
ფორთოხლის თოთო კვირჯს სწყურია მზე.
რა იქნა, ღრუბელო, რა მოგივიდა,
რას გაწოლილხარ ყვავილთა ზე.
ძნელად იშოვება თივა და ბუმბული,
გამოლეულა ჩალა და ბზე,
მედვას ბაღში ტახტს იდგამს ბუღბული,
ღრუბელი ღალას თხოვს ნაწვიმარ გზებს.
აპრილია და სიცოცხლე ზეიმობს,
სიცოცხლეა და აპრილი დულს.
მუქ-მწვანე ადევს შარშანდელ გრეიფორუტს
და ღია მწვანე — წლევანდელ ღუფს.
მზე იმზირება გაბზარულ ღრუბლიდან,
ფორთოხლის თოთო კვირჯს სწყურია მზე,
რა იქნა, ღრუბელო, რა მოგივიდა,
რას გაწოლილხარ ყვავილთა ზე.



ქარია და მშვიდი სიმი არეულა,
ქარია და ზღვაზე ქარი ისევ ქართან თამაშობს,
ეს სიცოცხლეს ამგვარ ქარით დაწყებულა,
ეგრე, ქარო, იგრიალე, ეგებ მეც მათამაშო.
ამიყვანე და უხილავ შენს ტალღებზე მაქროლე,
წამიყვანე, სადაც გსურდეს, ზღვები გადამატარე,
ეგრე, ქარო, უფრო ძლიერ, უფრო ლაღად
დაამქროლე,
ოღონდ ზელი აღარ ახლო მოხუცებს და პატარებს.
აუუმდევრიოთ მოსვენება ზავსიანს და ობიანს,
ქარიტა და მეხთა ცემით და ელვათა სხივებით,
ჟური უგდეთ ქართა მღერას, განსაცვიფრედ
მწყობრიანს
და იმდერეთ გრიგალების და ქარების სიმეხით!



კახეთი



ამ დავიდარაბაში რომ ვიყავი, შემთხვევით მამაჩემის უჯრაში ძალიან ლამაზ კოლოფში ჩადებულ უცხოურ უბისკალამ წავაწყდი. ასეთი რამ იმ დროისათვის იშვიათობას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ყველას არც კი ჰქონდა ნანახი პასტიანი უბისკალამი, რომელსაც მაშინ ბურთულაკიან ფანქარს ვეძახდით.

— აი, ეს რომ მომცა... — გავიფიქრე გუნებაში და წუწკ კატასავით დაუწყვე ხელში ტრიალი კოლოფს, რომელიც რაღაც ფერად-ფერადი წარწერებით იყო აჭრელებული.

შაბათამდე ვიღირდიტე, ვიღირდიტე და მაინც ვერ გავუბედე მამაჩემს, მეტხოვა, რომ კალამი ჩემთვის მოეცა. მაგრამ რაკი უკვე სხვა გზა აღარ მჩნებოდა, როგორც იქნა, გადავდე თავი და ვუთხარი ჩემი სათხოვარი.

არაფერი უკითხავს. ისე გაიმეტა, ვითომც უბრალო ჩხირი ყოფილიყოს. მე მაგითი მაინც ვერ ვწერ, ჩემი მამაპაპური კალამი და ძელანი მირჩევნიაო. ოღონდაც არ დაკარგოო, გამაფრთხილა.

— არა!.. რას ამბობ?!.. როგორ დაკარგავ?!.. — ალტაცებით შევძახე მე და კალამი მაშინვე გავაქანე უბეში.

მიწაზე ფეხს არ ვადგამდი სიხარულით, მაგრამ რომ გამახსენდებოდა, რა ძნელი იყო კანდელასათვის ამის გადაცემა, გუნება მიფუჭდებოდა. რა არ ვიფიქრე, რა გეგმა არ შევიმუშავე. ერთხელ ისიც გადავწყვიტე, წერილთან ერთად მის ფანჯარაზე შემოვდეხე, ზომი ვიცე, საცაა მისი ოთახი-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე. სხვამ რომ ნახოს? სალაპარაკო შეიქნება. ჰოდა, სალაპარაკო და საჩოთირო არაფერი მინდა.

ვიჯექი კლასში ბოლო გაკვეთილზე და ამაზე ვფიქრობდი. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე — სწრაფად წამოვხტი და მასწავლებელს ვთხოვე,

ცოტათი ადრე გავეშვი გაკვეთილიდან, მშობლებთან ერთად ბებიასთან მივდივარ ქობულეთში და მატარებელი ისეთ დროს გადის, თუ ცოტა არ ვიჩქარე, ვერ მივუსწრებთ-მეთქი.

გამიშვა. სულ სირბილით წამოვედი და ისეთი პოზიცია დავიჭირე, კანდელა სკოლიდან რომ წამოვიდოდა, უეჭველად შორიდანვე შევნიშნავდი.

ჩანაფიქრი მარჯვედ განვახორციელე — კანდელა და მე ერთად აღმოვჩნდით მათ მწვანე ჭიშკართან. უდარდელად, თავისთვის მოდიოდა და უცებ მე რომ შემეფეთა, შემკრთალი შედგა. შემომხედა და გამიღიმა, მაგრამ მაშინვე შეშინარევი მხერა მიმოავლო იქაურობას, ეზოში შეიჭვრიტა, ზომ არავინ გვიმზერსო.

— კანდელა!... — გულისფანცქალით დავიწყე ჩემი მომზადებული სიტყვა, მაგრამ აღარაფერი აღარ გამახსენდა. ისევ ის ვუთხარი, რაც პირზე მომადგა: — ხვალ შენი დაბადების დღეა და, ალბათ, ვერ მოვახერხებ გნახო... ჯინაზე კვირადღე დავმთხუა... და ამიტომაც წინასწარ გილოცავ... დიდხანს იცოცხლე!.. ყველაფერს კარგს გისურვებ ცხოვრებაში!.. სულ ზუთებზე დაგემთავრებიანოს სკოლა!.. — ამოვიღე და უხერხულად გავუწოდე მუყაოს ჭრელი კოლოფი.

გოგონა დაიბნა, აირია, უხერხულად აიწურა... კვლავ მიმოიხედა ირგვლივ.

— არა... რატომ... რისთვის შეწუხდი?.. — ძლივს წაილულულა.

— აიღე, გამომართვი! — აღმური მომეღო სახეზე, — ბევრი არაფერია, უბრალო რამაა, მაგრამ სამახსოვროდ გამოდგება... აჰა, გამომართვი, ესეც ზომ პური არაა?

თავშეკავებულად გაეცინა. გაბედა და გამომართვა. მაშინვე გათამამდა, იქვე გახსნა კოლოფი და კალამი ამოიღო. დახედა. თვალები გაუბრწყინდა. მადლიერებით შემომხედა, დაკვირვებით შეათვალიერა კალამი და ზედ ამოტვიფრული უცხო სიტყვა წაიკითხა — „პარკერი“. — მერე სხაპასხუბით, აღფრთოვანებით გადამიხადა მადლობა:

— რომ იცოდე, როგორ მომწონს!.. გადასარეცია!.. ამას სკოლაში არ წავიღებ, დამიკარგავენ გოგოები... სულ მუდამ ჩემს მაგიდაზე მედება.

— მართლა მოგწონს?

— ძალიან.

— მე კიდევ მერიდებოდა...

— არა, რას ამბობ, გადასარეცია!.. მაძაჩემს ჰქონდა ამის მსგავსი და დაეკარგა. როგორ წუხდა, რომ იცოდე. ვილაცამ არუტა. იონასმა ბიძაჩემს მიწერა საბერძნეთში. გამოუგზავნის უეჭველად. შენც მოგცემ მერე...

— არა, რატომ უნდა შეწუხდე?

— რა შეწუხებაა? ბევრს გამოგზავნის... — ისევ დაზვერა გარემო და

საეჭვო რომ ვერაფერი შენიშნა, გააგრძელა: — შენ საიდან იცი, რომ ხვალ ჩემი დაბადების დღეა?

— შენ რა გინდა, ვიცი. — გამედიმა მე.

— შენი დაბადების დღე როდისაა?

— უჰ, მაშინ აქ არავინაა, აგვისტოში... ჰოდა, გავხდები თუ არა თო-თხმეტი წლის, როგორც კი დავბრუნდებით სექტემბერში სკოლაში, კომკა-ეშირში მიგვეღებენ. — დიდი სიამაყით ვთქვი, ერთგვარად იმ ბედნიერების შეგრძნებით, რომ უკვე პატარა კი აღარა ვარ, კაცი ვარ ნამდვილი, მეც შეკითხება ჰქუა.

იმან რატომღაც თვალი ამარიდა.

— ჩვენც მიგვეღებენ გაისად კომკაეშირში... — ისე თქვა, თითქოს მა-ნაც ხაზი გაუსვა თავის ასაკოვნებას, აქაო და, არც მე ვარ შენზე-დიდად პატარაო.

არ მინდოდა ასე მალე გავცლოდით ერთმანეთს და რაღაც რომ მეთ-ქვა, დავიწყე უცებ, რაც გამახსენდა:

— არ ვიცოდი, როგორ შეგხვედროდი... ვფიქრობდი, შენს ფანჯარა-ზე შემომედო წერილთან ერთად... მაგრამ შემეშინდა, ვინმე სხვამ არ აიღოს-მეთქი.

ქალიშვილი წამით ჩაფიქრდა. მიწაზე რაღაც ერთ წერტილს დაამ-ტერდა და რატომღაც ერთბაშად დასვედიანებულმა, უგულოდ ჩაილაპა-რაკა:

— ჩემს ოთახში არავინ შემოდის... ხანდახან თუ მიაღაგებს მამიდა და ეგაა. მარტო მე მაქვს ცალკე ოთახი... მე, საერთოდ, ყველაფერი ჩემ-თვის მაქვს: წიგნები, ტანსაცმელი, ჭურჭელი...

წამითაც არ დაუფიქრებულვარ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას. უბრალოდ, ნებიერა ჰყავთ მშობლებს უმცროსი ქალიშვილი. თანაც კან-დელა ყველაზე კარგად სწავლობს ოჯახში. სკოლაში პირველია. სიამაყეა მთელი გვარის, ხმას უბატონოდ ვერავინ გასცემს. ძმები თუ დე-ბი ხელისგულზე ატარებენ. ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტად მიძლიერ-ებდა მის მიმართ პატივისცემის გრძნობას.

გადიოდა ხანი.

ყოველდღე ენახულობდი დროს, ნელი ნაბიჯებით ჩამეარა „ქელეფთე-რის ასობნიაკის“ წინ. ბოლო ოთახის ფანჯარას ვერ ვწყვეტიდი თვალს. როგორც მზე, ისე შემომამუშებდა იქედან ხოლმე კანდელას დიდრონი, შავი თვალები. მორცხვად გაუულიმებლით ერთმანეთს, არც კი გავეხმიან-ებოდით. ხან ფანჯარაში გადმოიხედავდა და ისე მიცქერდა, ხან ფარდის იქეთ დავლანდავდი მის მსუბუქ სილუეტს, და ყოველივე ეს ჩემთვის საკმარისი იყო. უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნდა თავი.

ასე ჩამელაია სასწავლო წელი და გამოცდებიც მომადგა კარს. ზაფხუ-



ლი ნელ-ნელა გვეპარებოდა. მზე თანდათან უფრო და უფრო აცხუნებდა.

შეწყდა ეზო-ქუჩებში თამაში, კინოში სიარული, დრამწრის რეპეტიციები, ბაღში უმიზნო ზეტიალი. ათასში ერთხელ თუ ავეშვებოდით და იმასაც გვიშლიდნენ. მორიგე მასწავლებლები დადიოდნენ მთელს ქალაქში. სადაც უსაქმურ ბავშვს წააწყდებოდნენ, შავ დღეს აყრიდნენ.

ერთხელ, საოცრად ცხელ დღეს, შუადღისას საშინელი გრაგალი ამოვარდა. სულ რაღაც ნახევარი საათი იმპინვარა, მორეკა შავი ღრუბლები, ზღვა ყალყზე დააყენა, გააწვიმა, და ისეთი აოხრებული დატოვა ქალაქი, ნაომარი გეგონებოდათ. აქა-იქ სახურავებს თუნუქი ახადა, მავთულები დაწვიტა, ფანჯრის მინები დაღლეწა... ერთ ეზოში ნავგის „დროვის“ ცხენი მოჰკლა ღენმა და მთელი უბნის ბიჭები იქ გავიქეციით სანახავად. ზღვა კიდევ ისეთ დღეში იყო, იტყოდით, საცაა გადმოვა და მთელ ქვეყანას წაღეკავსო.

დედაჩემი შეშფოთდა. ვინ იცის, რა დღეშია ჩვენი ძველი სახლი ქობულეთშიო, და შემომიჩნდა, გინდა თუ არა, შაბათს წადი, ერთი ნახე, როგორაა ბებიაშენი და დეიდები, ამდენი ხანია არ მივიკითხავსო.

— რა ვიცი, უწინ ყოველ შაბათ-კვირას გარბოდი, აქ ვერ გამაგრებდი და ახლა რა ეშმაკი გეცა, ერთი დღითაც რომ არ გინდა ჩახვიდეო, — მსაყვედურობდა იგი, — ზომ იცი, მამაკაცი არ ჰყავთ სახლში და შენაც თუ არ მიემშველე, რა უნდა ქნან მარტო ქალებმაო.

ქობულეთში წასვლა ჩემთვის ყოველთვის დღესასწაული იყო, მაგრამ რა მექნა, ერთ დღესაც რომ კელარ ეძლებდი „ქელეფთერის ასობნიაკისათვის“ თვალის შეუვლებლად.

ასე თუ ისე, მეტი გზა აღარ მქონდა, შაბათს გაკვეთილების დამთავრებისთანავე გამოვევარდი გარეთ, ჩამოვუარე კანდელას ფანჯარას და სახლისაკენ გავქუსლე, რომ როგორმე მიმესწრო შუადღის მატარებლისათვის. საშინლად დამწყდა გული, კანდელას რომ ვერ მოვკარი თვალი.

ჩავედი ქობულეთში. მართლაც ბევრი საქმე დამხვდა. ქარს მაინცა და მაინც არაფრისთვის ევნო, მაგრამ ბოსტანი გასათოხნი იყო, ჭიშკარი ანჯამიდან ჩამოვარდნილი, ზეზე გასული ვაზი აბურდულიყო, ბევრი სხვა წვრილმანიც დამხვდა გასაკეთებელი და მეც დავიკაპიწე ხელები.

ყოველივე ამან საკმაო დრო წაიღო. მერე იქაური მძაკაცებიც გამოჩნდნენ, მეზობლის ბიჭებმაც მომაკითხეს, ახლობლებიც გვესტუმრნენ და ამგვარად მთელი ის დღე შემიფილიეს. მეორე დღესაც დროზე ვერ დავიბერიე თავი. ვერც ზღვაზე ბანაობა, ვერც ახალი საინტერესო ამბები, რაც ბიჭებს ჩემს იქ არყოფნაში გადახდათ თავს, ვერც გამტკვრიანებულ ძველ მანსარდზე საინტერესო წიგნების ერთად კითხვა, ვერც ძალადი ხეების წვეროკინების დალაშქვრა, რაც ასე ძალიან მიყვარდა უწინ, ჩემს გულს ვერ იზიდავდა.

ამგვარად, კვირას მაინც ბოლო მატარებლით მომიხდა დაბრუნება გვიან საღამოთი.

სადგურში რომ გავედი, რაღაც უჩვეულოდ აფუსფუსებული მერვე-ნა ხალხი. არ გამკვირვებია, როცა შევიტყვე, რომ მატარებელი ორ საათს იგვიანებდა. მაშინ ჩვეულებრივი რამ იყო ეს.

დავჯექი ბაქანზე მარტოდმარტო და დაუწყო ლოდინი მატარებელს, თანაც იქაურობას უხალისოდ ვათვალიერებდი. წინა ხაზზე ერთი დანჯ-ღრეული, ჭუჭყიანი, ბრძოლებგამოვლილი დაცხრილული, ძველისძველი საბარგო ვაგონებისაგან შემდგარი ეშელონი იდგა. მის იქეთ, მეორე ლი-ნდავზე, დრო და დრო გრუხუნით ჩაიქროლებდნენ ხოლმე ბათუმიდან წა-მოსული მატარებლები. ისე მიერეკებოდნენ, თვალს ვერ მოკრავდი, მით უფრო, რომ წინ ეს აჯორჯლილი შემადგენლობა გვყავდა ჩამოფარებული, რომელიც რატომღაც საოცრად მაღიზიანებდა, თითქოს ჩვენი მატარებ-ლის დაგვიანება მისი ბრალი ყოფილიყოს.

გავიდა დრო, დადამდა. ხალხი დაიღალა ლოდინით. ორი კი არა, სა-მი საათი გავიდა და მატარებელი მაინც არა ჩანდა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. დანამდვილებით არავენ იცოდა, როდას გვეღირსებოდა გამგ-ზავრება.

როგორც იქნა, წინა ლიანდავზე ჩამომდგარი შემადგენლობა შეინძ-რა და ჩვენც იმედი მოგვეცა. მართლაც, გადააყენეს თუ არა იგი, მატარე-ბელიც გამოჩნდა.

დიდი ზრიალით მიაწყდა ხალხი. ვაგონები გადატენილი იყო. განსაკუ-თრებით ღია ვაგონებს ეტანებოდნენ. ჩემთვის კი სულ ერთი იყო, მაინც კიბეზე ვეკიდე მთელი გზა.

ბათუმში ძალიან დაგვიანებით ჩამოვედი. მშობლები რაღაც უჩვეუ-ლო, უგემურ ხასიათზე დამხედნენ. ჩემი და თავჩალუნული იჯდა მავიდას-თან და მეცადინეობდა, ჩემთვის არც კი შემოუხედავს.

— რა მჭავე განწყობილებაა! — გავიფიქრე მე და შევნიშნე, რომ რა-ტომღაც არც მე ვიყავი მაინცა და მაინც ხასიათზე. ვინანე, რატომ პირ-დაპირ „ქელეფთერის ასობნიაკისაკენ“ არ ჩამოვიარე სადგურიდან-მეთქი. მაგრამ ძალიან გვიან იყო და სახლში მოვიჩქაროდი. არადა, როგორ მინ-დოდა ახლა ერთი იმ საოცნებო სახლისათვის თვალის შევლება. ვიფიქ-რე, მოდი, რამეს მოვიმიზეზებ და სულიკოსთან გავიქცევი-მეთქი, მაგრამ ვიცოდი, ასეთ დროს უკვე აღარ გამიშვებდნენ.

აუტანლად მძიმე გაცდა დამეუფლა.

დავწევი...

არ იქნა და არა, არ დამეძინა. თითქოს რაღაც ეშმაკი შემჯდომოდეს ტანში, ვერ ვისვენებდი.

როგორც იქნა, დილისპირს ჩამეძინა, მაგრამ თითქოს ვიღაცამ შე-



მანჯღრიაო, უცებ გამეღვიძა, და წამოვხტი კიდეც. სწრაფად გავვეშაღე
არ მისაუზნია, დავავლე ხელი ჩანთას და გარეთ გამოვვარდი.

იმას რა მიხვედრა უნდა, საითაც ავიღებდი გეზს. გავიარე ასიოდე
ნაბიჯი და „ქელეფთერის ასობნიაკთან“ გავჩნდი. შევხედე და სახტად
დავრჩი. ყველა ფანჯარა მჭიდროდ მიხურული და დარაბებაფარებული
იყო. მთელი სახლი გამოუცნობი სიცარიელით სუნთქავდა.

რა მოხდა?

მუხლები მომეკვეთა. რაღაც საშინელების მოლოდინმა თავზარი
დამცა. ძლივს შევიკავე თავი, არ წავეცუულიყავი. ღრმად ჩავისუნთქე ჰა-
ერი, მთელი ძალა მოვიკრიბე და ჩავფიქრდი. ვიცა, რაღაც დიდი უსიამო-
ვნება მელის, მაგრამ იმედს ჯერ კიდეც არ ვკარგავ საბოლოოდ.

ძლივს მივლასლასდი იმ კუთხემდე, სადაც ჩვეულებრივ სულიკოს
ველოდებოდი ხოლმე სკოლაში წასვლის წინ და კედელს მივეყრდენი.

ვლგავარ გაქცევებული და შევყურებ სანუკვარ ფანჯარას. ღმერთო,
რა იქნება, ერთი გაიღებოდეს, ისევ აფრიალდებოდეს თხელი, ნაქარგი
ფარდა, ისევ გაიღვიძებდეს, ახმინალებოდეს სახლი, ისევ გაიელვებდეს
ფარდის უკან სასურველი ლანდი... მაგრამ ვხედავ, სახლში ადამიანის ჭა-
ჭანება არ არის.

ქუნა უკვე ახმინადა, დაიდრა ხალხი, მზე მოენტო მთელ ქალაქს...
ფანჯრები კი ბრმა კაცის თვალებით ჩამქრალან და ჩაშრეტილან...

რა მოხდა?... რა იყო ასეთი?... ტვინს მირევს გაუგებრობა.

ჯიბრზე სულიკოც არ გამოდის, არ შეიძლება, მან არ იცოდეს, რა-
შია საქმე.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა. მუხლები არ მემორჩილება, ვერ
მივდივარ მისკენ.

დამინახა. თავად წამოვიდა. დაღვრემილი შეჩერდა ჩემს წინ და სე-
ვლიანად გახედა ნაცნობ „ასობნიაკს“.

— იცი ყველაფერი, არა? — ნაღვლიანად მკითხა.

— რა იყო? — გული ამოვარდნაზე მაქვს.

— რა, არ იცი?! — უკვირს სულიკოს, — მთელი ჩვენი უბანი მაგათ-
ზე ლაპარაკობს და...

— არა, არაფერი არ ვიცი... — ნერწყვი ძლივს გადაველაპე, რამდე-
ნადაც შემიძლია, თავს ვიჭერ, არ დამეტყოს გადამეტებული მღელვარება.

— წავიდნენ... სამუდამოდ წავიდნენ... ყველაფერი ისე უცბად მოხდა,
გამოთხოვებაც კი ძლივს მოასწრეს მეზობლებმა... აბა, ვინ იფიქრებდა?...
— რაღაცას მიყვება სულიკო, მაგრამ მე მისი არაფერი მესმის. მუხლები
მომეკვეთა. ჩანთა დავაგდე ტროტუარზე, ნელა დავეშვი ზედ და ზურგიით
კედელს მივეყრდენი. ერთი გავხედე გაციებულ სახლს და კანკალი ამივა-
რდა.

სულიკო კი ლაპარაკობს და ლაპარაკობს. იმას რა ესმის ჩემი ვარა-
მის? იმან ზომ არაფერი იცის ჩემს ლამაზ სიყვარულზე?.. ისე ყველა ყვე-
ლაფერს, როგორც ჩვეულებრივ სენსაციას, როგორც უცნაურ, საინტე-
რესო ამბავს.

— აღარ მოდიხარ სკოლაში?.. ჰა, რა მოგივიდა?.. — თანაც მანჯლ-
რევს და ცდილობს წამომამყენოს, — ადექი, დროა.

უანგარიშოდ, უწადილოდ, უღონოდ წამოვიმართე. ძლივს ავათრიე
ჩანთა და გაღახული ძაღლივით ავედეგნე სულიკოს.

იმ დღეს სკოლაში მეტზე ვერაფერზე ვფიქრობდი, თუ არა კანდე-
ლზე. სად არის ახლა?.. რას აკეთებს?.. რას ფიქრობს?..

ველარ მოვითმინე. მესამე გაკვეთილიდან წამოვედი გულდათუთქული
და პორტში გავედი.

კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ზღვა უღარდელად, წყნარად ფშვინავდა,
თითქოს მშვიდად სუნთქავსო.

კარგა ხანს თავმოკვეთილივით ვეგლე მწვანე გაზონთან განმარტობით
მღვარ ძელსკამზე. არც რამეს ვფიქრობდი, არც ვეოცნებობდი. უბრალოდ,
გაშოტილი ვიყავი, როგორც ლეში. რამდენიმე კაცმა შემაძინია. ცნობის-
მოყვარეობით შემათვალისწინებს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. ნავსადგურის
მორიგეზე ჩამოიარა, მაგრამ შენიშვნა არ მოუცია; ისე, ერთი გამომხედა
ქუფრად და წავიდა.

სალამოს გვიან დავბრუნდი სახლში. ჩვენები ყველანი შინ დამხვნენ.
რაკი თავის დროზე არ გამოეჩნდი, უჩემოდ ესადილათ კიდეც, დედა გამი-
ჯავრდა, სად ხარ ამდენ ხანს, სად დაეხეტებო, ზომ ხედავ, გამოცდები
კარს მოვადგა და შენ კი...

მამაჩემმა უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა:

— ჰო, კარგი, გაანებ თავი. თავად იცის თავისი საქმე, ბავშვი აღა-
რაო, — და მეტი არაფერი უთქვამს.

საჭმელს რა გამაკარებდა? უსიტყვოდ გავშალე ლოგინი და დაწვექი...
და არც აემღვარვარ სამ დღეს. მეორე დილით მოყვანილმა ექიმმა ვერა-
ფერი გვითხრა გარკვევით. სიცხე არ მქონდა და არც არაფერი მტკიოდა.
მოვიმიზეზე, ფეხზე რომ ვდგები, თავბრუ მეხვევა-მეთქი, და გადავრიე
კიდეც შინაურები.

სკოლაში როცა წავედი, რამდენიმე მასწავლებელმა შემნიშნა, როგორ
დაუფერთხიხარ ავადმყოფობასო. ბიჭები კი, აბა, ამას რას შემაძინევდნენ.
ვერც იმას ხედავდა ვინმე, რა გულჩათხრობილი და დაღვრემილი დავდი-
ოდი ამ ბოლო დროს.

ასეთ ყოფაში მიდიოდა დრო — ერთფეროვნად, გულის გამაწყალე-
ლად, უკემურად.

რამდენიმე კვირის შემდეგ მოხდა ისე, რომ სკოლიდან მარტო ვბრუნ-

დებოდი შინ. საშინელი სევდა მაწვა გულზე. სადარდოც ბევრი მქონდა: სწავლას ჩამოვრჩი, ღონე წამერთვა, არაფრის ხალისი არა მაქვს, არც არაფერი მართობს და მაინტერესებს. ათასგვარად ვთვალთმაქცობ, რომ უხასიათობა არავინ შემნიშნოს, არ დამიწყონ ჩამიება, კიდეც უფრო მეტად არ დამიკუწონ ისედაც დაგლეჯილი გული.

ის იყო, ჩვენს მოსახვევს დაუახლოვდი, რომ „ქელეფთერის ასობ-ნიაკის“ სადარბაზო კარებთან ორცხენიანი საზიდარი და რამდენიმე კაცი შევნიშნე, რაღაცას ფუსფუსებდნენ იქვე.

გული ამიჩქროლდა, გავშრი, გავქეკავდი. როგორც იქნა, მოვიკრიბე ძალა და რაღაც გაურკვეველ, პატარა იმედს ჩაბლაუჭებული, თრთოლვით წავედი იქეთკენ. მივედი და გული მომიკვდა. საზიდრით რაღაც-რაღაცე-ები მოეტანათ: შესადღებელი აპარატი, კასრები, საღებავები, კირით სავსე ტომრები... გათხუნულტანსაცმლიანი მღებავები უხმოდ საქმიანობდნენ. შედიოდნენ და გამოდიოდნენ მთლიანად გადახსნილ სადარბაზო კარებში და ჭუჭყიანი ფეხებით დაურიდებლად დაალაჯებდნენ ჯერ კიდეც სუფთად შემონახულ წითლად შეღებილ იატაკზე.

დიდხანს ვიდექი დაღუჯემილი და უსიტყვოდ შევეყურებდი მათ საქმიანობას. ერთ-ერთმა ხნიერმა მუშამ შემამჩნია. არ ვიცი, რა სევდა ამოიკითხა ჩემს თვალებში, რა ნაღველი შემნიშნა, ისეთი თანაგრძნობით რომ გამომხედა და თბილად, დაბალი ხმით მკითხა:

— რა იყო, ბიჭუნა, ხომ არ გინდა რამე?

რომ არაფერი ვუპასუხე, ინტერესით დამაკვირდა. თითქოს ჩემი გულისნაღები ამოიკითხაო, გასამხნეველად მითხრა:

— რას იზამ, ცხოვრებაში შენ რომ გინდა, ისე კი არ ხდება ყველაფერი... წავიდა ეს ხალხი და წავიდა... რა ვუყოთ მერე?.. აგერ ახლა რემონტს ვაკეთებთ... საბავშვო ბაღს დაუთმეს ეს სახლი... გაიხარებენ პატარები...

თქვა და ნელი ნაბიჯით შევიდა შენობაში.

დიდხანს ვიდექი. უკან აღარ გამობრუნებულა. არც სხვა ვინმე გამოჩენილა.

ასე მარტო ვდგევარ თვინიერი ცხენების წინ და გულგაღებულ სადარბაზოს შევცქერი წყლიანი თვალებით.

ერთი ნაბიჯი გადავდგი და მოწინებით შევიჭვრიტე შენობაში. დერეფანში მარჯვნივ ღია კარს მოვკარი თვალი და გული რაღაც უცნაურად ამიბაგუნდა. თითქოს ერთბაშად დაიძრა გაყინული სისხლი მარღვებში, შევტოკდი, შევინძერი, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე გაუბედავად დავიძარი და პირველად ჩემს სიცოცხლეში „ქელეფთერის ასობნიაკში“ შევდგი ფეხი.

ნელა ავიარე რამდენიმე საფეხური. ყველა კარი ღია დამხვდა. მარც-

ხნივ სამზარეულო მოჩანდა, წინ, ალბათ, სასადილო ოთახი იყო — უზარ-
მაზმარი მაგიდა იდგა მოჩუქურთმებული ფეხებით, რომლის წაღება, ეტ
ყობოდა, არ მოუსურვებია პატრონს.

ხელმარჯვნივ ოთახში შევიჭყიტე. ექიმის კაბინეტი აღმოჩნდა.
ფეხაკრფით, გულისფანტკალით გავედი შემდეგ ოთახში. ეს საწო-
ლი უნდა ყოფილიყო. უზარმაზარი გარდერობი იდგა კარებგაღებული.
ბევლმოდური ნიკელის საწოლები დაკეცილი ეყვო ერთიმეორეზე. უცებ
რადაც უცნაურმა ძალამ შემარყია. მოვწყდი ადგილს და სულ ბოლო, პა-
ტარა ოთახისაკენ გავქანდი. მთრთოლვარე ხელით გამოვაღე კარი და თი-
თქოს ვინმემ მიბიძგაო, ისე შევევარდი შიგ. ერთ ადგილას გავშეშდი და
გავიყინე. ჩემს წინ ფანჯარასთან მონიკელებული, უცნაური ვენზელებით
შემკული პატარა საწოლი იდგა.

კარგა ხანს ვიდექი და გაუნძრევლად ვუშზერდი. მერე გაუბედავად
მივედი ახლოს და მოკრძალებით შევახე ხელი. ცივი რკინა მსუბუქი,
მქრქალი მტვრით დაფარულიყო უკვე.

ტუჩები ამითრთოლდა, თვალები წამომიწითლდა და რომ არ ავტირე-
ბულიყავი, მაგრად შევკარი კრიჭა. მაინც ვერ გაუძელი, გული ამომიჯ-
და და ელვის სისწრაფით გავვარდი გარეთ ეზოს მხრიდან. კიბეზე, სწო-
რედ იქ, სადაც ჩვენი მატჩის დროს კანდელა იჯდა, ჩრდილში გაფენილ
გაზეთზე მუშებს სუფრა გაეშალათ, აქეთ-იქედან ჩამუხლულიყვნენ და
საჭმელს შეექცეოდნენ. არც ვაციე, არც ვაცხელე, გადავევლე მათ სუფ-
რას თავზე და ჭიშკრისაკენ მოვკურცხლე. ერთმა ახალგაზრდა მუშამ გა-
ბრაზებით დამადევნა:

— ე-ეი, ტუტუც!.. — კიდეც უნდოდა რაღაც ეთქვა, ალბათ, თავისე-
ბურად შემამკობდა, მაგრამ იმ ხნიერმა მუშამ, მე რომ სადარბაზოსთან
გამომეღაპარაკა, შეაჩერა. მომესმა, რომ უთხრა:

— თავი გაანებე, თუ კაცი ხარ!.. ვინ იცის... — მეტი არაფერი გამი-
გონია. უკვე ჩემი ჩანთიანად ქუჩაში ვიყავი გამოსული და ზღვისკენ გავრ-
ბოდი, რომ აქ ზედ წყლის პირად დავმჯდარიყავი და ამ ჩემი მესაიდუმლი-
სათვის შემეჩივლა გასაჭირი.

დღეები გადიოდა და მე მაინც არაფერი მშველოდა. გამაშუქეს, რენ-
დგენოგრამაც გადამიღეს, ანალიზებიც ამიღეს, აბებიც მაყლაპეს, ჰაერიც
გამომიცვალეს, მაგრამ ჩემს სატკივარს ვერაფერი უშველეს, მისი წამა-
ლი არა და არ მოიმეხნა. ერთადერთი, რამაც შეძლო საბოლოოდ ჩემი გა-
ნკურნება, ისევ ყველაზე დიდი მკურნალი — დრო იყო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბოლოს და ბოლოს, მომიშუშდა
იარები. დაყურდა გულის ტკივილი, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, მაგრამ
კარგა ხანს მაინც არ მასვენებდა სურვილი, როგორმე გამეგო, საბოლოოდ
რა ბედი ეწია „ქელეფთერის ასობნიაკის“ მობინადრეებს, რა მოუვალა იმ

დრდ, აწვობილ ოჯახს, როგორ წარიმართა „მშვენიერი დედოფლის“
ცხოვრება.

დრო მაინც დროა. თავისი გაიტანა. ცხოვრებაც თავისას შვება. არა-
ვინ იცის, ვის სად გადაიხვრის. და მეც მოვწყდი ჩემს ძველ, დიდ საბუ-
ღარს — უმაღლესის დამთავრების შემდეგ დედაქალაქში დავსახლდი და
მშობლიურ კუთხეს დრო და დრო თუ მოვაკითხავდი დედ-მამისა და მე-
გობრების მოსანახულებლად, საყვარელი ქალაქისათვის თვალის შესავ-
ლებად, დროის გასატარებლად და არ ყოფილა შემთხვევა, არ მომენახუ-
ლებინა „ქელეფთერის ასობნიაკი“, თვალი არ შემეცვლო ბოლო ფანჯრი-
სათვის, რომლიდანაც ერთ დროს ჩემი მანათობელი შუქი გამოერთოდა.

ყოველთვის უცნაურად შემატოკდებოდა გული ამ სახლის დანახვაზე.
კვლავ წამომიფრინდებოდა ფიქრების კორიანტელი, და ამ დროს უკვე
მიჭირდა აღძრული ინტერესის დაოკება — სად არის ახლა იგი. მაგრამ
არასოდეს არავისათვის არაფერი მიკითხავს, არასოდეს მიცდია გამეგო,
როგორ გაგრძელდა იმ დიდი ოჯახის ცხოვრება. ან ვისთვის უნდა მე-
კითხა? ვინ იყო მცნობი? არც ეს ვიცოდა.

ასე მგონია, მთელი ცხოვრება გავიდა მას შემდეგ. ახლა, როცა უკვე
აღარც დედა და აღარც მამა აღარ მეგებებიან ხოლმე ბათუმში იმ ახალ
სახლში, რომელშიც შემდეგ ისინი გადავიდნენ და დიდხანს სახლობდნენ,
მე მაინც ხშირად ჩავდივარ იქ, ჩემს მშობლიურ ქალაქში, რომლის გარე-
შე ვერ წარმომიდგენია არსებობა. რამდენი წელი გავიდა და მაინც ბა-
თუმელს მეძახიან კოლეგები.

ჩავალ, შევალებ ცარიელი ბინის კარებს, და რაღაც უცნაური სევდა-
ნარევი ნეტარება დამეუფლება. უმიზნოდ დავდივარ, დავბორიალობ ოთა-
ხებში და გულს ვერაფერს ვუდებ. გარეთ გამოვდივარ. ვიდრე მეგობრებს
მოვინახულებდე, ქალაქის ქუჩებს მოვედები. უეჭველად ვნახავ ჩემს სკო-
ლას, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაბანდებს, ჩემს ძველ ეზოს და იქედან, სულ
რაღაც ასიოდ ნაბიჯზე, „ქელეფთერის ასობნიაკისაკენ“ გავუხზევ. იგი
ახლაც ისეთივე დიდებული და მშვენიერია. ახლაც მწვანედაა შეღებილი
მისი ცხავიანი დიდი ჭიშკარი, ახლაც მაშინდელივით ლაპლაპებენ ფან-
ჯრის მინები.

გავჩერდები ქუჩის მეორე მხარეს და მოჯადოებული შევეყურებ ლამაზ,
ღარბაისლურ ძველ სახლს. მზიან დღეს ბოლომდე გადაღედილია ხოლ-
მე მისი. სარკმლები და იქედან პატარა ონავრების მხიარული ჟივილ-ხივი-
ლი ისმის.

ვდგავარ გაუნძრევლად, და თითქოს ვლოცულობდე, ისე ვდუღუნებ
გულში:

— გაიხარეთ, შვილებო!.. ნეტარი ცხოვრება თქვენ!.. და უღრუბლო
ზეცა!..

მესხური ციკლიდან

აჭარავ, ჩემო!

ხიზანის ციხიანო,
ლაზლის წინდიანო,
თამარის ქოშიანო,
ტბელის ფიქრიანო,
ვაზის ლერწიანო,
ხატულა ბანიანო,
აკენიან-ბალნიანო,
საროს ტანიანო,
თორმეტ ფესვიანო,
სარფის ქარიანო,
ალამდარიანო,
სხალთის ზარიანო;
გუდასტვირიანო,
ლოყა ხალიანო,
ოქრო ღილიანო,
აჭარავ, ჩემო...

ოთარ თაყთაყიშვილს

ვოკალური ციკლის „ვა-
რძის“ გამო...

აქ შეიძლება სიმღერა
ფრესკიდან ნათლის მთოველის,
აქ შეიძლება სიმღერა,
მაგრამ არა კი ყოველის.
ჰეი, რამდენი წელია
არ უმღერია აქ არვის,
მერე, რაც წიგნი წარგვტაცეს,
თვალნი ღალის და აქატის.
წადებულია საჭურჭლე,
გაძარცვულია საღარო,
ბერების ცრემლით ავსილი
წუხდა ქალაქის ლაფარო.

აქ რომ სინუმე რონინებს,
დიდი კივილის და არის,
აქ რომ ღამენი მოდიან,
კალთაა დედა თამარის,
აზავთებულა ყიფინა
თმენის, მოქცევის, ოტების,
ხერთვისის ბანზე დამსხდარან
ჩიტები, როგორც ნოტები...
აქ შეიძლება სიმღერა,
ფრესკიდან ნათლის მთოველის,
აქ შეიძლება სიმღერა,
მაგრამ არა კი ყოველის.

ამ დღეს ავუნთე სანთელი კმევად,
ისე იქნება, როგორც ინება
მიწამ მშობელმა, მთლად საქართველომ
ინება შენი აღორძინება.

გადაიწვიმებს ათასი წვიმა,
დაითალხება საქმენი თალხი,
ამდენ შენებას და აღშენებას
არ დაივიწყებს ქართველი ხალხი.
და ეფინება სამშობლოს მიწას
შენი ღროშების მწყაზარი კალთა,
ტანმოხატული ავაზასავით
წევს საქართველო აზიის კართან.
რეკეთ ზარები დიდგორს და შამქორს,
ეშვება დღეთა ნათელი ფარდა,
ვით მშობიარე და მომლოდინე
წევს საქართველო აზიის კართან.

●
ცაჲ, მზე აჩუქე მესხეთის მიწას,
იმის მოსავალს, ქორწილს და სამანს,
ახალგათხოვილ ობოლა ციცას,
მისი სიზმრებით მოჩითულ საბანს.
ივლისის გზაზე როგორც ლაშქარი,
მოათქარუნე ხოშორი წვიმა,
სოსლანის ფარზე ხმალი დაჰკარი,
რომ ცოცხალი ხარ და რომ არ გძინავს.
აატიტინე ქართულად ბაღლი,
რომ არ დაძველდეს აქ სიტყვის ყავლი,
მოატანინე თებრონეს წყალი,
შემოაგრაგნე ამ ბუხრებს ჭავლი.
თვალსაწიერზე, როგორც დევები,
ტაოს ხნიერი მთიები ჩანან,
შენი ოდების ღრიჭობიდან
ქარს გაატანე მესხური ნანა.
აქ სამომავლოდ გატეხე პური,
ადინე მტკვარი ქართლისკენ წაღმა,
აქ რომ იმედის ნერგები დავრგე
ნუმც შეატეხოს ფოთოლი ქარმა.

ჩემი ყაყაღი შენი ბანაჟენია

„ჟორიხი“ 1964 წლის ნომრებში მკითხველები გაცნენ რევას ოსეფაშვილის რომანის „ჩემი დუმილი შენი განაწენია“ ფრაგმენტებს, რომლებშიც ასახულია ქართული სოფლის ცხოვრება დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში.

ვბეჭდავთ ამ რომანის მომდევნო თავებს.

მზე საშინლად აჟერს.

სიმინდს ვთოხნით.

ჩვენი ბრიგადა ლარივითაა გაქიმული ყანაში. არდადეგებია. კომკავშირული ბრიგადა დროებით დაიშალა. ჩემთან მარტო ტუტუნია ბერძენიშვილი, ჯონდო ბერიშვილი, პეტრუა მინლაძე, ჟორა რამიშვილი, ოთარ ძნელაძე და წაკატაა, დანარჩენები ვინ სად წავიდა, დმერთმა უწყის. ყველას თავისი საქმე და საზრუნავი გამოუჩნდა. ჩვენს ბრიგადაზე საუვედური არ მეთქმის, მაგრამ ოთარია ძნელაძის წუწუნს ველარ ვუძღვებ: მარტო ჩვენლა ვართ უსაქმურებიო, იძახის.

გაოფლილ სახეზე მიწის მტვერი ფენებად მაჯის. ვიცი, ახლა მარტო კბილები მაქვს თეთრი. ამას კიდევ აიტანს კაცი, მაგრამ შიშველ მკლავებზე და ლოყებზე სიმინდის ფოთლები რომ მესახუნება და კანს მისერავს, ის მშლის ნერვებზე. დასერილ კანში ჩასული ოფლი მწვავს, მაგიჟებს. სახეზე აღმური ამდის, ცეცხლი მეკიდება. ორჯერ გადავწყვიტე: გავაგდე ახლა თოხს ზელიდან, მივატოვებ ყველას. ყველაფერს, გავიქცევი, ჩავგორდები მდინარეში, რომელიც აქვეა, სულ რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე და აღარ ამოვალ საღამომდე. მაინც რამზელაზე შხუის! მეძახის, ყოველ წუთში მახსენებს თავს. მარცხნივ დედა მიდგას, მარჯვნივ — ბენია ცინცაძე. ჩამოვრჩები თუ არა ნაპირს, ან დედაჩემი გადმომიყრავს თოხს, ან ბენია. ბენია ერთი თვეც არაა, რაც ფრონტიდან დაბრუნდა, მარცხენა ხელი მაჯის ცოტა ზემოთ აქვს წაჭრილი. თონისტარი ბაწრით ილაყვში გამოუბამს და ისე თოხნის. პოდა, სწორედ ეს მაჩერებს... ბრიგადის არც ერთი წევრი რომ ხმას არ იღებს და ისე მწარედ ურტყამს თოხს, თითქოს მთელ დარდს და ნაღველს, თუ ვილაცაზე ჭავრს, თოხის მაგრად მოქნევით იკლავსო — ესეც მაჩერებს... გვერდით რომ დედა მიდგას, მიწის მტვერი რომ მასაც ჩემსავით ეყრება სახეზე, პირი რომ მძლავრად მოუყუმავს, ცხვირით რომ სუნთქავს და არც ის იღებს ხმას და ესეც მაჩერებს... სამი თვის წინ ნიკიფორესაც რომ დაავლეს ხელი და ომში უკრეს თავი, ხოლო ერთ თვეში ფეხებმოყიხული დაბრუნდა, ახლა ყავარჩენები რომ ნიგვზის ძირში მიუწყვია, ჯორკოზე დამჭდარა და ისე თოხნის — ესეც მაჩერებს. მაქიმელა ცხოიძე დამუჩგებულის რომ დაბრუნ-

და ომიდან და ახლა „პია-პიას“ მეტს ვერაფერს ამბობს — ესეც მაჩერებს... მოკლედ ყველაფერი მაჩერებს.

დედაჩემი წარბშეკრული ჩასქცერის მიწას. ხელს ხანგამოშვებით ინაცვლებს. მე ვერა და ვერ ვისწავლე თოხზე ხელის შეცვლა. როგორც კი გადავიტან თოხის ტარს მარცხენა ხელში, ბალახის მაგიერ სიმინდს ვჭრი, ლობიოსა და სოიას სინსილას არ ვუშვებ. ლობიო ინდაურის ახალგაზოგადილ ჭუჭუკით სუსტია და ქიამკვდარა. თოხის ოდნავი წაქარებით ფესვიანად ვარდება მიწიდან. მართალია, არც ლობიო მე-ხატება მაინცდამაინც გულზე, მაგრამ სოიას კატეგორიულად ვერ ვიტან, რადგან მისგან მზადდება იაფოფხი.

იაფოფხი!

ბამბას უფრო ადვილად გადაულაპავს კაცი, ვიდრე იაფოფხის ლუქმას. ზედმეტი სიმშრალის გამო ყელში გეჩხირება, გულზე გეცემა და სანამ გაძლებოდე, ერთ სიკვდილს ინატრებ. მაგრამ ძალზე მატყუარაა: გკლავს კაცს, გახრჩობს და ისეთი გემრიელია, სულ გინდა ჭამო. რამდენჯერ მინატრია, ნეტავ ეს პურად გადამიქცია, ან უკვე გადაულაპული მქონდეს და მერე მომკლა არ ვჩივი-მეთქი!

— გალაიტანე, ბიჭო, თოხი მეორე ხელში, რომ რჩები ყოველ ფეხის ნაბიჯზე კასიანე თავართქილაძესავით! — მიყვირის მოთმინებადაკარგული დედაჩემი.

— ბიჭო, კვესია, — ყვება დედაჩემის ფეხის ხმას ბენია ცინცაძე, — სარი ხომ არ გაქვს გადაულაპული? დაიღუნე და ხელით გამოაცალე ლობიოს ბალახი, ყველა თუ მოჭერი, კასიანე თავართქილაძესავით, რა გამოვა? რას თოხნი შენ, მე მაინც ვერ გავიგე, სიმინდიან-სოიოან-ლობიოიანად ყველაფერს ჭრი.

მე ვიციანი.

— რა გაცინებს, ბიჭო? დავგზოცო გინდა შიმშილით?

— მიდიან ჩვენები წინ, ბენია ბიძია, ნუ გეშინია. — ვამშვიდებ მე.

— რომ მიდიან, ესე იგი აწვებიან, ხომ?

— კი, აწვებიან.

— მიწოლას ძალა ხომ უნდა?

— უნდა.

— ძალას ჭამა ხომ უნდა?

— უნდა.

— მერე რომ მიადექი და ჭრი, ჭრი და ჭრი, შე მამაძაღლო, რა ჭამონ წითელარ-მიელებმა, შენ თუ ლობიოს, სოიოს და სიმინდის სინსილა არ გაუშვი?

— ამ მოსავლის აღებამდე არ დამთავრდება ვითომ ომი ბენია ბიძია?

— მაგი ძნელი სათქმელია. გაქცეულ ძაღლს ჰგვანან ახლა ჰიტლერელები. გაჩერდებიან, მოგვიბრუდებიან, დაგვიკრევენ კბილებს, შეპოგვილრენენ, დაგვკბენენ და გარბიან ისევ. უკან იხედებიან და წეს გარბიან მაგი გათანსირებულები, თორემ უკან მოუხედავად რომ გარბოდნენ, რა გვიკირს მაშინ.

— ხელი? — ვკითხე მე.

— რა ხელი?

— შენი ხელი, ნაღმმა რომ...

— ჰოო, დამარტყა ნაღმმა, მომწყვიტა მარცხენა ხელი. ავიდე, ვნახე, საათი მუშაობდა. რა მექნა? შემოვდე ჭირკზე...

— იცინი, კაცო, მერე? — ეუბნება ბენიას ონოფრე კორიფაძე.

— ვიციანი, ჩემო ონოფრე, აბა, რომ ვიტყვი, დამიბრუნებს უკან ვინმე თუ?

— მერე რა ჭენი? მართალი თქვი, გაფიცებ ცოლ-შვილს, ბენია! — შეეხვეწა ონოფრე.

— რას ვიზამდი. კაცო, მართლა ჭირკვზე შემოვდე, მარა გულმა არ მომიტმინა და დავმარხე მერე საკუთარი ხელი.

კასიანე პირდაღებული დგას და ისე შესცქერის ბენიას.

— ვაი, შენს დედას, შვილო! — იცრემლებიან ქალები და ჩუმად იწმენდენ ცრემლს.

— კასიანე, ან პირი დამუწე, ან იმუშავე, გავიდა ღობიო თოხზე! — ეძახის ონოფრე.

— პატოცემულო ონოფრე, გამიშვი წყალზე, თვარა გამიშრა პირი. — ეხვეწება კასიანე.

— გაგიშრა სისხლი! წადი და მისული რომ არ მეგონო, აქ იყავი. — ნებას რთავს ონოფრე. ახლა ონოფრეც ჩვენსავით მუშაობს. ჩვენსავით ხნავს, თესავს, უბაყუნებს თოხს, რადგან ისეთი დაქრილები და დამახინჯებულები ჩამოვიდნენ კაცები, რომ მისი ფეხი აღარაფერი ჩანს იმათთან შედარებით.

ტუტუნიკა ბერძენიშვილი სიმღერას იწყებს. ონოფრე, ოთარია ძნელაძე, და ჟორა ჩამიშვილი ბანს გოდრით დგამენ. ბენია კრიმანჭულს ეუბნება.

ლადარივით ცხელია მიწა და ლადარივით ცხელ გულს მთის გრილი ნიავევით უზერავს სიმღერა. არასოდეს მიცდია, მქონდა თუ არა ხმა. ხანდახან, მერეში, მარტო უოფნისას თუ წამომცდენია და მაშინვე გავჩუმებულვარ. ერთხელ ცოტა დავლიეთ ბიჭებმა და სხვებთან ერთად მეც პირი დავადე. უცებ, ოთარია ძნელაძე მეცა, ცუდია, ძროხა რომ შეგაბდავლებსო, თქვა, თმა ამაქილა, ძირს დაავლო და ფეხით მოსრისა. სიმღერა ლამაზების საქმეა. ჰოდა, ვისმენდი ახლა უანის ამ ნაპირივით გრძელ, გაუთავებელ კრიმანჭულს და ვხედავდი ბენია ცინცაძის ნაწამებ, დამტვერილ სახეზე როგორ ჩამოგორდა ორად-ორი წვეთი ცრემლი წამოზრდილ წვერში. კი არ ჩაგორდა, ჩაცურდა და ლოყაზე, ავდარში ჰკიპეულას განაცოცხლებით, ორი ზოლი დატოვა...

თავდება ნაპირი. თავდება ჩემი მოთმინებაც. მავიწყდება ბენიას ცრემლი, დედაჩემის მოწყვნილობაც, ტუტუნიკას ძალად წამოწყებული სიმღერაც, პირველი ვაგდებ თოხს ხელიდან და გავრბივარ სუფსისკენ.

— არიქა, ბიჭო, არ მოგასწროს ვინმემ! — მეძახის დედაჩემი.

უზარმაზარ ტბაში, რომელსაც შავფეხას ეძახისთ, კასიანე დგაფუნობს. მხიარული დელფინივით ხან ჩაყურყურმალავდება, ხან ამოყურყურმალავდება და ზურგზე წოლით ეშაივით ასხამს მეჩხერი კბილებიდან წყალს. უღალ წვერზე წყლის წვეთები მარგალიტებივით უბრწყინავს. მტვრით გამურულის მაგიერ ახლა წყლით დაბანილი სახე სუფთა აქვს და ლამაზი მეჩვენება კასიანე.

დავჯექი. გრილი სიო ნელა მომელამუნა შუბლზე. ჩემს გვერდით ოთარი ძნელაძე ჯდება.

— კესია, რამდენ ხანს გაძლებ წყალში? — მეკითხება. ეტუობა, მასაც სიამოვნებს წყლიდან მონაბერი გრილი ნიავე.

— ახლა?

— ვთქვათ, ახლა.

— ახლა დილიდან საღამომდე.

— ბევრია, მოუყელი ცოტა.

— ოღონდ, თავი მაღლა მექნება ამოყოფილი.

ოთარია ძნელაძე ტულანჯაში კაცივით იქყანება.

— ონოფრეც მოდის. აღბათ იბანავებს ისიც. — თქვა ტუტუნიკა ბერძენიშვილმა და ჩემს გვერდით ჩამოჯდა. პეტუშა მინდაძეს გზადაგზა გაეხალა ტანსაცმელი და შორიდან გამოქანებული ღრიალ-ღრიალით გადაეშვა წყალში.

— მოდი, გავაცუროთ. — თქვა წაკატამ.

— ონოფრე? — ვიკითხე მე. .

— ჰო, ონოფრე. მაგი სულ გვაცურებს, დღეში ცხრა გერმანელს ვკლავდიო და ერთი ჩვენც მოვსინჯოთ.

— ცნა გერმანელი შეიძლება ერთ წაშში მოკლა. — თქვა ტუტუნია ბერძენი-ნიშვილმა და შარვალი გაიხადა.

— კი მაგრამ, ყოველ დღე ცხრა გერმანელი? ცოტა ან არ მოიკლო, ან არ მოიმატა? — გული მოუვიდა წაატახს.

შინდის ჯოხზე დაბჯენილი ონოფრე, ჩვენგან მოშორებით, ნაიღადაც წყლის მიერ ჩამოთრეულ უშველებელ როკთან მივიდა. გაშვებული ფეხი წინ გაიშვირა და ჩამოჭდა, ხე წყალს ისე გაერეცნა, ძვალს გავდა.

ბანაობა აღარ მინდოდა, მაინც დავიწყე გახდა.

ამასობაში მაქიმედაც მოვიდა.

— პია, პია... ნწუ, ნწუ, ნწუ! — გადაქნია თავი მაქიმედამ და დამწუხრებული თვალებით მე შემოხედა. ეს მისი პირველი შემოხედვა იყო, რაც ფრონტიდან დაბრუნდა. მორგვივით კაცი ერთ კვირაში დადნა, ცხვირი ყვავივით ჩამოუშვა, თვალები ჩაუცვივდა, მუცელი ხერხემალზე აეკრა და წელში მოიხარა. ეს ყველაფერი ფულის ბრალს იყო. სახლიც დახვდა, ბუხარიც, მაგრამ ფული აღარ დახვდა სამაგიეროდ. პირველ დღეებში რა თქმა უნდა, შემეშინდა. დარდით აღარ ვიყავი. ჩემს თავს არ ვჩიოდი, ვიჭიქრე, მარიკას მოკლავს-მეთქი. არ ვიცი, დაწვრილებით გაიგო თუ არა ყველაფერი, მაგრამ ფული მე რომ წავიდე და სახელმწიფოს ანგარიშზე ჩავრიცხე, ეს კი იცოდა და, ალბათ, ამიტომ ვერ ბედავდა ხმის აწოლებას.

ხმა — მაქიმედა დამუწეხებული ჩამოვიდაო — იმავე დღეს ელვასავით გავრცელდა სოფელში. დაღამებოდა თუ არა, გამოვძვრებოდი ლოგინიდან, გადავიდოდი ეზოდან, ჩავიპარებოდი მაქიმედას ეზოში, შევძვრებოდი მისი ოდის ქვეშ და დილაშუა ვშუტდი. მიკვირდა, როგორ უოფნიდა მაქიმედას მოთმინება. მთელ დღეებს „პია-პიას“ ძახილში ატარებდა მაქიმედა, ხოლო ღამეობით, მისი სახლიდან ბუსუნია არ გამოდიოდა. გული გადამელია. ვიცოდი, მაქიმედა დღე არასდროს არ მოინახულებდა თავის ფულს. და, აი, ერთ ღამეს, და ეს, მე მგონი, მეთათე ღამე იყო მისი ჩამოსვლიდან, მაქიმედას სახლის უკანა კარებმა გაიჭირალა. გულმა რეჩხი მიყო, სუნთქვა შევიკარი, ოდის შიდა ბარჯგს ავეტმასნე და მშერად ვიქეცი. სამარის ქვასავით ცივი იყო გათლილი ქვის ბარჯგი. გახურებულ ხელისგულებს მიცივებდა და ქვეცნობიერად მსიამოვნებდა. წელს საკმაოდ გრილოდა, მაგრამ უცებ დამცხა და ოფლში გავიწურე. ისევ გაიჭირალა კარმა. ისევ ჩამოვარდა სიწუმე. ოთხსაფეხურიან კიბეზე ნელა დაეშვა მაქიმედას გრძელნიფხვიანი, ფლოსტებში გაყრილი ფეხები. ჩამოათავა თუ არა კიბე, გაჩერდა. ეტყობოდა კედელს აეკრა და არემარწუ ზევრავდა. ისე დიდხანს იდგა კედელთან მაქიმედა, რომ ლოდინით გული გადამელია. მერე, როგორც იქნა, დაიხარა, შემოძვრა ოდის ქვეშ და იქაც გაქვავდა. ეს იყო ყველაზე კრიტიკული მომენტი. მართალია, ბარჯგს ღამურასავით ვიყავი აკრული, მაგრამ შემეპარა ექვი, ნაღდად დამიწანა და ვერ დარწმუნებულა, დამიანი ვარ თუ მოლანდუშა-მეთქი. მაინც რისი იმედი მქონდა, გასაკვირა! სულ ერთი ხელის გამოწვდენა იყო საჭირო, რომ კლიკში ხელი ეტაცებინა. სად წავუვიდოდი? დამითრევდა და, თუ მოინდომებდა, სულს ამომხდიდა ცემაში. მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ მაქიმედა მხოლოდ ყურის იმედით იყო და თვალს მაინცდამაინც არ უჯერებდა. როგორც იქნა, ამუშავდა მაქიმედა. უზმაუროდ დაიწყო მიწის თხრა. მგონი, არც კი სუნთქავდა, ისე ჩუმად ხმარობდა წინასწარ მომზადებულ მოკლეტარაიან ბარს. დიდი ხანი არ დასჭირვებია, ქოთანზე ხენვით ამოთხარა, გაწმინდა, მუხლებზე დაიდგა, სული მოითქვა, ოფლიანი შუბლი სახელთით მოიწმინდა, თავი შოხსნა, შიგ ხელი ნელა ჩაჰყო და...

გაცივდა. ძალიან დიდხანს იყო ასე, მუხლებზე ჩამჯდარი, წელში ორად მოხრილი. ახლა ხამდვილად აღარ სუნთქავდა. უცებ, „პია-პიას“ და მის მიერ მოგონილი მუნჯური ლაპარაკის მაგიერ ნათლად გავიგონე მკაფიოდ გამოკვეთილი, გულიდან ამოხეთქილი სიტყვები:

— ვიმე, დაქციულო ოჯახო!.. ვაცრუებულო იმედებო!.. ვინ მოგაგნო და ვინ ამოგიღო... ვინ მივანო ახლა მე და ვის ამოვულო გული, მითხარი, ამის დედა ვატირე!.. პია-პია! — დაიძახა ბოლოს მაქიმედამ გამგმირავი ხმით. მაგრამ ამ ხმაში იმდენი სახოწარკვეთა ისმოდა, სხვა დროს, აუცილებლად შემებრალებოდა. ნელ-ნელა გავცურდი უკან, მიწაზე ზოხვით შევსრიალდი უანაში, მერე წამოვდექი და გიჟვით მოვკურცხლე სახლისაკენ. ვიღას უშალავდა, ჩემზე უარესს, თავის მუნჯობას, არ ვიცი, მაგრამ იგი მაინც ვანაგრძობდა თავის „პია-პიას“ ღრიალს. მერე ეს ღრიალი ქალურ მოთქმეში გადავიდა, თმებგაშლილი ქალის მოთქმეში, რომელმაც გულის საყვარელი, უველაზე მახლობელი ადამიანი დაკარგა. მაქიმედა კიბეზე ავარდა, კარები ხმაურით მიიკეტა და ხმაც მოწყდა.

ერთ კვირას მაქიმედამ ლანდი არ დაუნახავს სოფელს. მტერსაც და მოყვარესაც ერთხანად ანტერესებდა, რას მოიმოქმედებდა მაქიმედა. მაგრამ ერთხელ უკვე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ მაქიმედა სულელი არ იყო. პირიქით, მასზე ეშმაკი და გაიძვერა შეორე არ დაიარებოდა მთელ სოფელში. მაქიმედამ აფეთქებაც იცოდა და გაწოლაც, წაყრუებაც და ქვესენილში ჩაყოლაც. მაქიმედა ძალიანაც კარგად მიხვდა, რა მოჰყვებოდა მის აფეთქებას და წაყრუება ამჯობინა. წაუყრუა და დადნა კიდევ ფიქრებში კაცი. აი, სწორედ ასეთი დამდნარი, ძვალ-ტყავად ქცეული მაქიმედა იდგა ახლა ჩემს შორიანდო და, „პია-პიო“, იძახდა. იგი ახლა მოშინაურებული ტყისკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— რა უნდა? — წამჩურჩულა ტუტუნიკა ბერძენიშვილმა.

— სიკვდილი და არგადარჩენა უნდა, რა ვიცი მე!

— ზღვას კვიშა აკლია, ბიჭო, მაგას თუ შენგან სიკვდილი და ცოცხლად დამარბევა აკლია. მოთხარე, მოსხე, ამოგადე კაცი და კიდევ სიკვდილს ემართლები? სასიამაო მაინც არ იყოს შენი.

— პია-პია-პია! — უფრო მომიჩოქდა მაქიმედა, მიღიმოდა, თვალები უღელავდა. ვერ გავიგე, რა უნდოდა, რად იშვერდა ხელს წყლისკენ. მაინც ვუთხარი:

— არ მინდა ბანაობა.

— აა-პა-პა-პა-პა! — გასასვსავა ხელები მაქიმედამ, გავვოცდი. ერთი პირი, კონაღამ დაგრწმუნდი, რომ მაქიმედა მართლა მუნჯი იყო და იმ ღამეს მე მხოლოდ მომეყურა ის, რაც მან ისე გარკვევით თქვა.

— რა უნდა? — ახლა ხმამაღლა მკითხა ტუტუნიკამ.


— კასიანე დაუყვინთეო. — ვუპასუხე მე.

— ო!.. ო!.. ო!.. — დაიქნია თავი მაქიმედამ.

— აია, ბიჭო, მუნჯი სიმამრი, კვესია სიღერსაც რომ მოუხერხებდე რამეს, შენს ბედს ძალიან არ დაუყვს. — წამჩურჩულა ისევ ტუტუნიკამ. მე სიცილი შემსკდა. მაქიმედა მოიღუშა.

— რას შეკარი წარბები? — ვკითხე მე, — არ ხარ შენ მუნჯი, მაქიმედ ბიძია. რამდენ ასოსაც შენ წარმოთქვამ — ჩამოვუთვალე თითებზე. — მეტი ასო არცაა ქართულ ანბანში, კი, კი, დამიჯერე, გადაადგილ-გადმოაადგილე ეს ასოები, დაუმატე ერთი ან ორი კიდევ და, სხვას რომ თავი დაანებო, მშვენიერი გინება გამოგივა.

მაქიმედა თვალებად იქცა, მაგრამ ძველ დიდებადაკარგულ კაცს. იმდენი ზემოქმედების უნარი აღარ გააჩნდა, მე რომ შევეშინებინე. მაქიმედა ხომ ფულით იყო



ერთ დროს ძლიერი? ახლა ისედაც დაჩაჩანაკებული და თვალდაბრუნებული რომ დავინახე, ისევ სიცოცხლის გუნებაზე დავდექი.

ამასობაში ნიკიფორიც მოჩაჩუნდა თავისი უშველებელი ყვარჯნებით. თითქოს ყველამ დაშინახოს, რა დღეში ვარო, შუა ადგილას დადგა, ოდელით დასველებულ თავზე ცხვრისხაზი გადაისვა, ფეხებამობრუნებულ კუნძვე კუთვა-კუთვით ჩამოჭრა, ყვარჯნები გვერდით მოიწყო და კასიანეს დგაფუნს თვალი გააუოლა.

— მოვიდა მეორე ანგელოზი! — ვთქვი მე. — მამა აბრამის ბატანი! ესეც კონტუზიანია, მაქიმელასავით, ოღონდ საქმე ისაა, რომ ფეხებში აქვს კონტუზია.

— ყველაფერი გამიგონია და ფეხებში კონტუზია არ გამიგონია, რაც მართალია, მართალია. — თქვა ტუტუნიკამ, იგი წვივებს იფხანდა და თვალებს ისე ღულაფდა, როგორც ღორი, რომელსაც მუცელზე ფხანენ.

— რომ არ გაგიგონია, იმიტომ ვამბობ მეც. შენ გგონია, ფეხები ტკივა მაგას? ტუტუნიკამ ფხანა შეწყვიტა.

— რას ამბობ, კვესია, გაგიუდი? რას გადაეკიდე ამ ხალხს და მოსვენებას აღარ აძლევ? კაი, ბატონო, ვთქვათ, მაქიმელა დაგლაზნდა და თავს იმუწებს, მარა აგი საბჭოს თავმჯდომარედ ნამყოფი კაციც ისე წახნა ვითომ, რომ კოკლობას იგონებს?

— ჩემი თვალით დავინახე, ნაორდალაზე, როგორ ამოიღო ილიებიში ყვარჯნები და როგორ გაიქცა.

— არ იზამდა მაგას მაგი.

— კი, კაციშვილი არ ჭკანებდა მაშინ იმ არემარეზე. იფიქრა, ალბათ, მთლად არ დავსაყარდეთ, და თავი მოსინჯა.

— თავი კი არა, ფეხები მოუსინჯავს. — შემისწორა ტუტუნიკამ.

— ოჰ, მაგათი დეზერტირი დედა ვატირე! — ამოვიხრე მე.

— ახლა რას ფიქრობ? — მკითხა ტუტუნიკამ და წვივების ფხანა განაგრძო. ბალახმა დამჭამაო, მთელ დამეს არ დამაძინებსო, ამბობდა. შენ თუ გაფხანინებსო, მკითხა. არა-მეთქი, თავი გავუქნიე. რას ფიქრობ ზაქიმელაზე და ნიკიფორეზეო, შემახსენა.

— კომკავშირის კრებაზე უნდა გავიტანო საკითხი.

— იჲ!

— რა „იჲ“?

— ჩვენს კომკავშირს რაში ეკითხება ომის დეზერტირების საკითხი?

— აბა, ვის ეკითხება?

— სხვებს.

— შენ გინდა, ჩვენ თვალი დავხუკოთ და სხვებმა იმტვირონ თავი? რისი გაცეთებაჲ ჩვენ შეგვიძლია, ჩვენ გვაკეთოთ, რისი გაცეთებაჲ არ შეგვიძლება — სხვები გაცეთებენ.

— ნუ ზტუნავხარ, კვესია. მაქიმელა და ნიკიფორე ხალხის წარმომადგენლები არიან. ხალხს თავს ნუ შეაძულე. სწვა რომ არა, ინტრიგანს დაგიახებენ. ჩვენ ჩვენი საქმეებიც გვეოფნის და ის გვაკეთოთ.

— ხომ არ გგონია, მაქიმელას და ნიკიფორეს დავიბარებ კრებაზე? პირველად არა, მაგრამ მერე, როგორც მშობლებს, კი დავიბარებ.

— მერე რატომ?

— მერე იმიტომ, რომ თუ ჩემს „ულტიმატუმს“ არ შეასრულებენ, იძულებული გავხდები, დავიბარო. მანამდე კი მათ შვილებს გავაფრთხილებ, ხანამ საქმე საქმეზე არ მიმდგარა, გაუშვით თქვენი მამები ფრონტზე-მეთქი.

— კაი საქმეა მაგი. — თქვა ტუტუნიკამ, წვივებს თავი მიანება, ხელები უკან

წაიღო, ზედ დაეყრდნო, თავი ასწია, ცას მეოცნებესავით შეაშტერდა და დაიწყო, კაი საქმეა, მარა იცი ხანდახან რას ვფიქრობ? უნდა ვაპატიოთ ზოგჯერ ასეთ ადამიანებს. ესენი უკიდურესად მშოშარები არიან. მათგან არც არაფერი გვესწავლება და ჩვენც არ უნდა ავიღოთ მაგათგან მაგალითი. ღმერთს ამ წვეწვად ყველანი ერთ-ნაირები რომ გავჩინეთ, არც ივარგებდა. საშინელი ომია, ბიჭო, ეს ომი. მე, მართალია, ჩემი თვალთ არ მინახავს, მაგრამ ვგრძნობ, რომ საშინელია. ვინ იცის, რამდენი გაგიჟდა შიშისაგან და ისე შეაკლა მტერს თავი. მაგი კი არა, ბიჭო, ერთხელ, ღამით, ფაცერიდან ვბრუნდებოდი. ცალ ხელში კაკვზე აცმული თევზი მეჭირა, ცალში — მუგუზალი, რომლითაც გზას მოვინათვლდი. მეშინოდა. ღამე ვის არ ეშინია. თვალებს იქით-აქეთ ვაცეცებდი. ესოში რომ შევედი, თავი საშვიდობოს ვიგრძენი. სამზადს ჩავუარე და ის იყო ოდაში უნდა ავსულიყავი, რომ ჩემს წინ ორმა ელექტროლამ თვალმა გაანათა და იმავე წამში საწარლად დაფჩენილი ხახა დავინახე. ეს იყო ჩემი ძაღლი, კისერში ბანალაბურძენილი, ყალყზე შემდგარი ჩემი თეთრი ძაღლი, რომელსაც, თურმე, ეძინა, ფეხის ზედაზე უეცრად წამოვარდა, ვერ მიცნო და ყუფით მეცა. მე ჩემი ღამეშართა. რომელი გიჟი დაიბღვლებდა ისე, მე რომ დავიბღვლე. შიშმა ქნა ეს. ისე გადავედი კუდიდან, საკუთარი ძაღლი ვერ ვიცანი, დაფჩენილ პირში მუგუზალი ჩავთხარე... არა, არც კი ვიცი, რატომ მოვიყვანე ახლა მე ეს მაგალითი, მაგრამ ერთს გეტყვი, გაგიჟებამდე მისული კაცის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კვიანმა კაცმა გიჟის პოზიციებიდან არ უნდა გადაჭრას. ასეთი ადამიანების მკურნალი დროა. შენ გინდა, მაქიმედა და ნიკიფორე კომკავშირის კრებაზე ნათქვამი სიტყვებით მოარჯულო და ისევ ფრონტზე გაგზავნო; რა გამოვა მერე მაგათგან?

— მაგათგან არაფერი, ეს ვიცი, მართალი ხარ შენ, მაგრამ ხვალ რომ ეს ომი დამთავრდეს და ზეგ მეორე დაიწყოს, მაქიმედას და ნიკიფორეს, იცი რამდენი მიმდევარი გაუჩნდება? ამიტომ აქედანვეა საქირო მაგისთანა ხალხზე ღონისძიების გატარება, რომ სხვებმა მსგავს საქციელზე აღარ იფიქრონ. არ უჯობდათ, იქ დახოცილიყვნენ, შინ ასე სამარცხვინოდ გამოქცევას?

— არ მჯერა, რაღაც მაგი აზნავი...

— იცი რა ტუტუნია, ხანდახან, რომ ვუყვირდები, არც მე მჯერა, ისე მამაძაღლურად არტისტობენ მაგი უპატრონოები.

— ღმერთს ნუ სცოდავ, კვესია. — თქვა ტუტუნიამ, ადგა, მხარზე ხელი დამაქლო და მითხრა, — გაფრთხილებ, არაფერი უთხრა არც მაგათ შვილებს და არც თვითონ მათ, თორემ შეიძლება შემოგატიონ და უარესი გითხრან...

მაშინ ერთბაშად ვერ მივხვდი, რისი თქმა სურდა ტუტუნიას, რისთვის მაფრთხილებდა ასე მწარედ. საამისოდ დაფიქრების საშუალება არ მომეცა, რადგან იმ წუთში ონოფრემ დამიძახა:

— კვესია, მოდი, ერთი, ბიძია, შენს გაზრდას, კასიანეს დამიძახე, მაგ ღორიხვას!

რაღაც წავილულულდე, შარვალი გავიხადე და წყალში გადავეშვი. თავი რომ ამოვყავი, კასიანეს გვერდით ვიყავი. კასიანე ისევ გულაღმა იწვა და ისევ აპურტყებდა წყალს.

— ონოფრე გეძახის, პატივცემულ კასიანე! — ჩავძახე ყურში და მაშინვე ნაპირისაკენ წამოვედი. ტუტუნია აღარსად ჩანდა. ნაპირ-ნაპირ დავიწყე ცურვა... მაინც რა უნდა მითხრან? არა, რა უნდა მითხრან?..

კასიანე წყლიდან ამოვიდა, ორი ბრტყელი ქვა მონახა, ერთი ყურზე მიიღო, მეორე ქვეშიდან დაიკაუნა. ასე გააკეთა ორივე ყურზე რიგრიგობით. მერე ნაპირ-ნაპირ, ქერეზზე, ასკინკილა სირბილს მოჰყვა, ხან ერთ და ხან მეორე მხარეს გადა-



ფერდებული. წყალს უშვებდა ყურებიდან. ბოლოს, როგორც იქნა, მივიდა ონოფრესთან, თუმცა თავს ისევ იჩქევდა ბუჩქნადასეული ცხენით.

— გესმენთ, ბატონო. — თქვა მან. კასიანეს გრძელი ნიფხავი ეცვა.

— კასიანე, — უთხრა ონოფრემ, — შენ ხომ მთხოვე წელან წყალზე გამიშვიო?

კასიანემ ტბისკენ ცერა თითი გაიშვირა და თქვა:

— მერე, ღვინოა ეს?

გამეცინა. ნაპირის მოლიპულ მიწას ფეხი ვკარი და ტბაში ზურგიით შევცურდი. გულაღმა ვწევარ. ხელებს ოდნავ ვაქნევ, რომ არ ჩავიძირო. ზღვაში სულ სხვანაირადაა. იქ ოღონდ დაწევი გულაღმა, გადაშალე ხელ-ფეხი და იყავი სანამ არ მოგწყინდება. მდინარეში კი, თუ არ იმოძრავებ, ჩაიძირები, ან წყალი წაგიღებს.

ცას ავეურებ.

მზე ოდნავ გადახრილია. ჩემს ზემოთ ჰაერი დახუთებულია და გაუმჟვირალე. ისეთი წარმოდგენა მაქვს, თითქოს სველ მინაში, ან ბროლის ქიქაში ვიხედები. ლურჯ ცაზე ერთადერთ ღრუბელს ვხედავ. ღრუბელი ტუტუნიკას ძალღვივით თეთრია და. უნებლიეთ, დედაჩემის საწოლთან დაგდებულ კურდღლის ტყავს მაგონებს.

— იფ, რა კაცია, ბიჭო! — იძახის ოთარია ძნელად და წყალში ისე ჭყუშპალობს, როგორც იხეი. — შენი ქირიმე, შენი! დაძინება რომ შეიძლებოდეს შიგ, არდამძინებლის დედა ვატირე მე ჩემდა თავად!

ჩემს გვერდით კასიანემ ამოყო თავი.

— რა უნდოდა? — ისე ვკითხე, ვითომც არაფერი გამეგონა.

— ადამიანია ონოფრე. — თქვა კასიანემ და გაიცინა. — აბა რაი ახლა!

— რაო? — ვკითხე ისევ, რადგან მეტი საქმე არაფერი მქონდა.

კასიანემ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს უკანიდან ვარე მიეპარა, თავზე ხელი დაადო და ფსკერამდე დაუშვა. კასიანემ რომ ამოყვინთა, ვარემ ჩაყვინთა და ახლა ფეხებით დაითრია დაბლა.

— ბაღნებო, — მოადგა ამ დროს ონოფრე ნაპარს, — ამოით აწი ზევით. რაა მართლა, რომ გადაიქცით წყლის ცხოველებად. გეყოფათ, დანარჩენი საღამოს იბანავეთ!

ბენია ცინცადე ნაპირზე იდგა და ცალი ხელით, რაღაც ორი ღერი თმა ჰქონდა შერჩენილი, იმას ივარცხნიდა.

მე ავედი და სილაში გავგორდი. ერთ წამსაც არ გაუვლია, რომ ჩემს გვერდით ჯერ ოთარია დედა, თავისი ლაჭებში გამოკერილი შაიკით, მერე პეტრეშა, ცხრა ადგილას დაკერებული ტრუსიკით, მერე ქალის ტრიკოში გამოწყობილი ტუტუნიკა და ბოლოს კასიანეშა გაადინა ტყეპა თავისი გრძელი ნიფხვით.

— რაა ახლა ეს? — გაანჩხლა ონოფრე. — წყალში გინდათ დაღამოთ? აღარც სადილი გინდათ, თქვე უპატრონოებო?

სულ რაღაც ხუთიოდე წამში ტბაც დაცარიელდა და ნაპირიც. როცა მთელი ღლის ნამუშევარ, მოშვებულ კაცს, კაკლის ხის ჩრდილში, შემწვარ-მოხრაკული არა, მაგრამ ისე, სულის მოსაბრუნებელი სადილი მაინც გეგულდება, წყალში რა გაგაჩერებს?

მაგრამ მე ისევ სილაზე ვწევარ. ორივე ხელი თავქვეშ მაქვს ამოღებული. ისევ მივუბრუნდი ტუტუნიკას სიტყვებს. რა უნდა მითხრან უარესი მაქიმედამ, ნიკიფორემ, მისმა ბიჭმა ვიამ, ან მარკამ?

ცას ავეურებ. ცაში მწერები ბუზიან, ნუთუ მზისგან დამუხტული ჰაერი გამოსცემს ამისთანა ხმას? ან სად დასაქარავში არიან ის უხილავი მწერები, ხმა რომ ისმის და თვითონ არ ჩანან?

(გაგრძელება იქნება)

შენი სამოთხე

როგორ კეკლუცობს შენში სამოთხე,
ჩემიც რომ იყო და დამიკარგავს,
ყოფნიხარ ქმარ-შვილს, კიდევ სამ ოთახს,
ლამაზად ქსოვ და ლამაზად ქარგავ.
ჰე კი, შემკრთალი ძველი ცოდვებით,
ჩემს თავს ვაძევებ სამოთხის გარეთ
და უცნაური თავგამოდებით
ვაწყდები უცნობ პოლუსს და განედს.
ალბათ, არ შეგხვდა გველი და ეშმა,
ვერ აგათრთოლეს წყნარი და მშვიდი,
შენს შეშუპებულ, ღაბუა ყელში
სამოთხის ძველი მდინარე მიდის.
და ჩემი ძველი სახლი და ბაღი
შენი შუბლიდან გადმომხედავენ,
რომ მომაგონონ ღვთიური დაღი
ძოკრძალებით და გაუბედავად.
და მზერა, სიმწრით თვალს რომ ვარადებ,
უკვდავებაში რაღაცით მგავდა,
შენი სამოთხე ყველას დაიტევს,
ჩემი ცრემლის და სასჯელის გარდა.

ეტლით დასდევდა

ორივე პოეტს ჭავჭავაძეთა
სიკვდილი თურმე ეტლით დასდევდა.
ძირს გადმოვარდა ერთი ეტლიდან,
ვისაც ამბოხი ცრემლად ადინეს
და სიკვდილამდე ვინაც ეტრფოდა
სამშობლოს, მუნდირს, ლექსს და ნადიმებს,
მალე ჩამქრაღა მისი სანთური,
ტანჯვით გასცლია საწუთროს ოხერს,
იმპერატორის ზრდილი ნათლული,
შეგუებული და შეამბოხე.

გეორგე — ბრძენი და შერისხული,
მამულზე ფიქრით გამთბარი მწირი,
ეტლში დაცხრილეს და მისი სისხლი
წინამურმა და მზემ შეიწირა.
და აკაკისთან მერცხალს მიჰქონდა
დარდი არაგვთან მოკლულ ძმასზედა...
ორივე პოეტს ჭავჭავაძეთა
სიკვდილი თურმე ეტლით დასდევდა.

ჯემალ სურამანიძე

მოდოლინი

თოვლზე ნატერფალები გზას მიკვლევდა შენამდე,
თითქოს ვიღაც მომდევდა, ოფელში ვიყავ ყელამდი.
ფიფქის კორიანტელი თოვლზე დაწვა დაღლილი,
წინ გარბოდა ბილიკი მონადირე ძაღლივით.
მივდიოდი, გეძებდი, შენ კი არსად არ ჩანდი,
მახსოვს, როგორ დამტოვე, არ მითხარი „ნახვამდის“,
მე კი შენატრებული ყოველ წამს და ყოველ ღღე,
ღმერთო, შემადლებინე რომ მოვიდე შენამდე.



თოვდა, თოლიებს ჩემს ეზოში საკენკს ვუყვრიდი,
რას ვიფიქრებდი, სოფელში თუ გვესტუმრებოდნენ,
ისე შიოდათ, აღარ ჰქონდათ არავის რიდი.
მე მათ ვუმზერდი და თან ვფიქრობდი:
უბედურია თოლია უზღვოდ.



ენძელა მარტში თოვლმა დაფარა,
გათოშილიყო — სულ ერთი ციდა,
ეძებდა სითბოს და უხაროდა,
როდესაც წვიმა მიწას ჰკოცნიდა.



ჯემალ სოფარიძე

კაცი და საქმე

ნ ა რ ა ჯ ი ა

ადამიანები თავად რომ ქმნიან თავიანთ ბედსა და შრომით ბიოგრაფიებს, ეს უკვე კარგახნის წინათ დადგენილი კეშმარიტებაა და არც გასაკვირ-გასაოცარია ამაში რამე. თუ როგორი იქნება ეს შენი ბედი და შრომითი ბიოგრაფია, ეს თავად შენზე, ადამიანზეა დამოკიდებული. ყოველ ადამიანს შეუძლია თავისი შრომითი ბიოგრაფია გახადოს მდიდარი, საინტერესო, შინაარსიანი და სხვებისათვის მისაბაძი.

სწორედ ასეთი ბიოგრაფიის მქონეა კაცი, რომელზედაც ამ ნარკვევში გვსურს ხოლმე მოვუთხროთ ჩვენს მკითხველს.

ეს კაცი თენგიზ დოლიძეა. მას რომ მეტად შინაარსიანი, საინტერესო და მდიდარი შრომითი ბიოგრაფია გააჩნია, ამაზე არ შეიძლება ორი განსხვავებული აზრი არსებობდეს. მასზე, როგორც მოწინავეზე, ნამდვილად მისაბაძ და დაუღდგომელ კაცზე, უკვე თქმულა და დაწერილა, მაგრამ ასეთი კაცის ხშირად გახსენება, მისი შრომა-საქმიანობის მოხსენიება არ იქნება ურიგო. პირიქით, საჭიროცაა და დროულიც. საჭიროა არა იმდენად მისთვის, არამედ სხვებისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი მიმბაძველი გამოუჩნდეს მას, მეტი საშუალო გამოგონებელი და მისებარე დაუზარებელი შრომისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისაბაძნი კი რაც მეტი გვეყვარება, მით უფრო უკეთესია ყველასათვის — საწარმოსათვის, ქალაქისათვის, საშრობლო-სათვის.

მე იგი ამ ათიოდე წლის წინათ გავიცანი პირველად. ეს იყო მაშინ, როცა სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, თენგიზ დოლიძე ის-ის იყო ღრმა და გაუხუხარი შთაბეჭდილებებით დაუბრუნდა მშობლიურ კოლექტივს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ასე ჰქვია, ბევრმა წყალმა ჩაიარა. იმ დღიდან მოყოლებული აქამდე ჩასაფრებულებით ველი მისი სახელისა და გვარის გამოჩენას ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. იქედან მოყოლებული, დღემდე სულ კარგი და კარგი მესმის მასზე. და როგორც კი მის შორივ შრომით წარმატებებს მოვკრავ ხოლმე ყურს, ცოდვა გამხელილი სჯობს, ძალიან მიხარია. ისე მიხარია, თითქმისდა ეს წარმატებები მას კი არ მოეპოვებინოს, არამედ მე...

ჩვენი გაცნობა კი შემთხვევით და მოულოდნელად მოხდა: დამავალეს ნარკვევი დამეწერა ყრილობის დელეგატზე და მიმასწავლეს ადრესატი. წავედი, ვნახე, გავიცანი... მაშინ იგი ახალგაზრდა კაცი იყო და პირველად როცა შევხვდე, უნებურად გავიჟიქრე კიდევ — ამ ახალგაზრდა კაცს რა ისეთი საინტერესო წარსული და მისაბაძი შრომითი ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს მეთქი...



თუმცა როგორ ვცდებოდით და როგორ მიზარდა მერე, ჩემი ეს უნებელი იშვიათი რომ გაებათილედ და უარყვავი.

საშუალო სიმაღლის, ჯანმანათლებლო, მკერდის ნაგები... ოდნავ შექალაქებული გრუზია თმა, კეთილი, დიდრონი, თაფლისფერი თვალები და ღიმილი, აუჩქარებელი საუბარი, ყოველ სიტყვას დაკვირვებით, მხოლოდ საჭიროებისამებრ და ყოველგვარი ზარბაზნის გარეშე რომ წარმოსთქვამს-ხოლმე.

აი, მაშინდელი მისი, თვალის ერთი შევლება-შეფასებით დახატული პორტრეტი.

თუმცა რატომ მაშინდელი? იგი თბილისის ისეთივეა ახლაც, როგორც მაშინ, იმ ათი წლის წინათ, პირველი ნახვისას რომ იყო. თითქოსდა წლებსაც კი ვერ მოუხდენია გაელენა მის გარეგნობაზე.

მისი მოსმენა კი არ ღლის ადამიანს, არამედ ერთგვარ სიამოვნებასაც განიჭებს კიდეც, რადგანაც მისი მონათხრობიდან, იმედი გქონდეს, რაიმე ახალს, შენთვის ჯერაც უცნობსა და სინტერესოს მოისმენ. უსმენ და თანდათანობით ხედები — რასაც ამბობს, რასაც ყვება, ზედმიწევნით სწორია, მართალია, მასში არაფერია მოგონილი, ყურით მოთრეული სიტყუე. თუმცა სიტყუე რაში სჭირდება ასეთი ბიოგრაფიის მქონე კაცს, რომელსაც აქამდე თავისი ნამდვილი სიმართლით, კაცურკაცობით უვლია და ამ დროის მანძილზე ერთხელაც არ წაუფორხილებია ვაგაზაბად... ერთი რამ შეიშინებდა კიდეც მის საუბარში — ძალიან უჭირს და ეძნელება თავისთავზე ლაპარაკი, საკუთარ „მეს“ იშვიათად უსვამს ხაზს. მასზე ეკითხებო, ის კიდეც ცდილობს სხვების მძლავრ მოექცეს, პირველ რიგში სხვა წარმოაჩინოს. ამაშია სწორედ მისი კაცურკაცობა, მისი მოყვარება, სულში ასე გამჭადარა კოლექტივიზმის დიდი გრძნობა. ზის წელში გამართულ, მაგდაზე უწყვია დიდრონი, ნაჯად-ნაღვანო, ოდნავ, სულ ოდნავ მოუხეშო ნამდვილი მუშური ხელები და ღიწმინდა, მონოტონურობამდე დასული აუჩქარებლობით ყვება თავის სათქმელს, ყვება ძუნწად, იმაზე გაცილებით ნაკლებს, რაც უნდა თქვას, რაც უნდა გადმოგცეს, რაც გაუკეთებია... ვხვდები, სათქმელი და მონათხრობი იმდენი აქვს, ალბათ, დიდხანს მომიწევს აქ ჯდომა და მოსმენა. თუმცა, მართალია ჯდომა და მოსმენა რა ბედენაა, იმასთან რა მოსატანია, რაც მას აქამდე, შრომით, კეთილსინდისიერი გარკით შეუქმნია და მიუღწევია.

ჩემდაუნებურად მეცინება ხოლმე გუნებაში. რატომ გვხვდებიან ასე განსხვავებული ადამიანები? ის, ვინაც ცოტას ქმნის, ბევრს ლაპარაკობს, ცდილობს ის ცოტა და მცირე დიდად წარმოგიჩინოს, ის კი, ვინაც ნამდვილად ბევრს, მნიშვნელოვანს და დიდს ქმნის, ცოტას ლაპარაკობს. ასეა ეს და ერთი კანონზომიერებაა ამაში — შექმნილი, მიღწეული და გაკეთებული თავისთავად ღაღადებს, გაჩვენებს და გახსენებს თავს და მას ზედმეტი ლაპარაკი, მტკიცე და ფიცი ალარე სჭირდება.

უსმენ მის საუბარს, უსმენ და თანდათანობით რწმუნდები, რომ ამ კაცს იმაზე მეტის, გაცილებით მეტის თქმა შეუძლია, რასაც ამბობს, იმაზე მეტის თქმის უფლებაც აქვს. რას იზამ, მოიპოვა მან ეს უფლება. თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ძუნწია საუბარში, (როცა საკუთარ თავზე საუბრობს, მხოლოდ მაშინაა ძუნწი), ბიოგრაფია კი ტყუილი, შინაარსიანი აქვს — ისეთი ბიოგრაფია თუ წარსული, კაცს მისი გახსენება რომ არ შეგერცხვინება და წარსულზე თვალის გადავლება, უკან მოხედვა რომ არ შეგეზარება.

მისებრ მდიდარი და მრავალფეროვანი ბიოგრაფიების მქონე ადამიანები, როცა წარსულს იგონებენ, რატომღაც ტკბილი, ოდნავ ნაღვლიან-სევდიანი ღიმილი აღებუქმნებათ ხოლმე ტუჩებზე და რაიმეზე თუ წყდებათ გული, ალბათ, მხოლოდ იმაზე, ბავშვობისა არ იყვეს, ყოველივეს თავიდან დაწყება-განმეორება რომ არ შეუძლიათ, ყოვე-

ლივე ეს წარსულს რომ ჩაბარდა და ისტორიის კუთვნილებდა რომ გამხდარა მხოლოდ...

ოცა ამ სტრიქონებს ვწერ, რატომაც ცნობილი რუსი მწერლის სერგეი ბორუზინის ერთ-ერთი პოპულარული რომანი მასხენდება. „წარსულის განმეორება“ ჰქვია ამ რომანს და აქაც დაახლოებით წარსულის გახსენებით გამოწვეულ ამ მსუბუქ სევდაზეა საუბარი. ალბათ ამიტომაც მასხენდება...

მანც როდის გადადგა თენგიზმა ცხოვრების ასპარეზზე პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები და როდის დაიწყო მისი შრომითი ბიოგრაფია?

ჩინებული მესხიერება აქვს ამ კაცს. ყველაფერი ისე ახსოვს, თითქოსდა წლების მიღმა ჩავლილი კი არა, გუშინ მომხდარიყოს თითქოს. გასახსენებელი და მოსაფიქრებელი არაფერი აქვს, მაგრამ მანც ფიქრდება და მერე ისევ ყველა.

იგი ჩოხატაურის რაიონში დაიბადა. სამებაა მისი სოფელი — ლამაზი, კოლორიტული და ეგზოტიკური... 1946 წელს გარდაეცვალა მამა — პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ომის გზებზე ნაწანწალი, ბრძოლით დაღლილი, გატანჯული, დენითი გაჟღესილი, მთელი ცხოვრება ნაჯაფ-ნატანჯარი კაცი; მშრომელი, დაუდგარი და ოჯახის მარჩენალი. მამის სიკვდილი დიდი ტრავმა იყო მეუღლისათვის, შვილებისათვის. დარჩნენ შვილები ობლდ, მხოლოდ დედის ანაბარდ და მისი ხელების შემყურენი. თუ მანცდამანც ძალიან არ უჭირდათ, არც ძალიანაც დაღვინებული ცხოვრება ჰქონიათ. ახალნაშობი ქვეყანა ის-ის იყო იშუშებდა ომით მიყენებულ მძიმე კრილობებს და ასე თუ ისე, ყველას ქვეყანასავით უჭირდა, ყველას რაღაცა აკლდა, რაღაცის ნატრულ-ნაკლული იყო, მაგრამ მანც იმედის თვალთ შესცქეროდნენ მომავალს და რწმენა ჰქონდათ დიდზე-დიდი.

— მამაჩემის გარდაცვალების მერე, რაც კი თავი მახსოვს, ყველაფერი დედაჩემი იყო ჩვენთვის, — იგონებს თენგიზი, და მწარე, ნაღვლიანი ღიმილი ეკვეთება ტუჩებზე. იგი იყო ჩვენი დედაც, მამაც, ერთადერთი მოამაგე, მზრუნველი და მარჩენალი-დამპურებელი ჩვენი... მე არ მახსოვს ისეთი დღე და საათი, რომ დედაჩემი დასვენებულ-გაჩერებულ, უსაქმოდ მყოფი მენახოს. დღედაღამ შრომობდა, იღვწოდა, წელზე ფეხს იდგამდა რათა ჩვენ, მის შვილებს, უმამობა არ გვეგრძნო, ობლის ზედრის სიმწარე არ გავგეცადა, სხვისი არ შეგვჭურებოდა... შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა დედაჩემს, ვცდილობდი მისი მძიმე ზედრი როგორმე შემეშუსებებინა, მაგრამ ამა მე იმდენი რა შემეძლო... და, თუკი ახლა რამ კარგია, დადებითია და ასე თუ ისე მისაბძია ჩემში, რასაც აქამდე ცხოვრებაში მივალწი (მივალწი კი ბევრს და ამით ნამდვილად კმაყოფილი ვარ საკუთარი თავისა), ყოველივე ამას მხოლოდ და მხოლოდ დედაჩემს ვუმაღლი, მხოლოდ მისი ვარ უზომოდ მადლობელი და მე მის ამაგს, ბევრიც რომ ვეცადო, ვერასდიდებით ველარ გადავიხიბო... მან პირნათლად მოიხადა ვალი ამ ქვეყნის, სოფლის, სამეზობლოს, მტერ-მოყვარის, შვილების წინაშე და ყოველმხრივ გაღმოსხილი წავიდა.

ჩუმიდება. თვალებში სევდა, სიმძიმის ემატება. კარგახანს სდუმს, მერე კი განაგრძნობს: — დედაჩემის სიკვდილმა დიდი სულიერი ტრავმა მომაცენა. მისი გარდაცვალებიდან ხომ ამდენი დრო გავიდა, მაგრამ კარგახანს ვერ იქნა და ველარ შევეჩვიე იმ აზრს, რომ იგი ჩვენს გვერდით აღარ არის... ეს ზუნების დაწერილი კანონია და ამას ველარაფერი ველარ შეცვლის: მშობლები შვილებს ზრდიან, ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოყავთ, მოვლასა და მზრუნველობას არ აკლებენ და მერე მიდიან... შვილები კი რჩებიან... ასეა ეს, ასე იყო და ასე იქნება მარადის... მთავარი კი მანც ერთია — შენ რომ შვილი ხარ, ისე უნდა იცხოვრო, ისე უნდა განგლო ეს შენი კუთვნილი დრო და წუთისოფელი, რომ არასოდეს, ერთი წუთითაც კი არ დაივიწყო მშობლის ამაგი.



ყოველივე ის, რაც მშობელს გაუკეთებია შენთვის, არასოდეს არ უნდა ჩაიდინო მისთვის. თი რამ, შენი ცუდი საქციელით შენი მშობლები ცუდად, აუგად რომ მოიხსენიონ. ამასთან, შენც ისეთივე მზრუნველი და მოამაგე უნდა იყო შენი შვილების მიმართ, როგორც ერთ ღროს შენი მშობლები იყვნენ შენს მიმართ, ეს, ასე ჰქვია, თავისებური ესტაფეტა ცხოვრებისა და ყოველი შვილი, ჩემის აზრით, ამ კარგი ესტაფეტის გამგრძელებელი უნდა იყოს.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში რომ მოულოდნელობა და შემთხვევითობა გამოიჩნდეს არ არის, ეს დიდი ხნის წინათ დამტკიცებულ-დადგენილი ჰეშმარიტებაა. ხშირად სწორედ რომ შემთხვევით და მოულოდნელად, თავისდაუნებურად, ყოველგვარი წინასწარი მოფიქრების, გადაწყვეტის გარეშე ირჩევის კაცი თავის პროფესიას და მერე ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუთქვამდე რჩება ამ პროფესიის ერთგული. ვერ ვიტყვი, რა არის ეს, უბრალოდ, შეგუება თუ შეყვარება ერთხელ არჩეული საქმისა. ჰქონდა თუ არა თენგიზს თავიდანვე ჩადიქრებული, თუ რა უნდა გამოსულიყო ცხოვრებაში — მუშა თუ კოლმეურნე, მესიმინდე თუ მენავთობე?

— არა! — მპასუხობს იგი. — ეს რომ ვთქვა, მართალი არ ვიქნები. არავითარი მსგავსი რამ, მითუმეტეს მენავთობე არა, რადგანაც წარმოდგენაც არ მქონდა, ასეთი პროფესია თუ არსებობდა საერთოდ და ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა რას წარმოადგენდა, ისიც არ ვიცოდი... 1951 წელს დავამთავრე ჩემი სოფლის საშუალო სკოლა. კაცმა რომ სიმართლე თქვას, ერთი გადაწყვეტილება კი მქონდა მიღებული — დაერჩევილიყავი სოფელში, მემუშავა და დედის ხეღარი შემემსუბუქებინა. ასე მქონდა გადაწყვეტილი, ასე იქნებოდა, ალბათ, შემთხვევითობა რომ არ ჩარეულიყო ჩემს ზედში და სწორედ ამ შემთხვევითობას რომ არ განესაზღვრა ჩემი მომავალი, ჩემი პროფესია... იმ წელს საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, ბიძაჩემი გვესტუმრა. იგი ბათუმში ცხოვრობდა და ქარხანაში მუშაობდა... ალბათ, გაგვიგონია ვარლამ ყდენტის სახელი. ძველი მენავთობეა, ლენინის ორდენოსანი, თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტი და ბევრი მშრომელი კაცის აღმზრდელი, დამრიგებელი და მასწავლებელი. იგი მექანიკოსად მუშაობდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში. მაგრამ მაშინ მის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცოდი. ვარლამი იშვიათად ჩამოვიდოდა ჩვენთან სოფელში — ვერ იცოდა, ცხადია, ჩვენს ოჯახში ყველას ძალიან ვაგვეხარდა მისი სტუმრობა... მან მიიხედ-მოიხედა, გაეცინო ჩვენს ცხოვრებას, მერე გამომიტოხა დაწერილებით ყველაფერი — თუ რას ვფიქრობდი, რისი გაცემა მქონდა ჩადიქრებული მომავალში და რა გზას უნდა დავდგომოდი. მე ავუხსენი, რასაც ვაპირებდი. იგი ჩაფიქრდა, მერე თავი გადააქნია უარყოფის ნიშნად და მტკიცედ მიტხრა: — არა, მე ჩემდათავად ერთს გირჩევ: წამოდი ჩემთან ბათუმში, ჩემთან იქნები, ქარხანაში მიგიყვან, ჩემს გვერდით გაშუშავებ, ზეინკლის პროფესიას შეგასწავლი. თუ დამიჯერებ, შენგან ჩინებულ მუშაკაცს გამოიყვან.

მე ვერაფერი ვუთხარი, ვყოყმანებდი, ვერ გადამეწყვიტა როგორ მოვექცეულიყავი. ბიძაჩემი რომ ცუდ რამეს არ მირჩეოდა, მტკიცედ ვიყავი დაწმუნებული, მაგრამ დედაჩემის მიტოვება არ შემეძლო, ვიცოდი, გაუჭირდებოდა დაშორება... დედაჩემიც ყოყმანებდა, ვერც უარს ეუბნებოდა ჩემს გაშუშებაზე და აღარც თანახმა იყო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბოლოს და ბოლოს ბიძაჩემმა თავისი გაიტანა და მე ცხოვრების ნირი შევიცვალე..

გამომეშვიდობა თენგიზი დედას, დას, მეზობლებს, მშობლიურ, შეგუებულ გარემოს და თავი ბათუმში ამოჰყო... ასე შეიძლო პირველად ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ჰიშკარი და ამ სახელოვანი ქარხნის მრავალრიცხოვანი, სახელოვანი კოლექტივის ერთ-ერთი წევრი გახდა — ახალბედა, გამოუცდელი, მაგრამ მაინც წე-

ერი. ვარლამის რჩევით იგი აქ ზეინკლის საინტერესო, მაგრამ რთული პროფესიის შესწავლას შეუდგა.

— პირველად გავიჭირდა, თენგიზ?! — ეუსჯამ ტრადიციულ, ტრაფარეტულ კითხვას

ილიმება და თავს ენერგიულად მიქნევს თანხმობის ნიშნად — დასამალი აბა რა არის? პირველად ძალიან გამიჭირდა! საერთოდ ასე ემართება ყველას, ყოველ ახალგაზრდას და ასე დამემართა მეც, რაღა თქმა უნდა. ასე ჰქვია, ახალფეხადგმული, სკოლის მერხიდან ეს-ესაა წამომდგარი, სულ სხვა, ახალ, შენთვის ჯერ კიდევ უჩვეულო, შეუცნობ სამყაროში მოხვედრილი, რაღაცნაირ შიშსა და მოკრძალებას განიცდი ამ ახალი გარემოს მიმართ... მითუმეტეს, ჩემთვის, სოფლად გაზრდილი ბიჭისათვის, რომელსაც ცხოვრებაში არასოდეს ენახა არც ქარხანა, არც საამქრო, არც მანქანა-დანადგარები, იყო ძნელი. პირველად ისე შეეშინდი, გავივლე კიდევ გულში — არამცდარამც, მთელი ცხოვრება რომ დავყო აქ, მაინც ვერაფერს გავუვებ-მეთქი, და აქედან გაქცევა და სოფელში წასვლა გადავწყვიტე.

— მერე და რატომ არ წახვედი?

თითქმის ჩემი შეკითხვა არ გაუგონიაო, იგი წყნარად განაგრძობს წამოწყებულ საუბარს: — ახლა, როცა ჩემს მაშინდელ შიშსა და თრთოლვას გავიხსენებ, გუნებაში შეცინება ხოლმე. თანაც ჩემს თავს ვამტყუნებ მაშინდელი უნებისყოფობის გამო. სულთ, ცოდვილთ, აქაურობის მიტოვება და გაქცევა კი მინდოდა, მაგრამ როგორ უნდა მეთქვა ეს ბიძაჩემისათვის? სწორედ ამან შემაკავა. თანაც ისიც ვიფიქრე — სოფელში ასე ნადრევად რომ დავბრუნებულყავი, რა უნდა მეთქვა შინაურებისათვის, მეზობლებისათვის? ხომ იფიქრებდნენ, ეს როგორი გულარეული, საქმეზე გულდაუდებელი ყოფილაო! ეს კი არ მინდოდა ეთქვათ. პატივმოყვარე კი ვიყავი მაშინ და როგორ ვეკადრებდი, ასე ეთქვათ ჩემზე? ბევრი რომ არ გავაგრძელო, თანდათანობით ჩემმა საქმემ დამაინტერესა, შიშიც დაესძლიე და ყველაფერი აეწყო, ახლა რომ ვუკვირდები, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო — ჩემი მაშინდელი მასწავლებელი ხომ ვარლამ ჟღენტს და გიორგი იაკოვლევი იყვნენ — თავიანთი საქმის დიდოსტატები, ნაშდვილი ვირტუოზები... ჩემს აღზრდაში, ჩემს ნამდვილ კადრის მუშად ჩამოყალიბებაში დიდზე-დიდი წვლილი მიუძღვის ბიძაჩემს — ვარლამ ჟღენტს, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ყველაფერი გააქეთა ჩემთვის. იგი მამის მაგერი იყო და მე არ შემიძლია ერთი წუთითაც მაინც დავივიწყო მისი ამაგი. თუმცა მე როდი ვარ ერთადერთი, ვინც ასე ფიქრობს ამ ღვაწლმოსილ ადამიანზე. სხვადასხვა დროს მისი გამოზრდილი სპეციალისტი ახლა ბევრზე-ბევრია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში... საერთოდ, უცნაურად კეთილი და საოცრად უბრალო, ალალი ადამიანები მუშაობდნენ იმ ქარხანაში. ეს ერთი შეხედვითაც ჩანდა და მეც მაშინვე მივხვდი, ოღონდ კი გესურვა, ოღონდ კი გეცადა და მოგედომებინა, ისინი მაშინვე, უყოყმანოდ გამოგიწვდიდნენ დახმარების ხელს, არ მოგაკლებდნენ მზრუნველობას, გასწავლიდნენ, გაგამხნევებდნენ, დაგაყენებდნენ სწორ გზაზე. ეს იყო მხოლოდ — ზარმაცებსა და უსაქმურებს არ გაიკარებდნენ ახლოს. ეს თითქმის ტრადიციად დამკვიდრდა ქარხანაში. ასე იყო, ასე არის ახლაც და ასე იქნება, ალბათ, მომავალშიაც. მეც ასეთივე ტრადიციული გულკეთილობითა და გულისხმიერებით მიმიღეს მათ: — ჩვენთან, ჩვენს ქარხანაში, ჩვენს კოლექტივში მუშაობა ყოველთვის სასაწელო და საპატიოა, — მეუბნებოდნენ ისინი. — თუ მოინდომებ, ჩვენ ჩვენსას გავაცეთებთ. აწი ყველაფერი ისევ და ისევ შენზე და შენს უნარზეა დამოკიდებული. მე ყოველთვის მახსოვდა მათი სიტყვები და ეცდილობდი, თავი არ შემერცხვინა, ისე მემუშავა და მოვქცეულყავი, ამ სახელოვან კოლექტივს მართლაც რომ ნამდვილი გულითადობით მიველე თავის რიგეში.



აქ, ნათობგადასამუშავებელ ქარხანაში, მუშაობისას, თენგიზმა ბევრი აღმოაჩინა ისეთები, რომლებიც მუშური ტრადიციების ნამდვილი გამგრძელებლები იყვნენ... სწავლასხვა ასაკის, პროფესიისა და ეროვნების ადამიანები, ერთ საქმეს, ერთ მთავარ მიზანს კეთილსინდისიერად რომ ემსახურებოდნენ, ფუტკარივით დაუზარელად შრომობდნენ და ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ საერთო საქმეში — კოლექტივის, მშობლიური საწარმოს წარმატებაში.

„ერთი ყველასათვის, — ყველა ერთისათვის!“ — ესა იყო მათი დევზი. და ეს მოწოდება მხოლოდ და მხოლოდ მოწოდება, ცარიელი ფრაზა როდი იყო, არამედ სინაზდვილ, სწორედ ის ზედგამოჭრილი სიტყვები, რომლებიც ნამდვილად აღწუსხავდნენ მათ მეობას. ისინი ცდილობდნენ ისე ეშრომათ, მაგალითის მიმცემი ყოფილიყვნენ სხვებისათვის — ქარხანაში სამუშაოდ მოსული ახალგაზრდებისათვის, არასოდეს გაწითლებულიყვნენ სხვების თვალში, განსაკუთრებით კი საკუთარი სინდისის წინაშე. უპირველეს ყოვლისა, ამ ადამიანებმა ნამდვილი, ჭეშმარიტი მუშური სინდისი და პატიოსნება ჩაუწერეს თენგიზს. მაინც რა არის ეს „მუშური“ სინდისი“ და როგორია ამ სიტყვების ზუსტი თუ არა მიახლოებითი განმარტება? — ამაზე პასუხის გაცემა ნაჩქარევად არ შეიძლება. ეს სიტყვები ბევრი რამის დამტკიცია და განმსაზღვრელი. როცა შენ შრომობ, იღვწი. კეთილსინდისიერად და გინდა სხვაც შენსავით შრომობდეს, სხვამაც შენსავით იცოდეს, როცა შენ იცი და გინდა, სხვამაც იცოდეს, როცა შენს ცოდნა-გამოცდილებას უნაგაროდ უზიარებ სხვებს, — ალბათ, ესაა, ნამდვილი მუშური სინდისი.

როდესაც მუშური სინდის-ნამუსზე ჩამოვარდება საუბარი, თენგიზს რატომღაც ის ადამიანები წარმოუდგება თვალწინ, ერთ დროს ისტორიის სახელმძღვანელოში და სხვა წიგნებში რომ კითხულობდა. ვინ იყვნენ მაინც ის მუშები? უბრალოზე-უბრალო, ხელედაკოყრებულო, სახელადარული ადამიანები. რომლებიც ახალ, ნათელ ცხოვრებას ქმნიდნენ და საკუთარი ხელებით სჭედდნენ. შიოდან, სწყუროდან, სციოდან და მაინც დაზგებთან იდგნენ, პროლეტკიას უშვებდნენ. უპირდათ, მაგრამ არ ეპუებოდნენ დაბრკოლებებსა და გაჭირვებებს, უძლებდნენ, ბოლომდე იდგნენ და იცოდნენ — მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის კი არ მუშაობდნენ, რომ გასამრჯელო აეღოთ. არა! ეს უფრო დიდი რამ იყო, უფრო რთული და ძნელად გასაშიფრავი. მათ მხოლოდ ერთი რამ იცოდნენ, ერთი რამ სწამდათ და სჯეროდათ — სამშობლო ითხოვდა ამას, ახალი წყობილება, პარტია, პროლეტარიატის დიქტატურა ითხოვდა ამას. ითხოვდა ის, რისი განსახიერებაც, სინდისი და ნამუსიც თავად იყვნენ. სწორედ მათ, იმათმა დაკოყრულმა, დაძარღვულმა ხელებმა ჩაუყარეს საფუძველი და ბალავარი ჩვენს ახალ ცხოვრებას, ჩვენს ღღევანდებობასა და ზეალინდელ მერმისს.

— ჩვენ — მე, სხვებმა, ჩვენი თაობის ხალხმა, ახალგაზრდებმა და მომავალმა თაობებმა, ყველამ და ყველამ, თვითეთლმა ჩვენთაგანმა, ათეულ და ასეულ ათასებმა ვინაც კი დღეს მანქანა-დანადგარებთან, სამართავ პულტთან, თუ სხვადასხვა ადგილებზე დგანან, უნდა იფიქრონ ამაზე, — მუშურ სინდისზე და პატიოსნებაზე უნდა იფიქრონ! — დასძენს თენგიზი.

(დასასრული იქნება)

ალექსანდრე პაშკაძე

მინიშფერები

გ ა ნ ი ლ ე ბ ა

პატარა ძეგური სახლი უკვე აღარ ჩანდა, აღმოსავლეთიდან წამოსული ნისლის ბურუსში ჩაიკარგა. ივნისი იყო. გზის გასწვრივ ჩამწყრივებულ ალუჩებს ქარი ნარნარად არწევდა.

ახალგაზრდა გაჩერდა. ერთხელ კიდევ მოავლო თვალი მშობლიურ მიდამოს. უზარმაზარი კლდის თავზე, როგორც ყოველთვის, არწივები დაფრინავდნენ. რა თქმა უნდა, ახლა ძნელი იყო ყოველივე ამის დატოვება. უჭირდა მურასთან განშორება, ყველაზე მეტად კი უმძიმდა დატოვება დედისა, რომელიც ახლა, მწუხარებისაგან გულდათუთქული, გვერდით მოსდევდა. დედა არაფერს იმჩნევდა, პირიქით, ცდილობდა მზიარული სახე მიეღო, რათა შვილისათვის დარდი არ გაეტანებინა. ამ ჭკვიანი ქალის სევდიანი თვალები დიდ სიკეთესა და სიყვარულს აფრქევდნენ. ღუბჭირ ცხოვრებას სახეზე მძიმე დალი დაემჩნია. — ქმარი ადრე დაკარგა.

— შენი ვივი სულ მამამისს ემსგავსებაო, — ხშირად ესმოდა თამროს მეზობლებისაგან. ისიც კმაყოფილების გამომხატველი ღიმილით უქნევდა ყველას თავს.

— ვაჟკაცურად მოიქეცი, შვილო! — ეუბნებოდა დედა; — არ შეარცხვინო გვარი, მამის სახელი.

— რას ამბობ, მამასავით ვიქნები, დედა. ვუაყავ, სამშობლოს მკერდით დავიცავ!

— ასე, ასე, ჩემო გამგონე ბიჭო! გენაცვალოს დედა, მხოლოდ შენ და მრჩენისხარ ერთადერთი იმედი ჩემი ცხოვრებისა, — ჩასჩურჩულებდა დედა შვილს.

ვაჟკაცურად მიაბიჯებდა, სიყვარულით მიაცილებდნენ დედისა და სა-



ტრფოს თვალები. სინანულით მიაცილებდნენ ცადაწვდილი მთები, მაინც ვარები.

მათ დასაცავად მიდიოდა ომში ჭაბუკი...

წყურვილი

მზე ამოვიდა და ოქროსფერი სხივებით მოქარგა ნაომარი ველ-მინ-ლორი. ტყევის წამლით გადარუჯულმა ყვავილებმა თითქოს გაიღვიძეს. სხივებმა ბნელ სანგარშიაც შეიჭვრიტეს, იქაც გაუცინეს დაჭრალებს, სულთმოზრდავებსა თუ საღ-სალამათ მეომრებს, ისინი გაზაფხულის ამ მშვენიერ დილას მოეჯადოებინა. ვინ იცის, იქნებ ხვალ ბევრი მათგანი ველარ იხილავდა მზის მოზრძანებას. სამარისებური სინჟუმე გამეფებუ-ლიყო სანგარში, მას მხოლოდ დაჭრილის კენესა არღვევდა ხანდახან. მტერიც გარინდებულიყო...

მზე კი ანათებდა.

წყურვილი კლავდათ დაჭრილებს, წყურვილი აზრჩობდა ყველას. მათარეში გამოზოგილი წვეთები ორი დღეა გაუთავდათ, ახლო იყო წყალი, მაგრამ მტერი დარაჯობდა მას, სნაიპერები უთვალთვალებდნენ. ვინც ბე-დი სცადა, ცოცხალი ველარ დაბრუნდა. მეორე დღეა წყურვილი კლავდათ. ამ დილით კიდევ ერთმა გასწია ბედის საცდელად.

მიდიოდა მიწას გაკრული, მათარები გაავსო და უკან გამობრუნდა. წყურვილი კლავდა, მაგრამ ადგილზე ერთი წვეთიც არ დალია. „იქ, იქ, სანგარში, თუ მივაღწიე, ამხანაგებთან ერთად“, — ფიქრობდა თავისთვის და ისეთი სიხარულით მიიწევდა წინ, თითქოს უკვდავების წყალი მიჰქონდა. მტერი მაშინ ისროდა, როცა მათარა წყლით ივსებოდა და ჯარის-კაცი უკან ბრუნდებოდა. ეს კარგად იცოდა ჭაბუკმა და ყოველ წუთს სი-კვდილს ელოდა. „მესვრიან, მესვრიან“, ფიქრობდა და მაინც წინ მიიწევ-და. არც შემცდარა, მართლაც ესროლეს, პირქვე დამხობილი აღარ ინძრეოდა, მარცხენა მხარში საშინელ ტკივილს გრძნობდა. თუმცა ჭრი-ლობა ტანჯავდა, მაინც. არ ინძრეოდა, მეორედ აღარ მესროლოსო. „აზ-ლა კი ჩემი ჯერია, გაიფიქრა დაჭრილმა, სნაიპერი ირწმუნებდა ჩემს სიკვდილს“. ფრთხილად ამოიღო მიზანში და... ნახევარი საათის შემდეგ ოფელში, სისხლსა და მტკერში მოსვრილი ჭაბუკი სანგარში დაბრუნდა, წყალი მოიტანა და გაცოცხლდა სანგარი...

წუთით ღუმილი ჩამოვარდა. ყველა თავისთვის ფიქრობდა რაღაცაზე, მაგრამ ეს ფიქრი საერთო იყო. წყურვილმოკლულს ახლა უფრო დიდი წყურვილი სტანჯავდა და ეს უკანასკნელი ყველაზე ძლიერი იყო მთელს ქვეყნიერებაზე. ეს იყო წყურვილი გამარჯვებისა, ომისა და ბოროტების მოსპობისა, შინ დაბრუნების წყურვილი...

თეთრად შევერცხილი თმები, კეთილი სახე და საოცრად ნათელი, ზღვისფერი თვალები... მართალი გითხრათ, სხანაირი ვერც კი წარმომედგინა მე ეს ქალი...

18 წლისა იყო ვალენტინა კოზლოვა, ომში რომ წავიდა. მისი ოჯანიდან მამა და ორი ძმა უკვე ცეცხლის წინა ხაზზე იყვნენ. ვალია მხოლოდ დედამ გააცილა, ცრემლით საესე თვალებით შესცქეროდა ჯარისკაცის ფარჯაში გამოწყობილ ქალიშვილს — დედის უკანასკნელ იმედს. ყველა განცდას, ყველა ფიქრსა და წუხილს ერთად მოეყარა თავი, მისი ფიქრი და წუხილი სამშობლო იყო.

ვალენტინა თავდაპირველად ჰოსპიტალში მუშაობდა, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა. მამაც გოგონას გული ფრონტის წინა ხაზზე მიუწვედა. ჰოსპიტალის დატოვების შემდეგ იბრძოდა უკრაინის მე-2 ფრონტზე. 1942 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა და ჰოსპიტალში მოათავსეს. გამოჯანმრთელების შემდეგ საზენიტო-საარტილერიო პოლკში განაწესეს.

1943 წელი იდგა, დაძაბული ბრძოლები წარმოებდა ყველა შიშარტულებით. საბჭოთა ჯარები წინ მიიწვედნენ, ათავისუფლებდნენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. ყველგან იგრძნობოდა ფაშისტთა ბოროტმოქმედების კვალი.

ვალია კოზლოვამ საბჭოთა ჯართან ერთად ბრძოლით გაიარა უზარმაზარი ტერიტორია. მონაწილეობა მიიღო ბელორუსიისა და ლიტვის განთავისუფლებაში.

1944 წლის ივლის-აგვისტოში საბჭოთა ჯარებმა გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი, მილიონობით პოლონელი გადაურჩა ფაშისტურ მონობას, ხოლო სულ მალე საბჭოთა ჯარებმა პოლონეთის არმიასთან ერთად გაათავისუფლეს ფაშისტი ბარბაროსების მიერ გადამწყვარი და დანგრეული ვარშავა.

მილიონობით პოლონელი სიხარულით ეგებებოდა თავიანთ განმათავისუფლებლებს. ვალენტინა კოზლოვასათვის დაუფიქვარი იყო საბჭოთა ჯარების შესვლა ვარშავაში. ადამიანებს ღაბაღღაობით სცივოდათ ცრემლები, ოღონდ ეს სიხარულის ცრემლები იყო.

უშიშარი ქალიშვილი მამაცობისა და საბრძოლო დამსახურებისათვის დააჯილდოვეს მედლებით, ბრძოლის წინა ხაზზე მიიღეს ლენინური პარტიის რიგებში. უჩვეულო იყო ეს დღე ვალენტინა პეტრეს ასულისათვის. მან კრძალვით აიღო ხელში წითელი ბოლეთი და გიმნასტურის ჯიბეში, გულთან ახლოს შეინახა. ერთხელ კიდევ შეჰფიცა სამშობლოს, სიცოცხლე არ დაეზოგა მისთვის.

ვალენტინა კოზლოვა გამარჯვებული დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქ როსტოვს. ბრძოლის ველზე ბევრჯერ მოჰგონებია თავისი ოჯახი, მშობლიური ქალაქის თითოეული ქუჩა; უსაზღვროდ ნაცნობი და ახლობელი წყნარი დონი.

დაბრუნების სიხარულს კი დიდი მწუხარება ახლდა, რადგან მამა და ძმები სტალინგრადისთვის ბრძოლაში დაღუპულიყვნენ. ვერც დედას გაეძლო დარდისათვის.

ვალია კოზლოვამ საცხოვრებლად საქართველო აირჩია და ბათუმში დასახლდა საბოლოოდ. დიდი ხანია ჩვენი ქალაქის მკვიდრია. ომისა და შრომის ვეტერანი — ვალენტინა კოზლოვა სანიმუშო შვილის სანიმუშო დედაა. ომმა ღრმა ჭრილობა დაამჩნია მის გულს და ამიტომაც დედის ფიქრები მუდამ უღრუბლო მშვიდობიან დღეებს დასტრიალებს.

მადონა სიხარულით.

„ძვირფასო ვახტანგ!

აგერ უკვე ორმოცდაერთი წელი გავიდა ჩვენი განშორების შემდეგ. არ იფიქრო, რომ მხოლოდ ახლა გამახსენდი. ბევრი მიფიქრია შენზე, ჩვენს ფრონტულ მეგობრობაზე. სად არ გეძებე, ვის არ მივმართე შენი მისამართის დასადგენად. საქართველოში რამდენიმე ვახტანგ თავართქილაძე ცხოვრობს, მაგრამ სხვანი გამოდგნენ. ახლა, როგორც იქნა, ბედნიერი შემთხვევით მოვაგენი. მოუთმენლად ველი შეთან შეხვედრას. გთხოვ, შემატყობინო, შენ ჩამოხველ კალუგაში თუ მე ჩამოვიდე ბათუმში. რამდენი ძოსაგონარი, რამდენი სალაპარაკო გვაქვს! შენი ვასილ სოლომენი“.

ეს წერილი ბათუმში, გორკის ქუჩის № 25 სახლში მოვიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, აღრესატი ცოცხალი აღარ დახვდა — იგი რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა.

სამამულო ომის დაწყებისთანავე ვახტანგ თავართქილაძეს წითელ არმიაში უზმეს, ერთხანს ბათუმში იყო, შემდეგ კი სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს, რომელიც 1942 წლის მაისში დაამთავრა და უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო.

1942 წლის 16 აგვისტოს დიეზიზა, რომელშიც ვახტანგი ჩარიცხეს, ქალაქ ტემრი-უტთან ბრძოლაში ჩნება. სწორედ იმ დღეს ვახტანგ თავართქილაძემ დაწერა განცხადება: „მსურს მტერს ვებრძოდე, როგორც კომუნისტი“. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და ფრონტის წინა ხაზზე სკვპ წევრობის კანდიდატად მიიღეს.

დიეზიზა ზედიზედ ათავისუფლებდა სოფლებს, დასახლებულ პუნქტებს და წინ მიიწეოდა, ერთ-ერთი სოფლის განთავისუფლებისას ორი ოცეული ალყაში მოხვდა. სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ... სჯობს სიტყვა წითელარმიულ გაზეთს დაუვთხოთ, რომელშიც მოთავსებულია ვ. ერადის წერილი ქართველი მებრძოლების საგმირო საქმეებზე.

„გათენებისას დაიწყო შეტევა. იმდენად სქელი ნისლი იდო, რომ რამდენიმე მეტრის მანძილზე უკვე აღარაფერი ჩანდა. მტერი სოფელში ჩასაფრებულიყო.

ჩვენი ქვეგანაყოფი სწრაფად გაიჭრა წინ და მეტისმეტად შორს წავიდა, როდესაც ნისლი გაიფანტა, დაინახეთ, რომ გარემოცვაში მოვხვდით. მაგრამ უმცროსი ლეიტენანტი ამხანაგი ვახტანგ თავართქილაძე არ დაიხნა, მებრძოლეები არ შედრკნენ.

ჩვენ მოვეწყვეთ ისე, რომ შეგვეძლო გვეწარმოებინა თავდაცვა, კარგად გამოვიყენეთ ზელის ტყვიამფრქვევი. მეტყვიამფრქვევენი ხშირად იცვლიდნენ პოზიციას და მტრის ორი სანაღმტყორცნო ცეცხლს წერტი ჩაახშეს.

რამდენიმე საათის განმავლობაში ვესროდით მტერს. გერმანელებს არ შეეძლოთ თავის აწევა. მტრის რკალი გავარდევით და ჩვენს ქვეგანაყოფს შევეუერთდით“.

სარდლობამ ღირსეულად დააფასა ვახტანგ თავართქილაძის მამაცობა და 1942 წლის 23 დეკემბერს იგი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

ამის შემდეგ ვახტანგ თავართქილაძის ოცეულს სადგურ ელზოტოვის განთავისუფლება დაევალა. შეტევის დროს ვახტანგი მძიმედ დაიჭრა და თბილისის ერთ-ერთ პოსპიტალში გადაიყვანეს. 1943 წლის შუა აგვისტომდე იმკურნალა და კვლავ ფრონტის ხაზს მიაშურა.

— ამ დღეებში კვლავ ჩადგები სამშობლოს დამცველთა შორის და კიდევ უფრო შეუპოვრად ვიბრძოლებ პიტლერელ ავაჩაკთა წინააღმდეგ მათს სრულ მოსპობამდე, — განუცხადებია ფრონტზე წასვლის წინა დღეებში ვახტანგს ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტისათვის.

ეს 1943 წლის ზაფხულში მოხდა. ვახტანგ თავართქილაძე შეექცეს არმიაში გაე-

ზაენეს, რომელიც ბელგოროდისა და კურსკის მიმართულებით იბრძოდა. აქ იგი 51-ე გეოგრაფიული დივიზიის დაზვერვის განყოფილებაში ჩარიცხეს.

სტალინგრადის დამარცხების შემდეგ მტერი რევანშზე ოცნებობდა. და აი, შუა რუსეთის ტრამალებში ჰიტლერმა თავისი არმიის რჩეული ნაწილები გადაისროლა, მაგრამ კვლავ სასტიკად უმტყუნა ბედმა.

„მე ახლა მაგონდება ჩემი მაშინდელი თანამებრძოლნი, — წერს გადამდგარი გენერალ-მაიორი ნიკოლოზ თავართქილაძე წიგნში „იყო ასეთი დღეები“, — რომლებიც ჭხარბი უდგნენ ერთმანეთს და უჭკნობი დიდებით მოსავდნენ შენაერთის საბრძოლო დროშებს“. ისეთ მებრძოლთა შორის იგი უფროს ლეიტენანტ ვახტანგ თავართქილაძესაც ასახელებს. მეორე წიგნში „მრისხანე დღეები“ იგი ქებით მოიხსენიებს ასეთულის მეთაურებს ვახტანგ თავართქილაძეს, კონსტანტინე ოდილაშვიტს, შალვა იოსელიანსა და სხვებს.

1944 წლის მიწურულს საბჭოთა არმია უნგრეთის საზღვარს მიაღწა. დაიწყო ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის მძიმე ბრძოლები. „სხვა ერის შვილებთან ერთად, — წერს ნიკოლოზ თავართქილაძე, — ბუდაპეშტის ოპერაციაში გმირობითა და ვაჟკაცობით თავი გამოიჩინეს ქართველმა მეომრებმა: — იოსელიანმა, ვ. თავართქილაძემ, კ. ივანიძემ... და სხვებმა“.

დრო გადის, გვერი რამ დავიწყებას ეძლევა, მაგრამ მაღლიერი შთამომავლობის მეხსიერებაში დაუვიწყარია იმ ადამიანების ხსოვნა, ვინც ფაშიზმის მიხაკისფერი სამოხელეებისაგან იხსნა სამშობლო.

მერაბ ღონდოლაძე



დავით კონცელიძე

იოსებ სანიკიძე

დავით კონცელიძე

აბა, ტაში, ტაში, ტაში!
თინიკო ზის კარადაში,
ნინო სხვენზე ასულა და
იქ ჩამძვრალა კალათაში.
ზაქროს თვალი დაუხუჭავს,
ითვლის: ერთი, ორი, სამი...
გამოიქცა ნიკა-ბიჭი,
წააქცია გზაზე სკამი.
აბა, ჩქარა, აბა, ჩქარა!
ყველა სადღაც დამალულა,
მხოლოდ ეკა არ თამაშობს,
დახე — უკვე გაპარულა.

გ ა ჯ ა ზ ს უ ლ ი

გაზაფხულის თბილ წვიმაში
ფრთებს იბანენ ჩიტუნები,
მათი ცქერით მოხიბლულან
ჩვენი ეზოს ბიჭუნები.
ცისარტყელამ გასაშრობად
გამოიკიდა ჭრელი კაბა
და თბილი მზე გაზაფხულის
ცაზე ოქროს სხივებს აბამს.
ყელი მოუღერებიათ
ენძელას და ყოჩივარდას,
ჭიგოებზე შემოხვეულ
ვაზს ტირილი აუვარდა.
მინდორ-მინდორ, შუკა-შუკა
მოიმღერის ნაკადული,
სადედოფლოდ მოკაზმული
შემობრძანდა გაზაფხული.

იოსებ სანიკიძე

დავლოცავ ფუძეს,
სალ კლდეზე ნაშენს,
დავლოცავ ჭერს და
პატარა ბავშვებს.
გოგონებს ნაზებს,
ბიჭებს — ონავარს,
პატარებს ვლოცავ —
ქვეყნის მომავალს.
ნორჩებს დიდება,
დედას — თავყვანი,
სახლს ანათებდეს
ჩვილის აკვანი.

ი ა

მოუქარგავს ბუჩქის ძირი,
ამოსულა რახანია,
სილამაზის მაცნეა და
გაზაფხულის მაყარია.
თუმცა მორცხვობს, მაგრამ ია,
თავს აწონებს მაინც ყველას,
პეპელა თავს დაფარფატებს
სასიმღეროდ, საკოცნელად.



რამაზ სურმანიძე

ღვანლი აბღულ მიქელაძისა

აბღულ მიქელაძის ზამოუშავიყნაბელი და
კარაძე წარიღეზი

პეტრე უმიკაშვილისადმი

პირველათ გიძღვნი, როგორც ჩემს პატივის მცემელს დიდს საღამს და ვსთხოვ
ღმერთსა თქვენ სიცოცხლეს თქვენი სურვილისამებრ. გარდა ამისა, დიდს მადლობას
მოგახსენებ, ბატონო, იმისათვის, რომ ეს კინალამ ერთი წელიწადია, რაც მე თქვენ-
გან გამოგზავნილს „ივერიას“ ვღებულობ და ამგვარი თქვენი წყალობით იმდენი
შევისწავლე ქართული წერა-კითხვა, რომ ამ წიგნის მოწერა თქვენთან მოვახერხე.
თუმცაღა შეცდომილობა კი ბევრი იქნება შიდ, მაგრამ თქვენის წყალობით სამერ-
მიოთ უმეტრო დავსწერ თუ შემდგომ არ დამტოვებთ თქვენ უყურადღე-
ბოთ... ნათქვამია დაჩეუღს ნუ დააკლებ, დაუჩევეღს ნუ დაჩევეო, ჩემი საქმეც
ასეა, ჩემო ბატონო. მე ერთი მაჰმადიანი ქართველი დამაჩევეთ თქვენ „ივერიას“
კითხვას და იმედი მაქვს არ მომაკლებთ თქვენს წყალობას, მიიღებთ ჩემს სიღარიბეს
სახეში და მიწყალობებთ „ივერიას“ შემდეგშიდაც.

თქვენი ბონა აბღულეფენდი მიქელაძე.

19 ნოემბერი, 1886 წ.

ს. ქეღა, აჰარის მაჰრა.

„ივერია“ № 47, 1887 წ. 6 მარტი.

ქეღა აჰარა 27 თებერვალი. შამოღგომიდან დაიწყო საშინელი ქარები და იქრო-
ღა ხუთს იანვრამდის. გააზმო და დაგლიჯა ყოველივე და სახლებზედაც საბურავი არ
დაგვიტოვა. ხუთს იანვარს კი გათოვდა, მაგრამ იმისთანა, რომელსაც არ მოველოდით.
განუწყვეტლად ითოვა სეტყვით და ბუქით; დაბალს სოფლებში გათოვდა ერთის საჯენი
და მაღალ სოფლებში კი ორი წილი მეტი. მოგვისო ყოველივე გზავრობა ქალაქებში
და სოფლებში. თითქმის მეზობლისას ვეღარ გავდიოდით რამოდენიმე დღეს, აჰარი-
დან ბათუმამდის დიდი სახელმწიფო გზაც დაკავდა, ცხენით გზავრობა არ შეიძლება
და ვგონებ მარტის დამლევაამდისაც არ გაიხსნება. თოვლიც რომ ვადნეს, იმისთანა
ჩამოქცეულები არის ახალ ნაკეთებ გზებზედ, რომ თუ მართებლობამ არ მიიღო ზომა
და არ გაიწმინდა, ცხენის გზა ისე არ გაიხსნება. აჰ რომ რუსეთის ჯარი დგას, იმასაც
პური შამოვლია და როგორ უნდა მოიტანოს, არ იცინა. ფეხით სასიარულო გზა რა-
მოღენიმე დღე არის რაც გაიხსნა თხილამურებით, თორემ ისიც არ იყო ამდენ ხანს;

გაგრძელება. იხ. „ქოროზი“ № 2.

ძრიელ დაგვაშწუხრა და შავგაწუხა ამ თოვლმა. მრავალი საქონელიც გავვიწყდა შიმშილით, რადგან ამისთანა ზამთარს არ მოველოდით, საკვები არა გვქონდა მომზადებული. მაგიერათ დიდ იმედში ვართ აქაური ხალხი ამ თოვლის მოსვლით, რომ კარგი ძოსავლიანი წელიწადი უნდა იქნეს, შარშანდელ წელიწადსავე არ დაგვაშწუხეს, რომ ახლა ჩვენს ხალხს ერთს ბათმანს სიმიანდს ვერ უნახავ. მართებლობას კი ვთხოვეთ, რომ ან სიმიანდი ან ფული მოგვეცეს სესხათ, რომ ცოლშვილი შიმშილით არ დაგვეხოცოს, ძრიელ დაგვაშწუხა შარშანდელმა წელიწადმა და თუ მაინც აღრე მოგვეშველა მართებლობის შეწყვეა, კრგი იქნება.

იასნარშიდ სოფელს ჩიქუნეთში ერთს მარტო ხელს იმ სოფლის მცხოვრებს მოილა ქიბარ-კუჩუქაღის შვილს (ხინკლაძე, რ. ს.), როცა ის არ იმყოფებოდა სახლშით, გაუჩნდა მის სახლს ცეცხლი, დაიწვა სახლი, ნალია, მომზადებული მასალა, ნაღდი ფული ორას ოც-და-ერთი მანათი და ყოველივე სახლის მოწყობილება. სულ მოუვიდა საწყალს ზარალი ოთხასი მანეთისა.

ამას წინეთ პარასკევ დღეს სოფელს ქედამი იყო ჯამეში მრავალი ხალხი სალოცავათ თევ-მოყრილი. იმ დროს მოვიდა ერთი სოფელ მერისის მცხოვრები ბერ-ოღლი (ბერიძე, რ. ს.) და უთხრა ხოვას, რომ ას ოც-და-ათი წლის მამამისი ამ ბოლო დროს ძლიერ დავარდნილი არისო და სთხოვა, ხალხთან ერთად დალოცეო, ხოვამ შეუსრულა მისი თხოვნა და ხალხთან ერთად სთხოვეს ღმერთს, ის მოხუცებული ან კარგათ გაზადეო და ან მისი თავი აგვართეო. ნამდვილათაც იმ ღამეს ის მოხუცებული გარდაიცვალა.

* * *

წრევანდელმა ზამთარმა უცხო ნადირებიც გვასტუმრა. ამ თებერვლის თუთნ-მეტს სოფელ წაშლისევში ნახეს ორი ვეფხვი. ერთი იმათგანი მოკლეს იმ სოფელშივე, მიეპარნენ ერთ კლდიდან და ესროლეს ცხრაშეტი თოფი და კიდევ კლდეზე ახტომა დააპირა, მაგრამ მოასწრეს თავში თოფის კვრა და მაშინ კი დიმიორჩილეს. იმისთანა დაიყვრა თურმე, როცა თავში მოარტყეს თოფი, რომ მონადირეები დააბეჩა. მისი ტყავი ცხრა მტკაველ ნახევარი იყო. რომელშიდაც ადგილზედ ააღიეს ოც-და-ათი მანეთი, მაგრამ მონადირეებმა არ გაყიდეს და წაიღეს ბათუმში გასაყიდათ. იმის ამხანაგი მეორე ვეფხვი გაიქცა ბათუმისაკენ და, როგორც ამბობენ ბათუმის სიახლოვეს მოუკლავთ.

ჩვენმა ქვედა აჰარის ნაჩაღნიკმა* მიიღო ბრძანება მასზედ, რომ ბათუმში დარჩა კამანდა, ე. ი. ოთხმოცი კაცი „ნოვობრანცები“, რომელიც მოსულა ბათუმში აქ ამოსასვლელად, რომ ჯარები შეავსონ და მათთვის ფეხით გასავლელად გზაზედ ხალხს თოვლი გადააყრევინონო. ნაჩაღნიკმა შეასრულა ბრძანება და გზაზედ ხალხმა თოვლი განიხა ოც-და-ორ ვერსტზედ, მაგრამ იმისთანა ბუქი და სეტყვა არის, რომ გზებს ისევ ამოავსებს.

აბდულ მიქელაძე.

„ივერია“, № 84. 1887 წ. 29 აპრილი

ამ ქამად მთელ აჰარაში ბათუმიდან ახალციხემდე გზას ხელახლად აკეთებენ. ბათუმიდან ქედამდე ავანიერებენ ორ საეენამდე, რომ ურმით სიარული შეიძლებოდა. ქედამდე ახალციხემდე ჯერ-ჯერობით გზა ერთის საეენის სიგანედ გაკეთდება ცხენის სავლელად და შემდეგ ხანებში გაგანიერდება. ამ ქამად ზუთასამდე კაცი მუშაობს, თვითონ აჰარლები იღებენ მუშაობას მოიჯარადრე კაცებისაგან.

* თუფან შერვაშიძე, მაიორი.

* * *

იგივე აბდულ-ეფენდი გეცნობებს, რომ მართალია შარშანდელი წელიწადი ძრიელ უმოსავლიანო იყო, მაგრამ არც მდგომარე წელს აქებენ ქვემო აჭარის სოფლები. სიცხემ და უწყვილობამ ძრიელ შეგვაწუხა, მოსავალსაც არ უჩანს კარგი პირი და ამას გარდა, თიბათვის უწყვილობის გამო ზოგს არც-კი რამ დაუთესნიაო.

„ივერია“ № 97, 1887 წ. 19 მაისი

ქვედა აჭარა. 5 მაისს. ჩვენს აჭარაში ამ ხანებში მოხდა რამდენიმე გლახა ამბავი: სოფელს წონიარისში მოჰკლეს საზოგადოებრივი ერთი დედა-ბერი იმ დროს, როცა საცოდავი მიდიოდა მეზობლისას, გზაზედ საწყალობლისათვის ორი თოფი უსვრიათ და ისეც ბერი უცემიათ და მოუკლავთ. ჯერ გამოძიებამ მკვლელები ვერ აღმოაჩინა, მდამოი ხალხში ლაპარაკობენ, ვითომ უბედური დედა-ბერი კუდიანი იყო და იმისთვის მოჰკლესო.

* * *

სოფელ შუახევშიაც ერთი ქალი თავის გერს ქალს მოუკლავს და წყალში გადაუგდია. როგორც ამბობენ, ამ ქალს ეს საზოგადოებრივი საქმე მისთვის მოუხდენია, რომ თავის მამის სიკვდილის შემდეგ მისი ქონება თავად დაენარჩუნებინაო. გარდაცვალებულის გვამი ჯერაც ვერ უპოვნიათ.

* * *

სოფ. ნამლისევეში ხუსეინ-აზნაურ-ოღლის (აზნაურიშვილი, რ. ს.) სახლს მიეპარა ღამით ვიღაცა ავაზაკი და ესროლა თოფი იმ ადგილას სადაც, იმის აზრით, ხუსეინ-აზნაურ-ოღლის უნდა სძინებოდა, მაგრამ ღმერთმა იბატია ის კაცი. ის იწვა იმ ღამეს მეორე ოთახში სტუმართან ერთად. იმის საწოლზედ კი იწვა იმ დროს მისი ცოლი პატარა ყმაწვილით. ღმერთმა გადაარჩინა ისინი. ტყვიამ თავზედ გადაუარა და ცოცხლები გადარჩნენ.

* * *

სოფ. ცხმორისში ერთი საცოდავი ფუხარა სახელად მემიშა-ქემალ-ოღლის (აბა-შიძე, რ. ს.) ღამით გაუჩნდა ცეცხლი იმ დროს, როცა თვითონ სახლში არ იმყოფებოდა. დაწვეა სახლი, ბეღელი და სხვა შენობები, სიმინდი, პირუტყვი, საქონელი და სხვა ნივთები, რაც რამ ებადა, სულ ზარალი მიეცა საწყალ ფუხარას ექვსას მანათისა. ეხლა ის ფუხარა თავის ცოლ-შვილით მათხოვრად დაიარება.

* * *

წრეებანდელი უშველეზელი ზამთარი ძლივს გაატარებთ და გაზაფხულს მოვესწარით, მაგრამ ამ გაზაფხულს — იმისთანა გვალვა არის, რომ ხენა-თესვა არ შეიძლება. ჩვენს ფუხარას ჯერ თესლი არ გამოუტანია მიწაში ჩასაბნეველ და ვგონებ აჭარაში წრეულს უფრო შიშვლილობა ჩამოვარდეს, მანამ შარშან იყო.

აბდულ მიქელაძე.

„ივერია“, № 130, 1887 წ. 9 ივლისი

ქვემო აჭარიდან ბ-ნი აბდულ-ეფენდი მიქელაძე გვწერს: „თიბათვის 20-ს სოფ. ქელაში ამოვიდა კომისია, რომელსაც შეადგენდნენ თავმჯდომარე თავ. ნ. ერისთავი*,

* ნიკო ბიძინას ძე ერისთავი, გენერალ-მაიორი აჭარის გათავისუფლებისათვის დაინიშნა ბათუმის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ (ვიცე-გუბერნატორად), ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიაზე დაქვემდებარების შემდეგ, გადაიყვანეს ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწედ.

ვიცე-გუბერნატორი და წევრები. კომისია იყო გამოგზავნილი ფულის დასარიცხად და ხელის შესწავლად მშვიერი ხალხისათვის. ხალხმა თავი-თავს მოიყვანა დაში და მოუთმენლად ელოდა, რა ნუგეშის მოსაცემად ეწვია ეს კომისია. მოსვლისთანავე თავ. ერისთავმა ყველა გლეხს ცალ-ცალკე გამოჰკითხა მათი მწუხარება და გაჭირვების მიხედვით დაურთავ ფული. ხალხი ძრიელ მრავალი დაეწრო ამ მადლიანს საქმესა და ჰლოცავდა კომისიასა“.

პეტრე უმიკაშვილისადმი

მივიღე 29-ს, პასუხი მივწერე 20 ივლისს

ძვირფასო პეტრე იოსიფოვიჩ!

მრავალ მოკითხვის შემდგომ მე დიდი მადრიელი ვარ თქვენდგან, რომ მასწავლეთ ქართული წერა-კითხვა. თუ შევიძელი, შევეცდები სამაგიერო პატივი გადავიხადო და თუ არა, ღმერთმა ერთმა. მაღალმა გადავიხადოს, მაგრამ ჩემს გულში ჩარჩა შენი პატიოსანი სახე. არა მგონია როდისმე და ამოვიდეს გულიდან შენი კეთილი სახე, ჩემ სიკვდილამდენა. ჩემო ბატონო, ამის მაგიურად წიგნი მახვენდრე როგორმე, კეთილად ბრძანდებოდე — 1887 წ. ივნისი 25.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

ბატონსა ილია ჭავჭავაძეს დიდი მადლობა და მოკითხვა ჩემაგიერაი მოახსენე, ჩემო ბატონო.

აბდულ მიქელაძე.

„ივერია“ № 253, 1887 წ. 3 დეკემბერი

სოფ. ქელა (ბათუმის მაზრა), 22 ნოემბერს. 19 ამ თვეს აქ მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი. ამ დღეს დილის 7 საათზე თავი მოიკლა უმცროსმა ექიმმა საქვევითო ჯარისამ, ნადვორნი სოვეტნიკმა ნიკოლაი ანდრეას ძემ საველიევმა, რომელიც ამ ცოტა ხანში მოვიდა აქ ჯარისკაცთა დასახედავად. ჩვენს სოფელში მოვიდა 16 ნოემბერს, დადგა აფიცრთა სადგომის ცალკე ოთახში. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ განსვენებულს ხანდისხან უვლიდა ზნე სულის ავადმყოფობა, რომელმაც მოუარა დამკს 18-19 რიცხვსა. მისმა ამხანაგებმა, რომელნიც იწვნენ ცალკე ოთახში, შეიტყვეს ეს უბედურება და მიუჩინეს კაცი — ეყურებინა არაფერი მოახდინოსო. დილით უპირებდნენ სამკურნალოში გასტუმრებასა. თურმე ავადმყოფი ღამე ამდგარა, სანთელი აუწთია, ჩაუცვამს ჩექმები და სერთუკი და დაუწყია სიარული თავის ოთახში. მერე მიჩენილს კაცს, რომელიც გარედგან უყურებდა ოთახში, დაუნახავს, რომ ტანთ ისევ გაუხდია, გაუქრია სანთელი და დაწოლილა. შემდეგ ისევ ამდგარა ეს ექიმი და ორჯელ გამოსულა გარედ თავის ოთახიდან. დილას საველიევი ადრე გამოვიდა თავის ოთახიდან, შევიდა სამზარეულოში და უბრძანა პირი დამაბანინეთო, პირის დაბანის შემდეგ შევიდა ამხანაგების ოთახში, სადაც ამათ ჯერ კიდევ ეძინათ. გაიარ-გამოიარა და უთხრა ერთს მათგანს, რომელმაც სიარულზე გამოიღვიძა; ჩემს ოთახში ძალიან სიცივეა, მაგრამ არც თქვენს ოთახში არის სითბოვო.

ამხანაგმა უთხრა თავის მოსამსახურეს — დანთე ცეცხლი საველიევის ოთახშიო, ამ დროს საველიევი დაჯდა ამხანაგის ლოგინზე, მერე ისევ წამოდგა და უცებ მივიდა სტოლთან, რომელზედაც იდო გიტარა. გამოჰკრა მძლავრად ძაფებზე ხელი და გაწყვიტა ორი სიმი. შემდეგ სტოლიდან ხელი დაავლო დანასა და ისე აიღო, რომ ამხანაგმა თვალი ვერ შეასწრო; მერე გავიდა იმათ ოთახიდან გარედ, რამოდენამე ხან-



მა გაიარა; საველიევის ამხანაგები აღგნენ, ტანთ ჩაიცვეს, ამ დროს უცებ საველიევის ოთახიდან მოესმათ ხმა, თითქო რაღაცა მიიმე დაეცა იატაკზე. ეგონათ საველიევის ზნემ მოუარაო და წავიდნენ იმის ოთახში საშველებლად. გააღეს კარები და ნახეს საშინელი სანახავი; საველიევი ყელ-გამოჭრილი ეგდო სისხლში და ორივე ხელი ჩაეკირა ყელში. ამხანაგების შესვლაზე ერთი-ლა წამოჯდა საწყალი, მაგრამ ისევ დაეშვა ძირს და დალია სული. ამ სახით საველიევმა გამოიჭრა ყელი ამხანაგის დანით, რომელიც ჩუმად გამოიტანა ოთახიდან.

იმავე წერილებიდან აღმოჩნდა, რომ საველიევი ყოფილა ღარიბ მშობლების შვილი, საწყალს დედ-მამა ცალკე, ცალკე და-ძმა სთხოვდნენ შემწეობას. 16 ამ თვესაც მოუვლია მისთვის ავადმყოფობას გზაზე, როდესაც ისა და მისი ამხანაგი მონავალიყვნენ სოფ. ხულოდამ ქედამი, აქაც გამოუჩენია საველიევის სურვილი ხმლით ყელის გამოჭრისა, მაგრამ ამხანაგმა თურმე მოასწრო წართმევა ხმლისა, რის შემდეგ ავადმყოფობამ გადაუარა.

საველიევის გვამი გაგზავნილ იქმნა ბათუმის საოლქო სამკურნალოში გასასინჯავად.

აბდულ მიქელაძე.

პეტრე უმიკაშვილისადმი

ს. ქედა 1888 წ. იანვარის 11 დღესა აჭარიდამ.

მოწყალეო ხელმწიფეო პეტრე ოსიფოვიჩ!

პირველათ შრავალს სალამს მოგახსენებ და გისურვებ ყოველივე თქვენი კეთილებით მშვიდობით ბრძანებულებით. თქვენი წერილი მივიღე, რომლიდან შევიტყვე, რომ ბათუმში და ქობულეთში ბრძანებულხართ. დიდათ სასიამოვნო დარჩებოდა აჭარაშიდაც რომ ამობრძანებულყავით. მწერთ, რომ ამ წელშიდაც რედაქცია გამოგიგზავნის „ივერიას“, დიდათ გმადლობთ მოწყალებისათვის. სხვა არა. შემიძლია რა და რაც ჩემს უსწავლელობას შეედრება, ვეცდები ცოცხოტა ანებნი ვაგზავნო რედაქციაში, — საღორეთელი შაჰირ ეფენდი იმყოფება სტამბოლში თათრის აფიცრათ. მისი ჯდრესი ამნაირად არის. ქ. სტამბოლში, სელიმიე ყიშლაში, ყოლადასი შაჰირ ეფენდი ხანტოლოლი (შერვაშიძე, რ. ს.). ამ აღრესით ინახება. იმის შესახებ, რომ ხალხი სახლდებიან ოსმალეთში, უნდა მოგახსენო, რომ ის წამსვლელი ხალხი იყო ართვინის ოკრუგიდამ და რამოდენიმე გონიის უჩასტიდამაც და ჩვენი აჭარიდამ ერთიც არ წასულა, არც ფიქრში აქვან წასვლა. თუ იმ ზედამოხსენებულ ქვეყნებიდან კიდევ არ დაიწყეს გაზაფხულზედ წასვლა და ამგენსაც არ დაუწყეს მოტყვილებით წაყვანა. აქ ქართულის მცოდნე იმოდენათ ჯერ არავინ არის და რამოდენმა ყმარწვილებმა კი დაიწყეს კითხვა ქართულის ისე, რომ ნაბეჭდს გვარიანად კითხულობენ.

შენი მონა აბდულეფენდი მიქელაძე.

„ივერია“ № 13, 1888 წ. 20 იანვარი

სოფ. ქედა (ქვედა აჭარაში). იანვრის 11-ი. კაი ამინდები იდგა აქამდის ჩვენს აჭარაში. ვერავინ იფიქრებდა, რომ ზამთარიო. ბოლოს კი უეცრად გაგვითოვდა. ეხლა სიმაღლით თოვლი ოთხი ყარიშია. და საშინელი ბუქიც იყო. ამის გამო ძრიელ წახდა აჭარის დიდი სახელმწიფო გზა, ზვავები ჩამოწვა, აღარ გაივლება თითქმის. ცხებით მსვლელობა მოსპობილია ბათუმსა და აჭარას შუა. ამ გზამ აქამდის ბევრი აღაძიანი იმსხვერპლა მას შემდეგ, რაც იმისი კეთება დაიწყეს, ეხლაკი ვგონებ მთელი ოჯახობა წაახდინოს. ერთი ფუხარა (გლეხი) კაცი სახლობს ამ გზის პირად. სო-



ფელს ზენდიდში. კაი დიდი ბაღა ჰქონდა და რაც გზის კეთება დაიწყეს, ცოტა-ცოტა იწყო სკდომა ბაღის მალლობმა. ამ ბოლოს იმისთანად მოსკდა და ჩამოვიდა, რომ იმის სახლამდის ოთხი-ხუთი საჯენი დარჩა, მეტი აღარ. იმ ფუხარას ელაპარაკებოდა იქაურობა, დცალოს და სხვაგან გადაესახლოს, მაგრამ ის ამბობს სანამ ხელმწიფე არ მომცემს სამოსახლო ადგილს, მანამ არსად წავალო და ისე ცოლ-შვილია-ხად არ მოვკვდებო. მართლა ან-კი სად უნდა წავიდეს ფუხარა კაცი, მეტი ადგილი რომ არა აქვს. ამ უამად ძრიელ სიძვირე არის ჩვენს აპარაში ყოველისფერისა და არ ვიცით, რა გვეშველება, თუ გზებიც დავვიკავედა — ბათომიდან ველარაფერს ამოვიტანთ.

წელს აპარიდამ ერთი კაციც არ გასულა ოსმალეთში და არც არაფინა პფიქრობს, თუ გავიდა ვინმე, მხოლოდ ართვინისა ლივანის მაზრიდან გავიდნენ და ბათომის მაზრაში — კი მარტო გონიის განყოფილებიდან. იმედია შემდეგ წელსაც არავინ გავა აპარიდამ. თუ გაზაფხულზე ტყუილებს არ დაუჯერეს.

ქართულ წიგნის კითხვას თან-და-თან ეჩვევიან აქაური ყმაწვილები და ნაბეჭდს წიგნს გვარიანად კითხულობენ. აქ უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ ბათომის სანჯახში საზოგადოდ ქართული წერა-კითხვა თუმცა დავიწყებული არ იყო, მეტადრე ქალებში, მაგრამ მარტო ხელ-ნაწერის წერა და კითხვა იცოდნენ, ნაბეჭდს წიგნს კი იშვიათად კითხულობდნენ, რადგანაც საქართველოსკენ გზა შეკრული იყო რუს-ოსმალის საზღვრის გამო. დღესაც შეუქმნეთ ნაბეჭდს წიგნს ვერა ჰნახავთ. ქობულეთში უფრო შეხვდებით და აპარაში კი ქობულეთზე ნაკლებად იციან ნაბეჭდის კითხვა. ამ უკანასკნელ ხანებში თან-და-თან ეჩვევიან. იმედია, თუ ხელის შემწეობა გამოჩნდა, წიგნის კითხვას მალე შეისწავლიან, ხალხი ნიჭიერია და მოწადინებული სკოლების გამართვა კაი ხანი გაივლის, რომ ვერ მოხერხდება, დიდხანს ხალხი სიღარიბისა გამო თავის ხარჯით ვერ გამართავს. ამიტომ უფრო თითობით კერძოდ შემწეობა და დახმარება ექვირება აქაურებს წიგნის სწავლასა წახალისებით, წიგნის მიწოდებით და კერძოდ კითხვისა და წერის სწავლებით.

შემთხვევა ყოფილა, რომ გავლილ მგზავრს კახს ერთ-ორ დღეში აქაურისთვის წიგნი და წერა უსწავლებია, ან წიგნი მიუცია და ამისთანა შემთხვევას სარგებლობა ჰოუტანია. აქაურს კაცს თვითონ უსწავლია და მერე სხვებისათვისაც უსწავლებია. ხალხი რომ მოწადინებულია სწავლასა, ეს შეგვიძლიან ბევრის მაგალითით დავამტკიცოთ. ომის დროს ციხის ძირში აპარლებმა ცუდაობის დროს ქობულეთელებისაგან ქართული წერა-კითხვა ისწავლეს და დღეს იმათ ლოცავენ, წიგნი ვისწავლეოთ ომის შემდეგ დროებით აქ ნამყოფ ქართველ კაცებისაგან ბევრმა ისწავლა წერა-კითხვა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

„გაზ. „ივერია“ № 40, 1888 წ. 21 თებერვალი

ქვედა-აპარიდან გვწერს ჩვენი კორესპონდენტი აბდულ ეფენდი მიქელაძე: „ამ ჩემს აპარაში ერთი კვირა არის, რაც გაჩნდა ჭაღაც გადამდები ავადმყოფობა. ეს ავადმყოფობა ნამეტურ ყმაწვილებს დაერია. პირველად ყელი უსივდება, ძლიერ სიცხეს მისცემს, საკმელს ველარა სჯამს. თუ სასიკვდილო არის, შვიდს დღეზედა კვდება და თუ მოსარჩენი პირი აქვს, ავადმყოფს მთელს ტანზედ გამოჰყრის წითებს (?) წითლად, მერე ტყავი გასძვრება და სიკვდილს გადაურჩება. ამ ავადმყოფობით მრავალნი არიან ეხლა ავად. ზოგიერთი ცოტათი მორჩა და რამდენიმე — კი შოკვდა. ამ ავადმყოფობის გამოსაკვლევად მართველობისაგან არის განკარგულება ნაქნარი და ენახოთ, რა ავადმყოფობას გამოაჩენს ექიმი“.

აქარა: ქვემო აქარაში გაჩნდა რაღაც ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენებულად მახრჩობელა ქვიან (თათრულად „ბოლმაჯა“); ამ სნეულებით ავად გახდა ორასზე მეტი კაცი. „მახრჩობელამ“ იმსხვერპლა 30 ვაჟი თუ ქალი; ნამეტურ ხელი მოჰქიდა ბავშვებს. მთავრობამ ყურადღება ათხოვა ამ გარკ. მოვას და ექიმიც გამოგზავნა, მაგრამ მოვლება თუ არა ბოლო ამ მოს. ხალს ავადმყოფობას, ძნელი სათქმელია. მიზეზი ამ სნეულებისა როგორც აქ ამბობენ, ზამთრის იშვიათი კარგი დარეზი.

25 თებერვალს აქარაში ერთი ადლი თოვლი მოვიდა და გასტანა სამს დღემდე.

„ივერია“, № 88, 1888 წ. 29 აპრილი.

სოფ. ქვედა-აქარა: აქარის განყოფილებაში მოხდა შემდეგი უბედურება: ბათუმდგან მოდიოდნენ ზემო აქარაში გამომძიებელი და ოლქის მკურნალი შაბლოვსკი*. მოვიდნენ თუ არა სოფელ დოლოვანს ცხენითა, აქ მკურნალი გადმოაგდო ცხენმა და მთლად დაუმტვრია თავი. საბრალომ ნახევარი საათის განმავლობაში დალია სული.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ შემდეგი შენიშვნა დაჰბეჭდოთ: სოფ. ზენდიდის მცხოვრებნი ქვედა აქარის განყოფილებისანი სრულს მაღლობს უძღვნიან ბ-ნს სულეიმან-ბეგ ტულუბა ზადეს (ბეჟანიძე, რ. ს.) და ოსმან-ეფენდის** (გეგიძე, რ. ს.), რომლებთან მივიღეთ ჩვენის ჯამეს სასარგებლოთ იმათის შრომით და მეცადინეობით მოგროვილი ფული 150 მანეთი და 95 კაპ., შემოწირული სხვა-დასხვათაგან, რომელთაც უგულითაღეს მაღლობს უძღვნიან ზენდიდელები.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

სოფ. ზენდიდი.

(გაგრძელება იქნება)

* ეს არის იოსებ ივანეს ძე შაბლოვსკი, ოლქის ექიმი, კოლეგიის ასესორი.

** ოსმან გეგიძე, სოფელ ახოს მცხოვრები კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. როგორც ჩანს, ამით ისარგებლეს თურქეთის მოხელეებმა და სცადეს მისი გამოყენება თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად. იგი „სედომილეთის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა; ცნობილი მელექსე მემედ ჭყონია ამ ფაქტს სატირული ლექსით გამოეხმაურა:

„ოსმან ეფენდი გეგიძე
აღზრდილია სიასეთში,
გახათლება მიუღია
წონიარისის მდარესეში.
ნური ფაშამ დაავალა
ხალხს უქადავე ჯამეში,
რესპუბლიკას დააარსებ
ქახათს ზეით დიდვაქეში“.

(ა. ახვლედიანი, გ. დავითაძე, „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო“. ბათუმი, 1979, გვ. 38).

შოთა შარია

ჩვენი მასწავლებლები

მოგონებათა წიგნიდან „ვახუშტი იყო, ქარბუში იყო“

„გონიერსა მწვრთნელი უყვარს...“

შ. რუსთაველი

ოცდაათიანი წლების დამდეგს, როცა ჩვენ ახალბედა სტუდენტები, ვსწავლობდით, ქუთაისში საკმაოდ ძლიერად ჩქეფდა კულტურული ცხოვრება. უდავოა, რომ მან გარკვეული წელიწადი შეიტანა ჩვენი მოქალაქეობრივ-მორალური სახისა და ლიტერატურული გემოვნების ფორმირებაში, მაგრამ მთავარი მაინც ლექტორთა შემადგენლობა იყო. ამ მხრივ კი მართლაც ბედმა გავგილიმა.

პირველად სადაც თქვა, მასწავლებელი გონებას აწოვებს ყრმას ისე, როგორც დედა — ძუძუს. ჩინებული ნაოქვამია და ბედნიერად მიმაჩნია თავი, რომ პირველი კლასიდანვე დიდად განსწავლული და აღზრდის ნამდვილი ოსტატები მასწავლებლები. საკვირველია, სწავლა სხვადასხვა ადგილას მომიხდა, მაგრამ ყველგან ერთი მეორეზე უკეთესი პედაგოგები მხედდებოდნენ. ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჰამისერში ჩემი პირველი მასწავლებლები აყვნენ წინა და დიმიტრი დუდუჩაშვილები. ეს უკანასკნელი შემდეგ დიხანს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ერთ-ერთ სამმართველოს. საჰამისერიდან საცხოვრებლად გადავიდით სამტრედიისში, სადაც მასწავლებლები ქეთევან ანჯაფარიძე, მარი როდინოვა, დავით კანდელაკი, კონსტანტინე ცაგარეიშვილი, შემდეგ ხარაგოულში — ვანო ბუაჩიძე, გრიგოლ დევიდარიანი, აკაკი აბეანაძე, პლატონ ბოჭორიშვილი და სხვები. ბოლოს, მახარაძის პედაგოგიურ ტექნიკუმში ჩემი საყვარელი მასწავლებლები აყვნენ ჭოლა (ვარლამ) და ელისე ღონაძეები, ვარლამ ქაჯია, ირაიდონ ხომერაძი, ილიკო ქარცივაძე, აკაკი ქავთარაძე, ევტიხი სურგულაძე... ყველას ვერ ჩამოვთვლი, ბევრ მათგანი პროფესორი თუ დოცენტი გახდა.

ლადო ასათიანიც დიდად ამაყოფა თავისი მასწავლებლებით, განსაკუთრებით ლიტერატურის მასწავლებლით და ამბობდა, პოეზია იმან შემაყვარაო. ამაყოფა იმითაც, რომ დედა პედაგოგი ჰყავდა. ასე რომ, ინსტიტუტში სწავლა სრულებით არ გვიკირდა, ორივეს საფუძვლიანი განათლება გვქონდა და შეგვეძლო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენი სურვილისამებრ გამოგვეყენებინა, ლადოს ხშირად დაჰქონდა თოკით შეკრული, უპირატესად ძველად გამოცემული ისტორიული წიგნების მთელი დასტა, რომლებსაც დიდი გატაცებით კითხულობდა.

ლადო ასათიანის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი წიგნი იყო „ხალხური პოეზია“. რომელიც, სხვათა შორის, ქუთაისში აიწყო და დაიბეჭდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი მისი მაგიდის წიგნი გახდა. ამ კრებულის შემდგენელი და კომპენ-



ტატორი იყო ჩვენი უსაყვარლესი ლექტორი, პროფესორი ვახტანგ კოტეტიშვილი. დღეს იგი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ რა დამაფიქვებს მის ცეცხლოვან, ღრმამინათარს სიან, საოცრად მიმზიდველ ლექციებს! იგი ბრწყინვალედ კითხულობდა ხალხურ ლექსებს, ზოგჯერ მღეროდა და წაიცეკვებდა კიდეც ლექციის კითხვისას, რომ უფრო გვეგრძნო ქართული სიტყვისა და სიმღერის ძალა, უფრო მკაფიოდ წარმოგვედგინა, რა სიმდიდრე გვექონდა, რა განძის პატრონი ვიყავით, რა ძალა ჰქონდა ჩვენს ხალხურ პოეზიას, ზღაპრებს, ნოველებს, ჩვენს სიმღერებსა და ცეკვებს.

ახლაც ცხადად მახსოვს ვახტანგ კოტეტიშვილის პირველი ლექცია, მასთან პირველი შეხვედრა.

იმ ღამით ლექციები ცხრა საათზე გვითავდებოდა და ყველას სადღაც მიგვეჩქარებოდა. ანიტომ მაინცდამაინც არ გვესიამოვნა, როცა გვითხრეს, დამატებით კიდე ერთი ლექცია გექნებოდათ. ცხრილში ვნახეთ, რომ ახალი კურსი გვეწყებოდა — ფოლკლორი. მას წაგვიკითხავდა პროფესორი კოტეტიშვილი. ჩვენი ლიტერატურული პრესის გავლენით ახალგაზრდობაში ამ ლექტორს მაინცდამაინც დიდი სახელი არ ჰქონდა, მიგვაჩნდა, რომ მისი ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX საუკუნე) შეცდომებით იყო სავსე.

ზარამდე ჯერ კიდევ დრო იყო, მაგრამ მითითებული აუდიტორიისაკენ გავეჩვიე, წიგნები რომ შემენახა. ეს იყო პატარა ოთახი, სადაც ძლივს ზუუტავდა ერთადერთი ელექტრონათურა. შევედი აუდიტორიაში და შევჩერდი. მაგიდასთან უკვე იჯდა ლექტორი, გვერდით პირთამდე გატენილი პორტფელი, მასზე კი შავი შლაპა ედო. ჰალსტუხის მაგივრად ყელზე შავი ბაფთა, ხელზე კი მსხვილი მრგვალი ოქროს ბეჭედი ეკეთა. ყველაფერი ეს ძალზე უცნაური იყო და გავშეშდი. ლექტორს არავითარი ყურადღება არ მოუქცევია ჩემთვის, მგონი, არც კი გაუგია, თუ აუდიტორიაში შევედი. ის იყო, უკან გაბრუნებას ვაპირებდი, რომ სხვა სტუდენტებიც მოვიდნენ და მერსებზე დაესხდით. აუდიტორია სათითოოდ ივსებოდა სტუდენტებით. ლექტორი კი გაუძნრევლად იჯდა. სანამ ზარი არ დაირეკა, თავი არ აუღია, მერე დადლილი სახით გადმოგვხვდა და დაიწყო... ზღაპარი.

ეს იყო ზღაპარი დედაბერსა და უკვდავებაზე, საოცრად ბრძნული, წარმატადი, შთაბეჭდილადი. თუ არ ვცდები, ლადო ამ ლექციას არ დასწრებია, როგორც ზოგიერთი სხვა სტუდენტიც, რადგან, როგორც ვთქვი, იგი ცხრილში არ ყოფილა და დამატებით დანიშნეს.

ლექციამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მეორე დღეს უკვე მთელმა ინსტიტუტმა იცოდა, რომ ლიტერატორებს ენამზე ლექტორი გამოგვიჩნდა და ყველას სურდა მისი ლექციის მოსმენა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვეულებრივი აუდიტორიები უკვე ვეღარ იტევდნენ ლექციებზე დასწრების მსურველებს — მოდიოდნენ არა მარტო სხვა კურსებისა და ფაკულტეტების სტუდენტები, არამედ ქალაქიდანაც. ბოლოს, რექტორატი იძულებული გახდა ვ. კოტეტიშვილის ლექციები ყველაზე დიდ — ქიმიის კაბინეტში დანერგა.

ერთხელ ვახტანგ კოტეტიშვილმა წაგვიკითხა ხალხური ლექსი:

ბოშალდში ჩაფჩქე, ზღვას გაველ.
ფრანგის ქვეყნები ვნახეთ,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო.
ანთებულ სანთელს გამსგავებ,
ღალით ცისკარზე ვნახეო,

ხელში გეპირა ყმაწვილი,
ფარსაგ ვერ დავინახეო,
შენს ღოუას ვარდი ჰყვავდა,
შვენოდა ღია ფერია,
ღაჯეს — მოციმციმე ხალივით
ნამი ცით მონაბერია.

შურიტ დაგფრენდა ნიავი,
გირხევედა დალაჟ-კავებსა;
წარბი-წამწამი ყორნისა
ხურავდა გიშრის თვალებმა.
თვალსა, რა თვალსა, ცის მნათსა,
წყვედიადში მოვლვარსა,
მოვლინებულსა ამ ქვეყნად
ნუგეშად დამაშვრალესა.
ტუჩს დაგვედომია ღიმილი.
აღისფრად მოღალადესა;


კბილ-შარგალიტი აფრქვევდა
შუქურს მიდამოს და ველსა.
რა თამარ? რაა ქეთევან?
ვით შეგადარო ეთერსა?
იხარს დაუსობ გულს მნახველს,
ხელად გარბოდეს ტყე-ველსა.
ფრანგის ქვეყნები დაფადე,
მიფძარ-მოფძარი ზღვებია,
ვერსად ვერ შევხვდი სიტურფეს,
მაგრეთსა, შენ რომ გხლებია.

ეს მართლაც ბრწყინვალე ლექსი პროფესორმა წაიკითხა ისეთი ოსტატობით, რომ ყველანი მოვიხიბლეთ, მაგრამ ლადომ მაინც ყველაზე მეტად განიცადა ქართული სიტყვის მადლი, მისი ძალა. თვალები უბრწყინავდა, ცალი ყური ერთიანად გაუწითლდა (ასე ემართებოდა ყოველთვის დიდი მღელვარებისას). როცა აუდიტორიაში ტაში გაისმა ლექტორის პატივსაცემად, ლადომ ენაბორძიკით წამწურჩულა: ერთი ასეთი ლექსი რომ დამაწერინა, უკვდავი გაგვდებოდიო. თითქმის ეს სიტყვები გაიგონაო, ვ. კოტეტიშვილმა მოგვემართა: იცით თუ არა, ყმაწვილებო, რა თქვა ამ ლექსზე აკაკი წერეთელმა? — არათუ ჩემისთანა მჭლახნელი, არამედ თვითონ დიდი რუსთაველი შეურცხვენლად მოაწერდა მას ხელსო. ლადომ ერთი კი გადმოიმხედა, თითქმის მიიხრა, ხომ ვთქვიო, და შემდეგ თვლითარ მოუშორებია პროფესორისათვის, მაგრამ ეგრძნობდი, რომ მისი ლაპარაკი აღარ ესმოდა, საკუთარი ფიქრებით იყო გართული, საკუთარ სამყაროში, ქაბუჯურ ოცნებებში ჩაყურსულიყო.

და ასე ხდებოდა ყოველთვის. ვახტანგ კოტეტიშვილის თითოეული ლექცია — ეს ნამდვილი აღმოჩენა იყო. მან სრულიად ახალი, მანამდე ნისლშემოხვეული სამყარო გადაშალა ჩვენს თვალწინ. იგი არა მარტო გვესწავლიდა, არა მარტო ცოდნით გვაძლიერებდა, არამედ ამასთან ერთად გვაყვარებდა ფოლკლორს, მის შემოქმედ ხალხს, გვზრდიდა და გვევრთნიდა, გვინერგავდა მაღალ მორალურ თვისებებს.

ერთხელ ძლიერ უხალისოდ დაიწყო ლექცია. აშკარად ეტყობოდა წყენა. გვითხრა, აქეთ რომ მოვიდოდი, რესტორანში შევიარე, კარებთან მთხოვარი იდგა. გამოვე-ლაპარაკე და სადილზე მივიწვიე. გამომშვიდობებისას მადლობის მაგივრად მკითხა, ვინ ბრძანდებით, ბატონო, ბევრი ფული გქონიათო. მეწყენია, რომ მან ფული დაიხანჯა და არა ადამიანო. შემდეგ თანდათან გახალისდა და მთელი საათი დაუთმო ჩვენს წინაპრებს, რომლებიც ფულს, ნიმიდირეს კი არ სცემდნენ პატივს, არამედ ადამიანს. მის ღირსებას. წაგვიკითხა ლექსები, გვიამბო ზღაპარი, გვითხრა ანდაზები. ეს იყო მართლაც დაუფიქსარი ლექცია, მორალის შესანიშნავი გაკვეთილი, რომელიც ღრმად ჩაგვებეჭდა მესხიერებაში.

მაგონდება კიდევ ერთი, ჩემი აზრით, ძლიერ საინტერესო შემთხვევა. ლექციაზე რომ მოდიოდა, ღერუფანში, ცხრილის სტენდთან, პროფ. ალ. ბარამიძე შეხვდა. გამოელაპარაკა, ხელი გადახვია და ორივენი მხიარული ბასით წამოვიდნენ ჩვენსკენ. ჩვენ, სტუდენტები, თვალს არ ვაცილებდით მათ. გაგვეგონა, მეცნიერებს, მით უფრო, ერთი ან მონაცხსავე დარგის სპეციალისტებს, ერთმანეთი არ უყვართო. მაგრამ რაც ვნახეთ, ამ განჯონის სრული ანტიპოდი იყო. თავისი აუდიტორიის წინ პროფ. ალ. ბარამიძე დაუფარავი სიყვარულით გამოეთხოვა კოლეგას. ლექციაზე რომ შემოვი-და, ვახტანგ კოტეტიშვილმა გვითხრა: იცით, რაზე ვესაუბრებოდი პროფესორ ბარამიძეს? შაირის წარმომავლობაზე ჩემს მოსაზრებას არ იზიარებს, არ მი-



ჯერებს, მეუბნება, საბუთები საკმაო არ არისო. მერე წამით შეყვანდა, თვალეზში, ხმაში წარმოუდგენელი სიბო ჩაუდგა და დიდი მოკვძალებით თქვა: **მეცნიერებო!** რატომ ივანე ჯავახიშვილი არა ვარ, ვიტყვით და ყველა დამიჯერებდა! ლადო ასათიანი მონუსხული უყურებდა საყვარელ პროფესორს და შეიძლება სწორედ მაშინ დაეხადა სურვილი დაეწერა სასიქადულო მეცნიერისადმი მიძღვნილი ლექსი. ყოველ შემთხვევაში, ლადო იმ დღიდან ივანე ჯავახიშვილის ნაწერების თავგამოდებული მკითხველი გახდა. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მაჩუქა დიდი მეცნიერის ბევრი ფუძემდებლური ნაშრომი, მათ შორის ქართული საისტორიო მწერლობა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და წარმოდგენს თითოეული ლიტერატორის მაგიდის წიგნს. მაშინ სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველ განოცემათა შეძენა არც ისე იოლი საქმე იყო და გამოკირდა, როგორ იშოვა სულ ახალთახალი, უხმარი ისეთი წიგნები, როგორიცაა ქართული სამართლის ისტორიის ტომები, ლაშა ვიორგის დროინდელი მემკრანე და სხვები. თვითონ ლადო ერთხანს თან ატარებდა „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომს და ყოველ მოხერხებულ დროს რომანი-კითხულობდა

ასე სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად ჩაგვინერგა ვ. კოტეტიშვილი ივანე ჯავახიშვილისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობა და განა მარტო ამ სასიქადულო მეცნიერისადმი? ჩვენ მიგზნით, რომ ყოველი მკვლევარის მოღვაწეობაში გადამწყვეტია სიღრმე, კეთილსინდისიერება, წყაროების ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა, რომ მსჯელობა, შეხედულება თუ პიპოთება მყარ და უცეცხვო საბუთს უნდა ემყარებოდეს. ივანე ჯავახიშვილიც იმიტომ იყო დიდი მეცნიერი, რომ უსაბუთოდ არაფერს იტყოდა, არც ყველა ცნობას ენდობოდა, დინჯად, აუჩქარებლად, ფაქტების შეწონასწორებით აკეთებდა დასკვნებს. სწორედ ამ გარემოებას გაუხსნა ხაზი ლადო ასათიანმა ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ თავის ლექსში.

ვით ჩადოკაცი, უხსოვარი დროის უბეში

შეიჭრებოდი, რომ იქიდან გამოგეტანა

პერგამენტივით დახვეული ფიქრის ღრუბელი

და შემდეგ მაინც „კი მაგრამა“ გეთქვა ნეტარად.

ვახტანგ კოტეტიშვილი არ იფარგლებოდა მარტო ქართული ფოლკლორით, უყვარდა პარალელები, რომ უფრო ნათლად, უფრო მკაფიოდ წარმოეჩინა როგორც ქართული ზეპირსიტყვიერების თავისებურებანი და ღირსებანი, ისე ის ზოგადი, ის საერთო, რომელიც სხვადასხვა ხალხის ფოლკლორს ანათესავებს.

ჩვენთვის, მომავალი ლიტერატორებისათვის, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მის მსჯელობას, შეხედულებებს საერთოდ პოეზიაზე, წელოვნების ცალკეულ დარგებზე, განსაკუთრებით მხატვრობასა და ქანდაკებაზე, რომლებსაც თითქმის სრულებით არ ვიცნობდით. ყველაფერი ეს არა მარტო გვიმდიდრებდა ცოდნას, გვიფართოებდა განათლების პორიზონტს, არამედ როგორცაც სავსებით შეუმჩნევლად, თითქმის თავისთავად გვიმუშავებდა გემოვნებასაც. ერთხელ, მაგალითად, მან თქვა: როცა ვალერიაში ძონვდებით და ნახავთ სურათს, რომელიც ისე ძლიერ მარტივი მოგვეჩვენებათ, რომ იფიქრებთ, ამას მეც კი დაგზნავო, იცოდეთ, რომ იგი ხელოვნების შედეგია და, პირიქით. ზოგი ვინმე აკაკი წერეთელს უბრალო მესტიერედ, „ეო-მეოს“ პოეტად რაცხს, მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, ჯერ ისეთი ლექსი დაწეროს, როგორიცაა „განთიადი“ ან „სიყვარული“, ან სხვა და მერე ვიწამებ მის „რთულ“ და „ინტელექტუალურ“ ლექსებსო. ლამაზს სამკაული არ ესაქიროება, იგი უმისოდაც ლამაზია. ლექსმა სამკაულებით კი არ უნდა მოგჭრას თვალეზი, არამედ გრძნობა ავადფორიაქოს, სული შევი-



ძრას, დაგატყვევოს, გაგიტაცოს. მე მგონია, ჩვენი საყვარელი პროფესორის ამგვარი გონებად გადამწყვეტი გავლენა იქონია ლადოს პოეტურ გემოვნებაზე, რომელიც ისიც ფორმდებოდა. იგი ცდილობდა უბრალოდ, თითქმის უსამკაულოდ გადმოეცა სათქმელი, მაგრამ ისე, რომ მკითხველისათვის გადაედო თავისი განწყობილება, ლექსის შექმნის დროს რომ ტანჯავდა. ამას ლადო უმრავლეს შემთხვევაში ახერხებდა და, ჩემი აზრით, ეს გახდა მისი პოპულარობის ერთი უმთავრესი მიზეზი.

არანაკლები საყვარელი მოიხვეჭა და სტუდენტებზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა პროფესორ ვარლამ თოფურიას, თუმცა იგი გვასწავლიდა ისეთ „მშრალ“ საგანს, როგორიცაა გრამატიკა. იშვიათი ადამიანი, ჩინებული პედაგოგი და აღმზრდელი, იგი ყველას ხიბლავდა. მას უნარი შესწევდა ისე მარტივად, ცხადად და ვასაგებად აეხსნა ურთულესი გრამატიკული მოვლენა, რომ საშუალოდ აღგებულებოდა მესხიერებაში, საოცრად ყურადღებიანი და მზრუნველი, იგი ამავე დროს იყო მკაცრი მომთხოვნე, პრინციპული.

გამორჩეულ სტუდენტებს, რომლებიც გრამატიკის საყვარულს და კვლევის უნარს ამჟღავნებდნენ, პროფესორი ვ. თოფურია საოცარი ყურადღებით ეკიდებოდა და აშუადებდა მათ ნაძებნიერო მოღვაწეობისათვის. ჩემი თანაკურსელები — დღეს პროფესორი გ. შალაბერიძე, დოცენტები ლევან კიკნაშე და მიხეილ ალავეძე სწორედ მას უნდა უმაღლესდნენ, რომ ქართულ ენათმეცნიერებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს და შეაქმნ, იმის ნათელსაყოფად, თუ რა შესანიშნავი პედაგოგი-აღმზრდელი იყო პროფესორი ვ. თოფურია, გაიმბოთთ ენა შემთხვევას.

ჯერ კიდევ პირველ კურსზე, როცა მორფოლოგიის კურსს გავდიოდით, ლევან კიკნაშემ კვლევის უდავო ნიჭი გამოამჟღავნა და ზოგიერთ ენობრივ მოვლენაზე საკუთარი შეხედულებებიც კი შეიმუშავა. იგი ხშირად არ ეთანხმებოდა ასისტენტ გიორგი (ჯეგბე) როგავას, ამჟამად ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, და ორიგინალურ აზრს ავითარებდა. სტუდენტებს ეს ღიმილს გვგვრიდა. მაგრამ ერთხელ, როცა თვით პროფესორ ვ. თოფურიას შეეკამათა, ქართულ ენაში ოთხპირიანი ზმნებიც გვაქვსო, ყველანი გავეცდით, ეს რა გაბედაო. და, აი, აქ გამოჩნდა მთელი სისრული ჩვენი საყვარელი პროფესორის პედაგოგიური ტაქტი. იგი მოთმინებით, ღიმილით უმტკიცებდა სტუდენტს, რომ მართალი არ იყო, ოთხპირიანი ზმნა არ არსებობსო. მას არ აზრავებდა ლ. კიკნაშის სიჯიუტე, კვლავ და კვლავ ახალ-ახალი არგუმენტებით ასაბუთებდა მისი შეხედულების უსაფუძვლობას და ერთხელაც არ უცდია დაეტუქსა სტუდენტი, დროს ფუჟად მაკარგვინებ, ან როგორ არ მიჯერებო, პროფესორი სტუდენტს ეკამათებოდა როგორც თანასწორი თანასწორს! და ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა დილბუნებოვანი ადამიანი იყო იგი, რა დიდი პედაგოგი. პროფესორი ვ. თოფურია თავისი საქციელით სტუდენტს უღვივებდა კვლევასადმი მისწრაფებას, პატივს სცემდა მის აზრს, მაგრამ ამავე დროს. მოითხოვდა საბუთიანობას, დამაჯერებლობას, აზროვნების სიღრმეს. ასე მზრუნველად ეკიდებოდა იგი უკლებლივ ყველა სტუდენტს, ვისაც კი ნიჭსა და შრომის საყვარულს შენიშნავდა.

ლადო ასათიანისადმი დამოკიდებულებაშიც მკაფიოდ გამოვლინდა პროფესორ ვ. თოფურიას ადამიანური კეთილშობილება და პედაგოგიური ტაქტი. მან კარგად იცოდა, რომ ლადოს პოეზია იტაცებდა, ბუნებით პოეტი იყო, გულს ვერ დაუდებდა გრამატიკის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეორიას, და საკმარისად მიაჩნდა, თუ ეცოდინებოდა პრაქტიკული ნორმები, ის, რაც აუცილებელი იყო პოეტისათვის, რომ უშეცდომოდ და სწორი ქართულით გადმოეცა აზრი. ამ საზომით ეკიდებოდა იგი ლადო ასათიანს და ყოველმხრივ ხელს უწყობდა, რომ მისგან ისეთი პოეტი დამდგარიყო, რომელიც გამართული ქართულით დაწერდა ლექსებს. ამ მიზანს პროფესორმა უთუოდ

ზიადწია. თავის მხრივ, ლადოც ცდილობდა იმაზე მეტი ცოდნოდა, ვიდრე მისგან მოითხოვდნენ, და სრული საფუძვლით ამბობდა, ქართული ენა ვარლამ თოფურიაშვიტმასწავლაო. და განა მარტო მას! ჩვენც არც ერთს არ მიგვიღია საშუალო სკოლაში გრამატიკის საფუძვლიანი ცოდნა და ყველანი პროფესორმა ვ. თოფურიაშვიტმა გაგვწვრთნა.

ახლა, მრავალი წლის შემდეგ, როცა ლადოს ხელნაწერებს ვკითხულობ, მათგან, რა სწრაფად ეუფლებოდა იგი გრამატიკულ ნორმებს და სულ უფრო და უფრო ნაკლები შეცდომა მოსდიოდა. ჩინებულია მისი სინტაქსი, თუმცა არ ერიდებოდა რთულ, თანწყობილ და ჩართულ წინადადებებს. ლექსიკაზე არაფერს ვიტყვით, ყველას მოეხსენება, თუ სიტყვათა რა მდიდარ მარაგს ფლობდა ლადო და ყველაფერი ეს, უპირველეს ყოვლისა, პროფესორ ვარლამ თოფურიაშვიტის დამსახურება იყო, აგრეთვე თვით ლადოს დიდი ნაკითხობის შედეგი.

და განა მარტო ამ ორმა მეცნიერმა მოახდინა ჩვენზე ასეთი დიდი გავლენა? ჩვენ მართლაც რომ გამორჩეული და სასახელო მეცნიერ-აღმზრდელთა მთელი პლავადა გვყავდა. მარტო მათი დასახელებაც კი საკმარისია, მკითხველმა რომ ნათლად წარმოიდგინოს, თუ როგორ გავვიღიმა ბედმა ლადოს თაობის სტუდენტებს. ჩვენ ლექციებს გვიკითხავდნენ და გვზრდიდნენ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ კ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი, მ. გოგიბერიძე, ს. კაკაბაძე, ს. ყაუხჩიშვილი, რომელმაც ჩვენთვის სრულიად უცნობი ლიტერატურული სამყარო — ანტიკური მწერლობა გავაცნო და გავაცნო ისე მიმზიდველად, რომ ქართული წყაროები აღარ გვაქაყაფილებდა და რუსულს დაეწაფეთ, თუმცა ამ ენას მაშინ ხეირიანად ვერც კი ვფლობდით. გარდა ამისა, ჩვენი ლექტორები იყვნენ იმჟამად დოცენტები ა. ბოჭორიშვილი (რომელმაც, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ლექცია წაგვიკითხა), გ. ხავთასი, მ. მენაბდე, შ. ძიძიგური, შ. სიხარულიძე, გ. ბაქრაძე, ხოლო პრაქტიკულებს გვიტარებდნენ გ. როგავა, კ. მეძველია, ტრ. ჭაფარიძე და სხვები. მათგან ბევრი პროფესორი და ცნობილი მეცნიერი გახდა, ხოლო ა. ბოჭორიშვილი — აკადემიკოსი. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ სხვა დარგების ისეთი სახელგანთქმული მეცნიერები, როგორც, მაგალითად, დ. უზნაძე, მ. დუბროვსკი, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლავენტიევი, ა. ბენაშვილი, გ. ნამორაძე და სხვები, ხოლო დროდარო ჩამოდიოდნენ და ლექციებს გვიკითხავდნენ შ. ნუცუბიძე, ს. დანელია და სხვა გამოჩენილი მეცნიერები, მკითხველი, ალბათ, დამეთანხმება, რომ ღირსეული მასწავლებლები არ გვაკლდა.

ბუნებრივია, რომ სახელოვან მეცნიერთა კადრებით ასე განებივრებული სტუდენტები, ცოტა რა იყოს, ამრეზით ვუტკერდით დოცენტებს და გეწყინდა, როცა ამა თუ იმ კურსს რომელიმე მათგანს ჩააბარებდნენ. მაგრამ იყო ბედნიერი გამონაკლისიც, რასაც სიამოვნებით აღვნიშნავ. მეოთხე კურსზე რომ ვიყავით, ერთბაშად ორი თეორიული კურსი მიანდეს გიორგი ჭიბლაძეს, რომელიც მაშინ არათუ პროფესორი, არამედ დოცენტიც კი არ იყო და, საერთოდ, არავითარი სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცოდით, რომ მან წარჩინებით დაამთავრა ასპირანტურა, იყო კრიტიკოსი და ჟურნალისტი, საქალაქო გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქტორის მოადგილე. ბევრი ჩვენგანი იცნობდა პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მის თეორიულ-კრიტიკულ სტატიებს, წიგნებს და ამიტომ რექტორატის გადაწყვეტილება არ გაგვევირეებია და „დამწყები“ ლექტორი, რომელიც ასაკით ჩვენთან ახლოს იდგა, სამი-ოთხი წლით თუ იყო ჩვენზე უფროსი, ხალისით მივიღეთ. ცხადია, იყვნენ სკეპტიკოსებიც, უმთავრესად ლექტორზე ხნიერი სტუდენტები, რომლებსაც არ ეჭაშნიკათ, რომ მათ „ბავშვი“ ასწავლიდა. ლადო ასათიანმა, რომელიც მთელ ჩვენს ჯგუფში ერთადერთი, პირადად იცნობდა გიორგი ჭიბლაძეს და დიდ პატივს სცემდა

მას, სკეპტიკოსებს ურჩია: მოთმინებით აღიჭურვეთ, მოხუცნო! ჯერ მოუსმინეთ „ბავშვს“ და მსჯავრი შემდეგ დასდეთ. იგი გაიძულნენ თქვენ ტაში დაუტარებდნენ მოხდა სწორედ ისე, როგორც ლადომ იწინასწარმეტყველა. პირველმავე ლექციამ მოხიზლა აუდიტორია და სკეპტიკოსებმაც აღიარეს, ასეთი ლექციის წაყიხვა პროფესორსაც კი გაუჭირდებოდაო. სულ მალე ახალგაზრდა ლექტორი ყველამ შეიყვარა, მაგრამ ლადო ასათიანს იგი მაინც გამორჩევით უყვარდა არა მარტო როგორც ლექტორი, არამედ როგორც ღებუქტორიც. გ. ჯიბლაძემ თავიდანვე ღირსეულად შეაფასა ლადოს ხალასი პოეტური ნიჭი და ფართო გასაქანი მისცა მას, ხშირად უბეჭდავდა ლექსებს საქალაქო გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ ამის თაობაზე თვითონ გ. ჯიბლაძემ უკვე მოგვითხრო სტატიაში „ლადო ასათიანის დღეები და ლექსები“ და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, დაქვენ მხოლოდ: როცა დაბადების 60 წლისთავი შეუხსრულდა, გ. ჯიბლაძეს ბინაში ეწვევით ლადოს რამდენიმე მეგობარი. ჯერ კიდევ დერეფანში ვიყავით, რომ გამოაცხადეს, იუბილარს ეწვევენ მისი პირველი სტუდენტებიო და, როცა სასადილო დარბაზში შევიწყავეთ თოვლივით თმათეთრი „სტუდენტები“, სიცილი დაგვყარეს. შენზე მეტად შენი სტუდენტები მოხუცებულანო, უთხრა გ. ჯიბლაძეს ცნობილმა ფილოსოფოსმა აკადემიკოსმა მ. მიტინმა.

მე უნებლით გავფიქრე, ახლა ლადო ჩვენთან რომ იყოს, ისიც ჩვენსავით იქნებოდა? თერამეტი წლისა იგი ხომ სწერდა საფო მგელაძეს, „არა მგონია, რომ მოვხუცდებ, რადგან ორსულიანი ადამიანები არასოდეს არ ხუცდებიან“.

არც მოხუცებულა!

მ ე ტ ე რ ა ნ ე ბ ი

ამ წერილში მინდა გვიამბოთ ორ ღვაწლმოსილ ადმწრდელზე, შრომისა და ომის ვეტერანებზე, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებლებზე იოსებ დიასამიძესა და ვლადიმერ გაბელაიაზე.

სამი წლისა იყო იოსებ დიასამიძე, მამა რომ დაკარგა, ცხრა შვილის აღზრდა მართოხდა დედისათვის ძალიან ძნელი იყო, მაგრამ გამრჯე ქალმა გოგო-ბიჭები გვერდით ამოიყენა. შრომა შეაყვარა, 7 წლის იოსები ბათუმის აქარელ ბავშვთა სახლში მიაბარეს. 1924 წლიდან სწავლობდა ურეხის დაწყებით სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჯერ კოლმეურნეობაში მუშაობდა, მერე ბათუმის სტამბაში. 1935 წელს ჩაირიცხა ბათუმის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე. ორი წლის შემდეგ მასწავლებელი გახდა და ბათუმის სხვადასხვა სკოლაში ასწავლიდა.

რამდენი ოცნება ჰქონდა ახალგაზრდა მასწავლებელს, მაგრამ შავმა ღრუბელმა დაფარა ჩვენი ქვეყნის ცა. მამულისშვილები სამშობლოს სადარაჯოზე დადგნენ. ომის დაწყების მეორე დღესვე იოსები მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

როცა ქერჩში ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს გმირულად დაეცა ასეულის მეთაური, იგი იოსებ დიასამიძემ შესცვალა. მან პირადი მავალითთ ილაფრთოვანა ჯარისკაცები, რომლებიც გააფრთხილებული ეკვეთნენ მტერს. ამოცანა პირნათლად შეასრულეს. ამ ბრძოლაში იოსები დაიჭრა... სხვაც ბევრი აქვს მოსავონარი, მაგრამ განსაკუთრებით დაუვიწყარია ფრონტზე შეხვედრა თავის ყოფილ მოსწავლესთან, კატარღის მეთაურთან ახმედ წუწუნავასთან. ეს შავ ზღვაზე ერთ-ერთი სადესანტო ოპერაციის დროს მოხდა.



იოსების აქტიური ფრონტული ცხოვრების დასტურია სამამულო ომის მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენები, მედალი „საბრძოლო მამაცობისათვის“, უმაღლესი მთავარსარდლის ოთხი მაღლობა ჩრდილოეთ კავკასიის, ტამანის, ქერჩისა და სევასტოპოლის გათავისუფლებაში მონაწილეობისათვის.

საბრძოლო ჯილდოებით მკერდღამშვენიერებული ჯარისკაცი 1946 წელს დაბრუნდა მშობლიურ აჭარაში და იმავე წლის დეკემბრიდან თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. მუშაობდა № 7 რუსული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, მე-9 საშუალო სკოლის დირექტორად, 1951 წლიდან — № 1 საშუალო სკოლის დირექტორად. ამავე დროს დაუსწრებლად დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

1952 წლის ოქტომბრიდან აჭარის ასსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილეა. 1957 წლიდან — მე-3 რუსული საშუალო სკოლის დირექტორი. 1960 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, დანაშნეს ახალგაზნადი სკოლა-ინტერნატის დირექტორად. მისი აქტიური მონაწილეობით აიგო ახალი კორპუსები, სააქტო დარბაზი, სახელოსნოები და ბიბლიოთეკა, ბევრი რამ გაკეთდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების საქმეში. სკოლა-ინტერნატი საკავშირო დათვალიერების ობიექტად გამოცხადდა. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, აგრეთვე უცხოეთიდანაც მოდიოდნენ აქ სტუმრები.

ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზში“ სკოლა-ინტერნატის დირექტორი იოსებ ღიასაძე წერდა: „უკვე დიდი ხანია მათემატიკას ვასწავლი, ფრონტზე კი, სადაც 4 წელიწადს ვმომბდი ჩვენი ბავშვებისათვის, ვოცნებობდი, გამარჯვებული დაებრუნებოდი ჩემს მშობლიურ მხარეს და მათემატიკური სკოლა შემექმნა. ასეთი სკოლა უკვე არის და მთელი ომის შემდგომი წლების მანძილზე მე მისი დირექტორი ვარ. საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახი იშვიათობა როდია, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ყველაზე დიდი ოჯახი მე მყავს — ოთხასი კაცი!

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ მთის სოფლებიდან, ქალაქებიდან, დაბებიდან, რაიონებიდან ჩვენთან სასწავლად მოსული გოგონები და ბიჭუნები სკოლა-ინტერნატიდან მტკიცე, ღრმა მათემატიკური ცოდნით შეიარაღებული მიდიან. არის ასეთი გამოთქმა: ცუდია ის მასწავლებელი, ვისაც კარგი მოსწავლე არა ჰყავსო. ჩვენთან დიდი უმრავლესობა საუკეთესო მოსწავლეა. მართო მათემატიკა? არა! ეს ძალზე ცოტას ნიშნავს: მთავარია, აღიზარდოს ღირსეული მოქალაქე. ამიტომ ყველა აღმზრდელსა და მასწავლებელს ხმამაღლა ვეუბნები: ენდეთ გოგონებსა და ბიჭებს, გაუხსენით მათ სამყარო, რომელიც თქვენ უკეთ გაგეგმათ, ყველა მისი სიბრტულით.

ვწერ ამ სტრიქონებს და ჩემს წინ იხატებიან სანებები ჩემი ნორჩი მეგობრებისა და ნაწილაკი იმ ბედნიერებისა, რასაც მათ ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი სთავაზობს. ჩემი ზედრიც ეს არის!.

ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის ბაზაზე 1983 წელს ჩაატარეს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მუშაეთა საკავშირო თათბირო-სემინარი.

უკვე მეოთხედი საუკუნე სრულდება, რაც იოსებ ღიასაძის ინიციატივით დამკვიდრდა და მუშაობს № 2 სკოლა-ინტერნატი. იცვლება დრო და, რასაკვირველია, „თბილი სახლიც“, როგორც მას ყოველკვირეულმა „ნედელიამ“ უწოდა, იზრდება და მშვენიერდება. ამ „თბილი სახლიდან“ აფრენილი ახალგაზრდები ბუდეს იკეთებენ დიდ სამეცნიერო კერებში, სხვადასხვა საწარმოებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში და იოსების სიხარულიც ეს არის. მის შრომასა და საქმიანობაზე ბევრი დაწერილა. მისი პირადი მაგალითი ბევრ ახალგაზრდას გაუნათებს გზას მომავლისაკენ.

როგორც ამხანაგი ე. შვეარდნაძე აღნიშნავს, „დისციპლინა იწყება კაბინეტიდან.

ხელმძღვანელებიდან, ამიტომ ყოველი რანგის ხელმძღვანელს ყველაზე მეტი უნდა მოეკითხოთ ყველგან და ყველადღერში ზუსტი, უხადო წესრიგისათვის. ეს რომ თავად ხელმძღვანელობამ უნდა აამაღლოს მომთხოვნელობა თითოეულისადმი თავის შრომით კოლექტივში, ორგანიზაციაში, ჩაუწეროს თითოეულ კომუნისტს მაღალი პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი, მუშაობის მინდობილი უბნისათვის“.

კომუნისტი ი. დიასამიძე სწორედ ასეთი ტიპის ხელმძღვანელი იყო: მომთხოვნი, პრინციპული, უხადო წესრიგისათვის მებრძოლი.

რაც არ იწვეის, არ ანათემსო, ნათქვამია, პატივცემული იოსები ნამდვილად იწვეოდა და ახლაც იწვეის მოზარდთა აღზრდის კეთილშობილური საქმისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად პენსიონერია.

იოსებ დიასამიძის ცხოვრების გზა თითქმის ანალოგიურია მისი კოლეგის — ვლადიმერ გაბელაიას ცხოვრების გზისა: სწავლა, შრომითი საქმიანობა, გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლა...

პედაგოგიური მოღვაწეობა, გორის რაიონის ერთ-ერთი სოფლის დაწყებითი სკოლის მასწავლებლობიდან დაიწყო. 1940 წელს საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. 1941 წლის ოქტომბრამდე მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში... დაღა სამამულო ომის მძიმე დღეები. გერმანელი ფაშისტები უტევენდნენ მოსკოვს, სადაც ჩვენი ქვეყნის ბედი წყდებოდა. შორეული აღმოსავლეთიდან რამდენიმე დღეშია სასწრაფოდ გადმოიყვანეს მოსკოვის დასაცავად. საარტილერიო პოლკმა, სადაც ვლადიმერ გაბელაია იბრძოდა, მიიღო ბრძანება, დაეცვა მოსკოვ-მინსკის გზატკეცილი და მტრისათვის გადაეღობა გზა დედაქალაქისაკენ. უფროსი სერჟანტი ვ. გაბელაია ქვემეხის მეთაური იყო. ოქტომბრის დამლევს დღეიზამ შეძლო მტრის შეჩერება და შემდეგ უკუგდებდა. ბრძოლაში მონაწილეებული წარმატებისათვის დღეიზიას მიანიჭეს გვარდიელის წოდება.

1941 წელს ნადრევად დაიწყო ზამთარი. იმ დღესაც უჩვეულოდ ბარდნიდა. სანგარში ვლადიმერ გაბელაიას ქალღმერთი ჩანათაზე დედო და წერდა, თანაც ნაწერს ფანტელგებისაგან იფარავდა: „გოზოვო, მიმილოთ ბოლშევიკური პარტიის რიგებში“... 1941 წლის 20 ნოემბერი, ღირსსასოცარი დღეა ვლადიმერ გაბელაიასთვის. ამ დღეს მიიღეს იგი პარტიის რიგებში.

1942 წლის ოქტომბერში ვ. გაბელაია გაგზავნეს ქ. პენზაში ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ლეიტენანტის წოდებით დაუბრუნდა ბრძოლის ველს. მას ბატარეის მეთაურობა დააკისრეს. ტანკსაწინააღმდეგო ბატარეას, რომელსაც იგი მეთაურობდა, არაერთი დარტყმა მიუყენებია მტრის ტექნიკისა და ცოცხალი ძალისათვის.

უკანასკნელი ბრძოლები გერმანიაში გადაიხადა, ჩვენი ჯარებით გარშემორტყმულ ქალაქ ზრესლავთან. ვ. გაბელაია ამჯერად სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ზრესლავთან ბრძოლაში დაიჭრა და 6 თვის განმავლობაში მკურნალობდა ქალაქ ლვოვში. ჰოსპიტალში იზეიმა გამარჯვების დღე.

1947 წლის სექტემბრამდე იყო ვლადიმერი სამხედრო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ ბრუნდება ბათუმში და ისევ თავის მშვიდობიან პროფესიას იწყებს. 1947 წელს ინიშნება ხულოს რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად, 1953 წელს გადაიყვანეს ამავე რაიონის დიოკნისის საშუალო სკოლის დირექტორად. მან დიდი მუშაობა გასწია სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცების, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისა და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებისათვის. შემდეგ დააწინაურეს და ხულოს რაიონის განათლების განყოფილების გამგედ დანიშნეს, სადაც 1960 წლამდე იმუშავა. იყო რაიონული და სასოფ-



ლო საბჭოს დეპუტატი, პარტიის ხელოს რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის წევრი.
 1960 წლიდან 1984 წლის ოქტომბრამდე ვლადიმერ ვაბელია მუშაობდა ქ. ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილედ სასწავლო მუშაობის დარგში. ამჟამად ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელია.

ვ. ვაბელიას ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. მისი შვედრი საბრძოლო ორდენებთან ერთად დამსვენა ლენინის ორდენმა.
 „ნე ჩემმა შრომამ ამაძლა ხალხის თვალში, მეამაყება, რომ ჩემი ცხოვრების გზა შინაარსიანად, ხალხის სამსახურში გამიტარებია“, — სიამაყით ამბობს ვეტერანი.

ზურაბ კოსხიძე,

ბათუმის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე.

ვ ა ლ მ ო ხ დ ი ლ ი

მაღალმთიანი აჭარიდან ბათუმში რომ მოხვერილიყო კაცი, სოფელი აჭარისწყალი უნდა გამოეცლო. აქ ჩერდებოდნენ ქალაქიდან მიმავალი მგზავრებიც, ამიტომ აჭარისწყლები იგებდნენ ყველაზე უწინ ახალ ამბებს.

1917 წელი იდგა.

ყური მოჰკრა ხუსეინ ზაქარიაძემ, ქალაქიდან მომავალმა ხელოელმა გლეხმა შორიდან რომ შესძახა ნაცნობებს:

— გაიგეთ, რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა!

არც კი იცოდა თორმეტი წლის ბიჭმა, რა იყო რევოლუცია, მაგრამ ისეთი აღტაცებით ყვებოდა ამ ამბავს ის გლეხი, რომ მიხვდა: რაღაც სიკეთე უნდა მოეტანა რევოლუციას, ამიტომაც გაიქცა და დედას ახარა.

სალამოს მამაც დაბრუნდა შინ.

ხასანმა ნავთის მძიმე ბილონი ზურგიდან მოიხსნა.

— ახლაც თვალწინ მდგას სახეგაბრწყინებული მამაჩემი. — იგონებს ხუსეინ ზაქარიაძე, — თითქოს არც კი გამოეცლოს მძიმე ტვირთით იმოდენა გზა, მუხლზე დაისვა, მომეფერა და მითხრა: მეფე ჩამოაგდეს, შვილო, გლეხკაცის დრო დგება, ბედნიერ ცხოვრებას მოგვითანს რევოლუციამ.

მაგრამ კიდევ ოთხი წელიწადი ველოდით ამ ბედნიერებას აჭარაში.

1921 წელი, 17 მარტი...

ამჯერად მთიდან მოვიდა სასიხარულო ამბავი: ხელოში გადმოვიდაო წითელი ჯარიო, მაგრამ ზოგიერთებს როდი გახარებია მისი შემოსვლა. სწორედ ამიტომ 1923-1924 წლებში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად იარაღით ხელში გამოვიდნენ ხუსეინი და მისი მეგობრები.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე დიდი დარაზმულობა იყო სოფელ აჭარისწყალზე. ახალგაზრდები მესაზღვრეებს შეელოდნენ საზღვრის დაცვაში, მოსახლეობაში ახალ ცხოვრებას უწევდნენ პროპაგანდას, მონაწილეობდნენ მიწის დამამუშავებელი ამხანაგობის ჩამოყალიბება-დაფუძნებაში. დიდ აქტიურობას იჩენდა ხუსეინ ზაქარიაძეც, რომელიც აჭარისწყლის რვაწლიან სკოლაში მასწავლებლობდა იმ წლებში

მათი თაობის ახალგაზრდებს საკმაოდ მოწიფულ ასაკში მოუხდათ სწავლა, მაგ-



ოამ ეს არავის უკვირდა. ის კი არა, თავად მოსწავლეები ხანშიშესულებსაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აბა, ვინ შეაზღუდა სკოლაში ფუხარი გლეხის შვილს.

რევოლუციის გამარჯვებამ სწავლა-განათლების გზა გაუხსნა ღარიბებს. ხუსეინი-სხაირები ბევრნი მიუხდნენ მერხებს, ამიტომაც არ ერცხვინებოდა ქაბუქს, მრავალ-გზის დაკრებული შარვალ-ხალათით რომ დადიოდა სკოლაში.

1923 წელს ხუსეინი ამ სკოლაში მიიღეს კომკავშირის რიგებში. ეს უდიდესი სიხარული იყო ახალგაზრდისათვის.

— 60 წელზე მეტი გავიდა, მას შემდეგ, მაგრამ ახლაც ვგრძნობ და ვხედავ კომკავშირელთა მაშინდელი თაობის ერთუზიანებას, შემართებას, სამშობლოსადმი, ახალი ცხოვრებისადმი ერთგულებით ანთებულ ცეცხლს... — ამბობს ვეტერანი. შემდეგ კი თავის მასწავლებლებს სწვდება მისი ფიქრები: — ასეთები იყვნენ ჩემი მასწავლებლები ლუბა კალანდაძე, თამარ სიხარულიძე, ქეთევან სულავა, ნინო კვერნაძე და სხვები, ასევე გვზრდიდნენ ჩვენც. მოგვიანებით, ჩვენი ხელისუფლების მტრები რომ მოვიგერიეთ, სწორედ ჩვენ შეეცვალა ზოგიერთი მათგანი.

სოფლის ახალბედა მასწავლებლებს, ვინ მოთვლის, რამდენი სიძნელის გადალახვა უხდებოდათ. ისინი იყვნენ ახალი ცხოვრების აქტიური პროპაგანდისტები, იბრძოდნენ ჩადრისა და სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ, სკოლაში გოგონებიც რომ მიეზიდათ, ათასნაირი საინტერესო საშუალებას იგონებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აჭარისწყალზე არცერთი საზოგადოებრივი დაწესებულების შენობა არ იდგა და მასწავლებელს გაკვეთილები კერძო ბინაში უნდა ჩატარებინა. ამისათვის კი ბინის გამოძახება, სათბობის მომარაგება, წესრიგის დაცვა იყო საჭირო. ამ საკითხების მოგვარებას ხუსეინს ანდობდნენ და ისიც დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა. უსამჩნევებო მესაზღვრე სახელმწიფო საზღვრებს დაცვაშიც აქტიურობდა.

მოწინავე კომკავშირელი ხუსეინ ზაქარიაძე, 1938 წელს კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს, შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და უფრო მეტი პასუხისმგებლობით ჩაება საზოგადო საქმეში.

სადაც კი უმუშავია ხუსეინ ზაქარიაძეს, ყველგან გამოირჩეოდა საქმის ერთგულებით, იყო ახალგაზრდების დამრიგებელი, მათთვის მაგალითის მიმცემი.

შვილებიც სამაგალითონი დაზარდა: რევაზი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაყია, რამდენიმე ნაშრომის ავტორია. უმცროსი, თამაზი, ინჟინერია, შვილიშვილმა ირაკლმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მეცხოველეობის საკავშირო ინსტიტუტში.

არც შვილებისაგან და არც საზოგადოებისაგან არ მოჰკლებია დაფასება ხუსეინ ზაქარიაძეს, მაგრამ ყველაზე მეტ სიხარულს, აჭარისწყალზე რომ შეივლის და მხრებში გაშლილ სოფელს ნახავს, ის ანიჭებს. ამ ბედნიერ ცხოვრებაში, საბჭოთა ხალხის ძლიერებაში, მისი წვლილიცაა, მისი თაობის კომკავშირელების ნაჟილცა ბედნიერი დღეებიდლობა და ეს ახარებს ოთხმოცს მიტანებულ კაცს.

ოთარ ფუტყარაძე



ლიანა უგულავა

ეპოქის პრეელი პანორამა

„მძიმე ჯვარის“ ზოგიერთი მხატვრული თავისებურება

ისტორიული რომანი მხატვრული შემოქმედების ურთულესი ჟანრია, მისი ამო-
ყანაა მხატვრულ სახეებში გვიჩვენოს წარსული ცხოვრების რეალური ისტორიული
მოვლენები და ადამიანები.

კ. გამსახურდია მართებულად მიუთითებდა, მწერალი სიზუსტეს უნდა იჩენდეს
ისტორიული ფაქტებისადმი: „რომანისტი მეისტორიე არაა, მაგრამ ისტორიულ მა-
სალაზე მომუშავე მწერალს უცილობდნენ ევალება ისტორიულ მოვლენათა ასახვისას მი-
სი ნაშრომი არ ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ ფაქტოლოგიას“.

გარდა ფაქტების, ისტორიული ეპოქის ღრმა ცოდნისა, ისტორიული რომანი
მწერლისაგან მოითხოვს დიდ ნიჭსა და ოსტატობას. აუცილებელი არაა ისტორიული
რომანის ავტორმა მეცნიერული სიზუსტით გადმოიტანოს ნაწარმოებში ყველა ისტო-
რიული ამბავი, მაგრამ იგი ვალდებულია სწორად, მართებულად, ობიექტურად ასა-
ხოს სინამდვილე, რომლის ჩვენებაც განუზრახავს, ეს კი ნიშნავს, ისტორიული და
მხატვრული ქმშარიტების ორიგინალურ მთლიანობას.

ტევაზ ჯაფარიძის „მძიმე ჯვარი“, რომელმაც რუსთაველის პრემია დაიმსახურა,
ისტორიზმის პრინციპზე დაწერილი, მაგრამ XVIII საუკუნის მე-2 ნახევრის საქარ-
თელოს ამბებს მწერალი გადმოგვცემს არა როგორც მკვლევარი, არამედ როგორც
შემოქმედი და მხოლოდ შემოქმედისათვის, მწერლისათვის დამახასიათებელი სუ-
რათოვნებით გვიჩვენებს შერჩეულ ეპოქას.

რომანი, როგორც ტევადი ჟანრი, დიდ გასაქანს აძლევდა მწერალს სრულყოფი-
ლად აესაზნა ეპოქის ვრცელი პანორამა, სხვადასხვა წარმოშობისა და სულისკვეთების
ადამიანთა ხასიათები და, რაც მთავარია, სრულყოფილად აესაზნა საქართველოს დიდ-
ებული მეფის, სოლომონ I-ის სახე, რომელიც რ. ჯაფარიძემ დაგვიხატა არა
როგორც მხოლოდ მეფე, არამედ, აგრეთვე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ყველა
ნაკლითა და ღირსებით, მეფის სახის ღირიკული მხარე არანაკლები სიძლიერით არის
გამოვლენილი.

რომანის მოთხოვნები მწერალს ავალებს ეპოქის გარეგანი აქსესუარები გამოიყე-
ნოს ხასიათების გასახსნელად, ისტორიული ფონი უნდა ემსახურებოდეს ისტორიულ-
სოციალური ტიპების გამოხატვას.

ხასიათების ჩვენება კი რომანისათვის მთავარია. „მძიმე ჯვარში“ უხედაა წარ-
მოდგენილი კოლორიტული საყოფაცხოვრებო დეტალები, დახატულია ისტორიული
გარემო, ისტორიული პირობები.

ცნობილ კრიტიკოსს ბ. ჟღენტს საბჭოთა ისტორიული რომანის სპეციფიკურ ნიშნებად მიაჩნია: „პერსონაჟთა ტიპურობა და განსოგადოებითი მნიშვნელობა, მოვლების სიუჟეტის ცენტრში ისტორიულ და არა გამოგონილ პიროვნებათა, ნამდვილად მომხდარ და არა შეთხზულ მოვლენათა დაყენება, თხრობის ბუნებრივი განვითარება, გამოსახვის საშუალებათა სიცოცხლე, ენის სისადავე და ხალხურობა“.

როგორაა ამ მხრივ „მიმე ჯვარი“? — რომანს ახასიათებს მხატვრული სახის დინამურობა. მისი გმირების უმეტესობა ისტორიულია, რომანში აღწერილი ამბებია ნაწილი ისტორიულია, ნაწილი გამოგონილი. თხრობა სადა, დინჯი. მწერლის ენა კონკრეტული, ინდივიდუალურია.

ტეტრალოგიაში მოქმედება ფართო გააზრებითაა მოცემული, ღრმად დრამატული კომპოზიცია, სიუჟეტის სიმადრე, რომანში დასმული პრობლემების მრავალფახავოვნება განაპირობებს მთელ კომპოზიციურ შენობას: რომანი იწყება წინა ამბისა და ექსპოზიციის გარეშე, პირდაპირ: ალექსანდრე მეხუთის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტზე კანონიერად (ოსმალეთის დასტურითაც) ჯდება ალექსანდრეს ერთ-ერთი ვაჟი სოლომონი, მაგრამ ზოგიერთს (პირველ რიგში მეფის ღვიძლ დედას, ბაბუსას ლევან აბაშიძესა და როსტომ რაჭის ერისთავს) ხელს არ აძლევს ახალგაზრდა მეფის თამაში და თანაც ძალიან რთული სამოქმედო გეგმა (ტყვეთა გაყიდვის აკრძალვა, გამაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლა და, საერთოდ, ოსმალების განდევნა იმერეთიდან) და ტახტზე ასვლისთანავე აუჩანყდება მას, განდევნიან სამშობლოდან.

ასეთი კომპოზიციური ხერხი ერთბაშად ამძაფრებს ყურადღებას, ძალდაუტანებლად გადაყვარათ მომდევნო ეპიზოდებზე.

რომანში თანდათან ვითარდება მოქმედება: ტახტის დასაბრუნებლად და სამშობლოს განთავისუფლების მიზნით სოლომონი ჯერ ოსმალეთს მიმართავს თხოვნით, შემდეგ ამავე მიზნით უმოყვრდება სამეგრელოს მთავარს ოტია დადიანს.


დრამატულ ფერებში გვიხატავს მწერალი სოლომონის პირველი მეუღლის, თინათის სახეს, მათ შეხვედრებს, შემდეგ დაშორებას...

ეს ადგილები მძაფრი დრამატული საღებავებითაა დახატული, მწერალი რეალურად გვიჩვენებს სიტუაციას, ოსტატურად გადმოაქვს მოქმედ პირთა სულიერი განცდები, გრძნობები.

მოქმედება თანდათან რთულდება, მძაფრდება. რომანში შემოდის ახალ-ახალი განშტოებანიც. მიეყვით ამბავთა მსვლელობას — ოტია დადიანის დახმარებით, სოლომონ I ტახტს იბრუნებს, თანდათან ძლიერდება, რუსი ჯარისკაცების დახმარებით იბრუნებს ქუთაისის ციხეს, აღადგენს საეკლესიო კათედრას, აკრძალავს ტყვეთა გაყიდვას.

ტეტრალოგიაში უძლიერესია თამარ დედოფლისა და სოლომონ I შეხვედრის ეპიზოდი. ადამიანის სულის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით გადმოგვცემს მწერალი მათ განცდებს, ამის ნათელსაყოფად მოგვიწევს საკმაოდ გრძელი აბზაცის ამოწერა რომანიდან:

„...თავისდა უნებლიეთ, სოლომონს ერთადერთი სიტყვა „დედა“ აღმოჰდა ჯვრიგობრის ძაძებში გახვეული სნეული ქალის წინაშე, რომელიც მისი მშობელი იყო, მუხლებზე დაეცა, სახე კალთაში ჩამალა და ყრუდ გულამოსკენით, როგორც ოდესღაც ბაღნობაში, აქვითინდა. თამარი დაიბნა, ის სულ სხვაგვარ შეხვედრას მოელოდა, თავადაც გული აუჩვილდა... მუხლებზე დაეშვა და დაუძინებელ მტრად მოვიდებულები ღვიძლი პირმშოს თავი გულზე მიიხუტა. ისინი დიდხანს იყვნენ ასე, გარინდებულები, ამ წუთს არც ერთს აღარ ახსოვდა, თუ ღრომ, გარემოებამ, ადამიანურმა პატივმოყვარეობამ და შეუვალი ძალაუფლების დაუოკებელმა წყურვილმა მათ შორის გა-



დაულახავი უფსკრული გათხარა. დედამწილობის წმინდა გრძნობას, რომელიც ნამრ-
რებზე გადმოსულ მდინარესავით მოვარდნილიყო, ყოველივე დაეჩრდილა
ამოებად ექცია. თამარი ელერსებოდა შვილს, კოცნიდა, გულში იკრავდა და მღუ-
ლარე ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა“.

რ. ჯაფარიძე ოსტატურად ხსნის პერსონაჟთა ხასიათს, ყველაზე რთულ სიტუა-
ციაშიც კი. მას თანდათან მიეყვარათ კულმინაციისაკენ. კულმინაციად კი უნდა ჩაი-
თვალოს ზრესილის ომი, სრულიად საქართველოს გამაერთიანებელი ომი.

რომანში კარგადაა წარმოდგენილი ბატალური სცენები. დამაჯერებლად, მხატ-
ვრულ-ფსიქოლოგიური სიმართლითაა ნაჩვენები როსტომ ერისთავის ოჯახის დასჯა,
თეიმურაზ მამუკას ძის გამეფება, სოლომონის კვლავ გაძლიერება, თეიმურაზისა და
მისი ოჯახის დაღუპვა, მოლაპარაკება სოლომონსა და ქართლ-კახეთის მეფეებს
შორის, რამდენიმე ელჩობა რუსეთში, ტოტლებენის ავანტურა საქართველოში და
ბევრი სხვა ეპიზოდი.

ნატრია საჭურჭისის, ასკია აბესაძის, ოქრუა ბრეგვაძის, ძმები ნაფიჩვაძეების,
ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება ცალკეული, დამოუკიდებელი ეპიზოდებია,
მთავარი სიუჟეტური ხაზის (სოლომონ I ცხოვრება) განშტოებებია, რომ-
ლებიც მძაფრი, დრამატული შინაარსით თავისებურ ელფერს ჰმატებენ რომანს. ასეთი
კომპოზიციური ხერხი კი არ ჰკეტავს სიუჟეტს, არამედ ავითარებს მას, გზადაგზა
იმატებს ახალ-ახალ პერსონაჟებსა და ეპიზოდებს. ამიტომაც ვითარდება „მძიმე
ჯვარი“ მრავალწახნაგოვანი სიუჟეტური ხაზებით.

ხშირად რომანის ახალი თავი სიუჟეტურად აგრძელებს წინა თავში მოცემულ
ამბავს, მაგრამ ხშირად ამ ახალ თავში სულ სხვა ამბავთან, სხვა სიუჟეტთან გვაქვს
საქმე, იმ ამბის გაგრძელება ან ფინალი კი რამდენიმე თავის შემდეგაა ხოლმე. მაგა-
ლითად, თინათის ამბავს, პირველი წიგნის შემდეგ, მხოლოდ მეოთხე წიგნის დასა-
სრულს ვგებულობთ.

ერთ-ერთი კომპოზიციური ხერხია აგრეთვე შოქმედ პირთა ანტითეზაში წარ-
მოდგენა, მწერალი გვიჩვენებს მოქმედ პირთა ხასიათის ფსიქოლოგიურ თავისებუ-
რებებს, ორი დაპირისპირებული მოქმედი პირის განსხვავებულ თვისებებს: თუ დატ-
ყვევებული თამარ დედოფალი სრული შეგნებულობით არწმუნებს სოლომონს, რომ
იგი: „საქრისტიანოს ერთი მუჟა მშიერ-მწყურვალი და შეუიარაღებელი ჯარით დიდი
ოსმალეთის წინააღმდეგ ვერაფერს გახდება, სულ სხვა პოლიტიკური მრწამსი ამო-
ძრავებს მარიამს, ოტია დადიანის ასულს. გვაოცებს მისი ვაჟკაციური შემართება,
ელჩობა ფაშასთან, ოსმალებით გარემოცულ თხმელის ციხეში შესვლა ვაჟიშვილთან
ერთად, ქსენონში საქმიანობა, ერთი სიტყვით, მისი უსაზღვრო, სიყვარული მეუღლი-
სა და სამშობლოსადმი.

როგორც აღვნიშნეთ, რომანი კომპოზიციურად რთულია, ახასიათებს მრავალი
საინტერესო შენაკადი თუ ეპიზოდი, მაგრამ ნაწარმოები შეკრულია ერთი მთლიანი
ფაბულით — XVIII საუკუნის მე-2 ნახევრის საქართველოს საერთაშორისო ვითარე-
ვის ფონზე და ერთი დინამიკური სიუჟეტით — იმერეთის მეფის სოლომონ I-ის
ცხოვრების ჩვენებით. სიუჟეტი ფაბულის რეალისტური გამოხატულებაა.

რომანის ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზია ასკია აბესაძის ხაზი. ჩვენ განსაკუთრებუ-
ლად აღვნიშნეთ ეს სიუჟეტური ხაზი იმიტომ, რომ ასკია განზოგადებული სახეა ქა-
რთველი გლეხკაცობისა, რომელმაც გადაარჩინა საქართველო.

ხალხი — ისტორიის მთავარი მამოძრავებელი ძალა — რომანში ნაჩვენებია, რო-
გორც ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი.

სიუჟეტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, იგი უნდა გამოირჩეოდეს ბუნებ-



რეგი განვითარებით, დასრულებული თხრობით, ტიპებისა და სახეების გამოკვეთილობით. „მძიმე ჯვარს“ ორიგინალურად შეკრული და მძაფრი სიუჟეტი ახასიათებს.

ისტორიულ რომანზე მუშაობისას, ისტორიული ფაქტების შესწავლასთან ერთად საჭიროა ცხოვრების, ადამიანთა ხასიათებისა და ფსიქიკის ცოდნაც.

რ. ჯაფარიძეს კარგად ეხერხება კოლორიტული ტიპების გამოკვეთა, მიმზიდველ თხრობა, საინტერესო სიუჟეტის გამოძებნა და განვითარება, გამძაფრება, მოქმედ პირობათა განცდების გადმოცემა.

ზემოთქმულის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ თინათის ისტორია.

სოლომონს თავისებურად უყვარდა დადიანის ასული, მაგრამ მაინც პირველი სიყვარულის, თინათის, ერთგული იყო. ამიტომაც ააგებინა სხარტალში სასახლე. მარიამმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ მოთმინებით იტანდა თავის ზევდრს. გავიხსენოთ მომავლადი მარიამის საუბარი სოლომონთან. „იყო კიდევაც... სიყვარულის ღირსი! — განაგრძო დედოფალმა და ორივე თვალის უბზე მსხვილი კურცხალი დაეკიდა, — ზედნიერი!... ისე კი გაქრა, წატიც აღარავის დარჩენია მისი... ჩემს შვილებს ნუ მოკითხავ, მაღალი ღმერთო, მე და მამაჩემ ოტიას სულს მოკითხე!“

სოლომონი დაიბნა, კიდევ უკან დაიწია, მომავლადი მეუღლის ჩალურჯებულ ტუჩებს, აქამდე გულში ღრმად ჩამარხულ რაღაც საშინელ საიდუმლოს რომ უმხეოდნენ, თვალებით დააკვდა: — რას ამბობ, მარიამ? კარგად გააგებინე!...“ ასე გაგრძელდება ეს დიალოგი მანამ, სანამ სოლომონი სიმართლეს არ გაიგებს. ეს ადგილი კარგად მიგვანიშნებს მწერლის ოსტატობაზე, მიმზიდველ თხრობასა და მოქმედი პირობის ფსიქოლოგიურ განცდებზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „მძიმე ჯვრის“ ენა, შინა სტილისტური თავისებურებანი. ჩვენ ვერ დავეთანხმებით კრიტიკოს როსტომ ბეჟანიშვილს, რომ თითქმის რომანი მეტად თანამედროვე ენითაა დაწერილი, განსხვავება არაა პერსონაჟთა მეტყველებაში სოციალური წარმოშობის მიხედვით.


ჩვენი აზრით, რომანში აშკარაა დიფერენციაცია მეფეთა და მდაბოთა ლექსიკაში. ხოლო სამღვდლელების მეტყველებაში არაქაულობაც შეინიშნება. მაგალითად, აი, როგორ მეტყველებს ბესარიონ კათალიკოსი: „...მაღალი და ყოვლის შემდეგ ღმერთი მოწყალეა, ...განვიწმინდოთ ცოდვებისაგან მის ქალთას გულით მინდობილნი, აღვისთ სათნოებითა და ღვთისადმი მორჩილებით, ვინაიდან ეს და მხოლოდ ეს გვიხსნის ჩვენ ურჯულოთა კირთებისაგან, ვინაიდან მარტოოდენ ეს აგვამალვებს და გავიხსნის სამუდამო სასუფეველის კარს...“

სოლომონისაგან გასხვავებით, გლეხკაცობის ენაში საკმაოდაა დიალექტი. მაგალითად, აი, როგორ საუბრობს რაჭველი მხედარი: „სოშორე ყანას ქვე რას უშლის, თაქი ნუ მოგიცვდება! თუ ძარღვებში ღვინუა არ ჩუხჩუხებს, ვერც ღმერთს ვარგებთ-ყე რამეს და ვერც მეფეს“. ან კიდევ: „დეტიე მადანა, თუ კაცი ხარ, ვინ გკითხავს შენ დადიანის და აბაშიძის საქმეებში გარეყას! თაქი შოგჟულდა? ისევე უქნიათ, ერთმანეთი დოუჟამიათ. მაგაზე დამიდგა ნადარდეული“.

საერთოდ, შეინიშნება, რომ „მძიმე ჯვარში“, მწერალი არ ხმარობს (კათალიკოსის მეტყველების გარდა) არაქაულ სიტყვებს, მაგრამ არც ნეოლოგიზმები გვპირის ყურს.

რ. ჯაფარიძეს აქვს ასახვის თავისებური მანერა. იგი თითქმის არ ჩერდება პორტრეტზე, ამჯობინებს პორტრეტი გადმოგვცეს მოქმედებაში, ლაკონურად. მწერლის მიერ დინამიკაში დახატული სურათი მეტად უშუალოა, მკაფიოა, ნათლად მიგვიჩვენებს გმირის თვისებაზე, ხასიათზე.

სოლომონის პორტრეტს მთელი ოთხი წიგნის მანძილზე ხატავს და ასრულებს



მწერალი, ერთ ადგილას ვკითხულობთ: „მეფეს, ჯერაც ასე ანალგაზრდა კაცს, უწლოვანეს, ჰქალარა უბრწყინავდა საფეთქლებში, აბლაბუდასავით დაბლანდული ღარა მრგვალად დაყენებულ წვერშიაც გამორეოდა და მკმუნწარე ფიქრით აღბეჭდილ სახეს მეტ შეუვალობასა და სიმკაცრეს აძლევდა“. აქ ეს ნაადრევი ჰქალარა აშკარად მიგვიითხმის ახალგაზრდა მეფის უამრავ საფიქრალზე.

ხანდახან რ. ჯაფარიძე რამდენიმე სიტყვითაც დასრულებულ სურათს გვთავაზობს. მაგალითად, თამარ დედოფლის მსახურს ასე გვიხატავს: „ეკერიის ქვასავით გამოშრალი და უტყვი ღეღაბერი, ხევაში, ამაშიძის ასულზე ნაკლებ სამიში და მოსარიდებელი როდი იყო... ორი ღრმა ორმოდან, იმ ადგილებიდან, სადაც ოდესღაც თვალები უნდა ყოფილიყო, ტყუილად როდი იყურებოდა უკუნეთი ღამის წყვდიადი“.

რომანში ნაკლები ადგილი უჭირავს პეიზაჟს, მაგრამ სადაც კი გვხვდება, ყოველთვის მოქმედი გმირების ხასიათების გახსნაში გვეხმარება, ბუნების სურათები შესანიშნავად გადმოგვცემს ცოცხალ სინამდვილეს, უფრო მეტიც, მწერალი არ კმაყოფილდება ბუნების მხოლოდ გარეგანი აღწერით, იგი ღრმად გვახედებს ბუნების შინაგან არსებაში, გვამცნობს მის თითქმის შეუმჩნეველ ნიუანსებსაც კი. რომანში ბუნება, ბუნების მოვლენები უშუალოდ განიცდება. იგი თვით ცხოვრებაა, ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სამყაროსთან, ზემოქმედებს ახდენს ადამიანებზე, ეხმარება არსებობის შენარჩუნებაში. რ. ჯაფარიძე ყველაფერს კი არ აღწერს ბუნებაში, არამედ წარმოგვიდგენს სწორედ ან რამდენიმე ისეთ ნიშანს, შტრიხს, რაც სათლად წარმოგვიდგენს ბუნების რეალურ სახეს, მის დანიშნულებას: აი მაგალითად: „ღუღოდა გამოზამთრებული, ნოყიერი მიწა, ოზშივარი ადგა, გასაღვივებელ თესლს ელოდება. სოფელ-ქვეყანას თავისი სატიკვარი, თავისი მარადიული გულისწუხილი, თავისი მუდმივი-ვალის მოხდის ჯერი მოსვლოდა და არ დაგიდევდა არაფერ წვრილმანს და წარმავლს. ვინ კვდებოდა და ვინ იბადებოდა, ვინაიდან ესეც ისეთი ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც კვირტის გასკდომა ძარღვების მომთენთავ მზვარეში ან ჯეჯილის აღმოცენება გლეხკაცის წმინდა ოფლით გაოხიერებული ღეღამიწიდან“. აქ ზუსტად არის გადმოცემული სულიერი პარმონია ბუნებასა და ადამიანს შორის.

მწერალი მეტად ემოციურად, ცოცხლად წარმართავს დიალოგს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიალოგები, რომლებიც თანდათან დაძაბულ სიტუაციაში გადადის. მწერალი ადამიანის შინაგანი ფსიქიკის ღრმა ცოდნით გადმოგვცემს ამ სახის დიალოგს.

დიალოგებს „მძიმე ჯვარში“ აქვს კონკრეტული ფუნქცია და მხატვრული დატვირთვა. ისინი კარგად გადმოგვცემენ ადამიანთა ცნებათა ღელვას, განცდებს. დიალოგებში კარგად იგრძნობა სიუჟეტის დაძაბული განვითარება. რომანში ბევრი კარგი დიალოგია, მაგრამ მაინც შეიძლება მათგან გამოვყოთ დიალოგი მარიამსა და კაცის შორის, სოლომონსა და თინათის შორის, სოლომონსა და თამარ დედოფალს შორის, მარიამ დედოფალსა და კაპულან ფაშა იბრაჰიმს შორის.

რომანის მრავალი გმირიდან ყველას თავისი სახე, თავისი ხასიათი აქვს. გარდა გარეგნული ნიშნებისა, პერსონაჟები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენის, მეტყველების სპეციფიკურობითაც.

მოქმედ პირს მხატვრულ ნაწარმოებში უნდა ექნეს თავისი დამოუკიდებელი, ინდივიდუალური სახე, განსხვავებული ენა, მაგრამ ეს განსხვავება „საერთო ენის“ დარღვევით კი არ უნდა გამოიხატოს, არამედ რაიმე სპეციფიკური ნიშნით.

დიალოგები ხელს უწყობს მეტყველების და, საერთოდ, სხვადასხვა მოქმედ პირთა კოლორიტის შექმნას, მაგრამ იგი არასოდეს არ გვხვდება თვით მწერ-

ლის ენაში, მის რემარკებში.

იმერული დიპლექტი ზოგჯერ თვით მეფის მეტყველებაშიც გვხვდება, რაც, ალბათ გავიმოვრებთ, ხელს უწყობს გვირის ხასიათის, კოლორიტის გამოკვეთას. სოლომონის პიროვნების მრავალწახანგოვნება მის მეტყველებაშიც ჩანს. ესაა დემოკრატიულობის ატმოსფეროს შექმნის ცდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ებრაელი ეპკრის ისხაკა თეთრუაშვილის ენა. მის მეტყველებაში შესანიშნავადაა წარმოდგენილი ეპკრის მორალური სულისკვეთება. მწერალი საოცრად ზუსტად გადმოგვცემს ქართველი ებრაელისათვის დამახასიათებელ საუბარს: „— უიმე, რას ბრძანებ, დაგენაცვლე, როდის იყო, შე დალოცვილო, ქრისტიანი მეფე ისრაელის შვილებს სალოცავ უშენებდა. ჩვენ, დედამიწის ზურგზე გაფანტული საწყალი ხალხი, იმაზედაც მადლიერი ვართ, აშენებულ რომ არ გვინგრევ და ღირის ხორც ძალით არ გვაჭმევ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩვენი ლოცვაც სადღაცა წაგადგება!“

მწერალი ფართოდ იყენებს დეტალს, როგორც გვირის ხასიათის გამოკვეთის დამახასიათებელ საშუალებას. დეტალებში ყოველთვის მოცემულია რთული ფსიქოლოგიური, სულიერი შინაარსი და გვეხმარება დავინახოთ ადამიანში ზოგიერთი ის დაფარული თვისება, რასაც მწერალი მზამზარეული, „შეშველი“ სახით არ გვთავაზობს.

ასეთ დეტალებად შეიძლება დავასახელოთ თინათის შიერ საქართველოს დროშის შექერვა. თამარ დედოფლის მიერ თაღების ნადრევად დამზადება, რაც ქმრისადმი უატივცემულობასა და ღალატზე მიგვიბრუნებს. მარიამის მიერ ნატრია საჭურისის საფლავის მონახულება, (ხაზგასმულია მარიამის დიდშულოვნება, ობოლი ბიჭის თანაგრძნობა). ასკიას თხოვნა სახლში გაშვებაზე არხის გასაქეთებლად. მიგვანიშნებს მშრომელი გლეხის თანდაყოლილ მიწის სიყვარულზე, რაც ომშიაც არ ავიწყდება. ბევრი დეტალია რომანში ტოტლემენის უცოდინარობაზე, სამარცხვინო ქცევაზე.

ტეტროლოგიაში უხვადია შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები, რაც ხელს უწყობს მწერლის აზრის ან რომელიმე სურათის უფრო ხატოვნად, ემოციურად ჩამოყალიბებას. მაგალითად თამაზა „...იქაურობას კატის უხმაური ნაბიჯით გაეცალა“. მახარობელა გუნცაძე „ქარბიანი დედაბერივით ჩამჯდარიყო“... კაფიჯი-ბაშმა „ლუქდასმული გრაგნილი... ნარმასავით გაფითრებულ ჰაჯი-აჰმადს მიაწოდა“... და მრავალი სხვა.

შენიშვნის სახით: ერთგან ვკითხულობთ: „...კორიშელი გლეხები ირწმუნებოდნენ, ცამ რომ მოიდრუბლა, ერთგან ყომაღლ ღრუბლებს შორის განათებული ადგილი დარჩაო“. აქ ქვემდებარე ცა შეცდომით მოთხრობით ბრუნევაშია დასმული.

მწერალი ხშირად ხმარობს ფრაზას: „ბევრი ჰოსა და არას გადაწოვის შემდეგ“... ეფიქრობთ, ამ ფრაზის ხშირი ხმარება ყურსაც არ სიამოვნებს და თვით სათქმელსაც აუფერულებს.

რ. ჯაფარიძე ზოგჯერ მოვლემებსა თუ ადამიანებს მეტისმეტად დეტალურად, ზედმიწევნით აღწერს ხოლმე, ასეთი ნატურალიზმამდე მისული წარმოსახვა, ჩვენი აზრით, კი არ ეხმარება, არამედ, პირიქით, ხელს უშლის მკითხველის ფანტაზიას.

ცხადია, ეს შეხიშვნები არ ამცირებს რომანის ღირსებას. მწერლის ხანგრძლივმა, დაძაბულმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო.

„სოლომონ I-ის ცხოვრება და ბრძოლა თავის აღმწერელსა და მემკვიდრეს ელოდა. აქ დიდი ეპიკური რომან-ეპოპეა იყო საჭირო და „მძიმე ჯვარი“, სწორედ ის წიგნია, სადაც სიმაღლით გამოჩნდა ეს ადამიანები და გამოჩნდა ტრაგიკული, აწეწილ-დაწეწილი და აგბედიით მე-18 საუკუნე“ (გ. ნატროშვილი).

რწმენა სიყვარულისა

წიგნი I

ო. პანჩერლიძის ალი-ბაცაცას ფსიქიკაში (რომანი „ალი“) ერთ მეტად საინტერესო შტრიხს აგებს: ალის ადამიანებთან მხოლოდ ძალა, ძალმომრეობა აკავშირებს, იგი ან შეურაცხყოფილია (ალიპოროზ იბრაჰიმი, ალი-ბაყალი ალი), ან შეურაცხყოფელი (ალი-გიულლუ, ალი-მოხუცი) და შესანიშნავად ჰგუობს როგორც ერთ, ასევე მეორე პოზას. ძალისა და ამ ძალაზე დაყრდნობილი უპირატესობის აღიარება დამნაშავეში ნელ-ნელა ახშობს სინდისის ხმას, ამიტომაც მისი აღსარება არასოდეს არ არის გულწრფელი (გაეხსენით ალის ნიანგის ცრემლები) დამნაშავე (თუ დანაშაული მისი თვითგამოხატვა და არა ფსიქიკური პროცესი — იდეა-ფიქსი), ყოველთვის შინაგანად დარწმუნებულია, რომ დამნაშავეა ყველა — ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო და არა თვითონ. მწერალი ერიდება ცრურმანტიულ ფერებს — იგი მართლად, პირუთვნელად გვიხატავს პატარა დამნაშავეს ცხოვრებას.

სოციალური კიბის მაღალ საფეხურებზე ნილაბი უფრო სქელია და ათასგვარი საღებავებით შესუდრული. ნილბოსნის მოძრაობაც უფრო რაფინირებული ხდება. კონფლიქტები, ექსტი, მიმიკა შეგნით, სიღრმეშია ჩატანილი. ალი ბიზნესმენი ბრმა, სწორხაზოვანი და თავდაჯერებული პრაქტიკოსია და ასე თუ ისე (დილოგებში) ამჟღავნებს თავის ნამდვილ ბუნებას. ალი — მდიდარი უსაქმური და ალი — მინისტრი კი მხოლოდ შინაგან მონოლოგებში „იხსენებიან“.

„ხამდელი ორელია, — ჩაილაპარაკა ფარმაცევტმა თავისთვის, ოღონდ ალი თამთურქი (ბიზნესმენი — გ. ზ.) ცოცხალია და ესერგიული, ეს კი უსიცოცხლო და მოშვებული. გარეგნულ მსგავსებას რა მნიშვნელობა აქვს? ერთი ბოთვა, უსაქმურად ზინ და მამამისის დატოვებულ ქონებას ჰამს, მეორე კი გამოცდილი მგელია და მთელი ქვეყანა მუქში უჭირავს“. ასე უპირისპირდება ერთმანეთს ალის ორი ნილაბი, ორი კონცეფცია. პარალელი ფაქტობა და თვალისთვის ძნელად შესამჩნევი. ალი — მდიდარ უსაქმურს მამამ უზარმაზარი ქონება დაუტოვა. ალი — თამთურქი კი ცხოვრების ასპარეზზე არაფრისმქონე გამოვიდა. („ცხოვრებაში რომ გამოვედი, შაურიც არ მებაღა, დღეს მილიონები მაქვს“). პირველმა თავისი ბუნების მდაბალი, მიწიერი თვისებები ვერ განავითარა, რადგან ბუნებამ იმთავითვე მოწესრიგებული პრაქტიკული ცხოვრება არგუნა. შესაბამისად, მთელმა მისმა ენერგიამ ფსიქოლოგიურ პლანში გადაინაცვლა. ალი — მდიდარი უსაქმური ახდენს თითოეული მოვლენის დეტალურ ფსიქოლოგიურ ანალიზს. პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ მოვლენებისა და საგნების ფსიქოლოგიური მოაზრება პრაქტიკულ მოქმედებაში ქმნის ერთგვარ ბარიერს, მუხრუჭს, რადგან აზროვნებაში, ფსიქიკაში განხორციელებული ნებისმიერი პროცესი ინტენსიურობით, ცხოველყოფილობით ყოველთვის სჯამნის რეალურად, პრაქტიკულად განხორციელებულ ამ პროცესის ექვივალენტურ მოქმედებას. აქედან მეორე პა-



რადიქსი, პრაქტიკულობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ერთგვარი ცალმხრივობა და სიბეცე, რომლითაც დაჯილდოვებულია ალი-ბიზნესმენი (თუმცა, ძალიან მშვენიერად, ძლიერი პიროვნება ახერხებს მოახრებულობის გადახარშვას და ამ ორი — მიწიერი და ზეციური, პრაქტიკული და პოეტური საწყისების პარმონიულ შერწყმას).

საერთო შტრიხი, რომელიც ამა ქვეყნის ძლიერთა ნიღბებს (მდიდარი უსაქმური, ბიზნესმენი, მინისტრი) აერთიანებს — მოწყენილობაა. რატომ მოიწყინა ალიმ? და იქვე პასუხი: „მე ისევე არა მჭამს სიყვარულისა როგორც ღმერთისა და არც სიცოცხლეა ჩემი საქმე“. მოწყენილობა — ადამიანის სულის ეს საოცარი მდგომარეობა ინტელექტის თვისებაა. გართობა — თავისებური გაქცევა — ანესთეზია კიდევ უფრო აძლიერებს ამ მტკივნეულ შეგრძნებას იმ ინდივიდში, რომელიც ქვეშეცნულად გრძნობს მოწყენილობის მიზეზს — ბუნებისაგან მოწყვეტას. (გლეხისათვის ნაკლებ მახასიათებელია მოწყენილობა, თითქმის პირიქით უნდა იყოს). ალის ცხოვრების მატერიალური, პრაქტიკული მხარე მოწესრიგებული აქვს. რაღა ქნას შემდეგ? ალი — მდიდარ უსაქმურში იღვიძებს პირველყოფილი ინსტინქტები, სადისტურ-მაზოხისტური მიდრეკილებანი, ალი ბიზნესმენი ფულს აფეტიშებს და ფულის დაგროვების მასიით ავადდება. განსაკუთრებით მკვეთრი გროტესკული საღებავებით არის შესრულებული ალი-მინისტრის პორტრეტი. სოციალური კიბის მწვერვალზე აცოცებული ალი წყველის საკუთარ ნიღბს. ის ვინც „ამ ქვეყნად მცხოვრებ ყველა ადამიანზე მაღლა დგას“, ასე ფიქრობს: „მინისტრობას სჯობდა ბაყალი ვყოფილიყავი, უპატრონო ქუჩის ბიჭი მაინც ვყოფილიყავ“. იცის ალიმ — კიბის სიმაღლე მატყუარაა და წარმავალი. აცოცება-ჩამოცოცებას გულისხმობს უეჭველად, ჩამოვარდნას თუ არა, და არც ეს სულისშემბუთოვლი სიმაღლეა მაინცდამაინც სასიამოვნო („თავისუფალი ვიქნებოდი და ჩემს ჰკულზე ვიცხოვრებდი“).

მაშ სადღაა ქეშმარიტი სიმაღლე, ქეშმარიტი შვება? სიყვარულში — პასუხობს შემოქმედი. ალის რწმენა აკლია — სიყვარულის, ადამიანისა და ბუნების ერთობის რწმენა.

რწმენა ადამიანის სასიცოცხლო ძალების მაქსიმალურ კონცენტრაციას ახდენს, ეუფლება მის თითოეულ ნერვს, უჯრედს, ერთ ძალად კრავს და ერთი მიზნისაკენ წარმართავს. რწმენა გამოირიცხავს ადამიანის, სულიერი მდგომარეობის ერთი შეხედვით უწყინარ (თუმცა მას შეიძლება დიდი ბოროტება მოჰყვეს, და პასიურ, თუმცა იგი ძალზედ მომქანცველია) სახეს — მოწყენილობას.

სწორედ ამ რწმენით მაღლდება და ნათლდება ორი ნიღაბი-პერსონაჟი, რომლებიც ნაწარმოებში სიყვარულის იდეას განასახიერებენ — ალი — პენსიონერი და ალი — მოსწავლე. ბავშვური, სხვა სამყაროებიდან მოტანილი სიღრმეები და ამ სამყაროების მიჯნაზე მიტანებული მოხუცის ცოდნა-გამოცდილება ერთსა და იმავე „კონცეფციას“ ანიჭებს ამ ორ ნიღბს. ერთმა იცის (გონებით) — „ლა პავლე ვე ლა კუვეთი“ — „არა არს ძალი და ძლიერები“ (სიტყვები ყურანიდან, გ. ზ.). მეორე კი გრძნობს (გულით), რომ „ადამიანი ამისათვის (სიყვარულისათვის — გ. ზ.) არის გაჩენილი“, რომ „სხვა ქეშმარიტება არ არსებობს“. მსუბუქი და ჰაეროვანი ალის სხეული სოციალური კიბის მიღმა, სადღაც მაღლა, სივრცეში დაფარფატებს. წინა ნიღბების გროტესკულ ტონალობას ენაცვლება სულ სხვა, არამიწიერი სინათლე, ამ ბავშვისა და მოხუცის სახეებს რომ გადაჰკრავს (ალბათ ისე, როგორც ყველა ბავშვისა და მოხუცის სახეს ამ ქვეყნად).

„პაროდიია „სამყარო — უკუღმა“, აღნიშნავს ბასტინი. სწორედ ასეთი ხელოვანი — უკუღმაა“ ნიღაბი-პაროდიია ალი-ხელოვანი. მისი ფიქრების, შეგრძნებებისა და განცდების ფონად თანამოკალმეებისადმი შური გვევლინება. შური შემოქმედების ქი-



რითადი მასტიმულირებელია, ზელოვანი გაუცნობიერებელი შურის კარნახით ქმნის სუბექტურ სამყაროს. შემოქმედთან, ობიექტურ სამყაროსთან ასპარეზობის ეს კადენცია რი სული უცხო არ არის ზელოვნების არც ერთი ქვეშარტი ქმნილებისათვის. მაგრამ ეს მაღალი შურია და არა წვრილმანი ადამიანური თვისება.

ალის რვავე ნიღაბს ლეიტმოტივად გასდევს კუზის ფენომენი. კუზს მკითხველი განიცდის არა როგორც ალის ფიზიკურ ნაკვს, არამედ როგორც მისი სხეულის ხაწილს — უცილოს და აუცილებელს, ისევე როგორც ზელს, ფეხს, ან თავს. ასევე აღიქვამს კუზს თავად ალიც (კუზიანები არიან სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებული ნიღაბ-შერსონაჟებიც). კუზი ალის ადამიანობის, მისი ცოდვისშვილობის, იმ ტკივილის სიმბოლური გამოსახვაა, რომელიც ქვეშეცნეულად სტანჯავს და აწამებს ბუნებისაგან მოწყვეტილ ადამიანს პირველცოდვიდან დღემდე. როგორ, რა გზით და რა საშუალებებით დაიამოს ეს მარადიული ტკივილი კაცმა?

— მხოლოდ სიყვარულით. სიყვარული გადაარჩენს ალის — ისე, როგორც აჰმედის „ბნელით მოცული ქვეყნიდან“, ისე როგორც დიდი ქალაქის ყველა ბინადარს — „დიდსა თუ პატარა თევზებს“, ისე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხებსა და მთელს სამყაროს. „ალი“ მკითხველის გულსა და გონებაში აღვიძებს და აღვივებს ყოვლის-შომცველ რწმენას — რწმენას სიყვარულისას.

რომანში „მეშვიდე დღე“ (1957) პირველად მთელის სიძლიერით გამოჩნდა მწერლის ნიჭი — ჩასწვდეს და ამოიკითხოს ადამიანის სულის უფაქიზეს ზეეულებში ჩაქსოვილი სინამდვილე.

„მეშვიდე დღე“ საეტაპო რომანია პანჩერლიოდლის შემოქმედებაში. თუ აქამდე მწერალი ფსიქოლოგიური წიაღსვლებისათვის სოციალურ ანტურაჟს იყენებდა, ახლა დეკორაცია შეიცვალა, მწერალმა წინა პლანზე ფსიქოლოგიური პრობლემა წამოსწია.

რომანი შვიდი თავისაგან შედგება და თითოეულ თავს (გმირის ცხოვრების ერთ დღეს) ეპიგრაფად უძღვის ბიბლიური თქმულებანი ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის შესახებ. ამ შვიდ დღეში ხდება ომერის სულიერი გარდაქმნა, ანუ „ეპიგრაფები ზაზს უსვამენ ავტორისეულ ჩანაფიქრს — გამოსახოს ადამიანის განახლება თავის გმირში, რომელიც ცდილობს თავის ახლად შექმნას, ისე როგორც ღმერთმა შექმნა სამყარო“ (რ. ფიში). „ადამიანის ჯანყის მიზეზი არის ის ღირებულებანი, რომელიც პიროვნებაში ყალიბდება ცხოვრებით ნაკარნახევ ღირებულებათა წინააღმდეგ“, აღნიშნავს მწერალი თავის ერთ-ერთ ფილოსოფიურ ესეში. სწორედ ეს „ღირებულებანი“, ანუ წლების განმავლობაში გამოუხატავი, მოთოკილი შინაგანი „მე“ ამოხეთქავს ერთ-ერთი სამინისტროს მაღალ მოხელეში. გარეგნულად ეს პროცესი, უფრო სწორად პროცესის ბიკი (ომერის ჯანყი წლების განმავლობაში მზადდებოდა და მწიფდებოდა) ზურთიზული ფორმასღებულობს — იგი თავის უშუალო უფროსს სცემს.

ასე იწყება ახალი ადამიანის შექმნა ომერში. იწყება ბუნთით, კაზუსით. მაგრამ ყოველ კატაკლიზმურ ცვლილებას ადამიანის ცხოვრებაში თავისი წინაპირობანი უძღვის, რომელთა ლოგიკის ძაფზე ასხმა შეუძლებელია. ამიტომაც ყოველ ასეთ შემობრუნებას, ჩვეულებრივ, ცალკე, საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილს ზედავენ და მიზეზ-შედეგობრიობის პრინციპით მოიხილავენ. თითოეულ ასეთ (და არა მარტო ასეთ) მოვლენას კავშირი აქვს ადამიანის სულიერ არსთან, სულიერ საწყისთან. ეს კავშირი მარტაყი სწორი ხაზი როდია — ეს უფრო ფესვია, მრავალმხრივ განტოტილი, ჩახვეული და კლაკნილი. შევეცადოთ ამ ფესვის ჭერ ზედაპირული, ხოლო შემდეგ უფრო სიღრმისეული შრეების მოხილვას.

ომერი სამინისტროს მაღალი რანგის მოხელეა და ადვილი შესაძლებელია, პირველი კაცი გახდეს სამინისტროში. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი კარიერას იკეთებს.

კარიერიზმი საკუთარ თავში აუცილებლად მოიცავს აზარტს. ამ აზარტის მკვეთარი სხვადასხვა ადამიანებში სხვადასხვაა. 1. ხელისუფლების მანია. 2. მოღვაწეობის მანია. 3. ეგოისტურ-მერკანტილური მიზნები. ყველა შემთხვევაში ღომინირებს მტაცებლური საწყისი, რაც პიროვნების ძალაუფლებისაკენ მისწრაფებაში გამოიხატება. ომერი შინაგანად იდილიური ცხოვრების წესის მომხრეა (მას შურს მოხუცი მძევლავის თავისუფლება და სიმშვიდე). მკაცრი, ერთფეროვანი რეჟიმი გმირს თრგუნავს და აშინებს. ზოგს ჰგვრის გულის მომყრპველი ყოველდღიურობა. კარიერისტისათვის ეს ტკივილი, როგორც წესი, უცხოა, აზარტს სწორედ ამ ვაცემული ენერგიის სრული კომპენსაციის შეგარძნება ჰპაღებს. კომპენსაცია სულიერ პლანში (ძალაუფლების შინაგანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება) ხდება. აზარტი — სიბრძნეისა და გაუტყვერების ეს აუცილებელი პირობა აკლია ომერს — სამინისტროს მოხელეს.

მეორე მომენტი: ომერი არ ემორჩილება ადმინისტრაციულ სუბორდინაციას. ადმინისტრაციული იერარქიის ეთიკა აუცილებლად გულისხმობს სუბორდინაციის წესის ზუსტ და მკაცრ დაცვას. ისინი, ვინც არ ემორჩილებიან ამ კანონს, ავტომატურად ეთიშებიან „თამაშს“ (ისევე როგორც ჩვენი გმირი, რომელიც უფროსის ყვირილმა მოთმინებიდან გამოიყვანა). ეს საფეხებით კანონზომიერია. რადენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ბრძანებებს მხოლოდ იგი სცემს, ვისაც თავად ძალუძს დაპირბრძოლდეს სხვის ბრძანებას — ასეთია ძალისმიერი სამყაროს კანონი.

ახლა უფრო ღრმად ჩავსდით ფესვს. „ამ უსასრულო სივრცეში თვითმფრინავი მარტოსულ, სიყაროელში ჩაქარგულ სულს წააგავდა. ყველაფერი, რაც მოხდა, უსასრულობასთან შედარებით ისეთი პაწაწინტელა, უმნიშვნელო და სასაცილო იყო... სამყარო სიყვარულით იყო სავსე, თითქმის სიყვარულისა და სილამაზის ფერიები დაფრინავდნო თვითმფრინავის ირგვლივ“ — ასე იწყება გმირის სიმბოლური სგლა მთავარი მიზნისაკენ — სიყვარულისაკენ. (ომერი ანკარიდან სტამბოლში მიფრინავს, მას თავის მოკვლა აქვს განზრახული). სამინისტროს მოხელის დაქარგვის ცნობა სურათთან ერთად პრესაში ქვეყნდება. ომერის უცნობი თანამოსაუბრე, რომელიც ეს-ეს არის გაეცნო სავაწეთო ინფორმაციას, გაოცებულია (მან არ იცის, რომ დაქარგული მსხვილი მოხელე მის წინაშეა). „ვინ იცის, იქნება რაიმე დარდი აწუხებდა?“. „ამისთანებს რა დარდი უნდა ჰქონდეთ? სასმელ-საჭმელი არ აკლიათ და ჩასაცმელ-დასახურავი. ჰა, ჰა, ცოლი თუ ცუდლუტობდა“. ან გავისცნოთ ომერის ცნობიერებაში შეთხზული, ჭერაც შეუძმდგარი დიალოგი პოლიციელთან. „ცოლი გყავდათ?“. „მყავდა“. „შვილები?“. „შვილებიც“. „სიამამო თადარიგის გენერალი?“. „ღიას“. „საჭმელი ჭქონდა?“. „მქონდა“. „ჩასაცმელი?“. „ევეც“. „სამსახური?“. „სამსახურიც, ჩემო ბატონო“. „თუ ასეა, რას მიჭქარავ, შე კაცო, რა აზრი აქვს ყოველივე ამას?“. „ველარ ავიტანე“. „რა ვერ აიტანე?“. „ეს ყველაფერი“. „რეებს ბოდავ, შენ გიცი ხომ არა ხარ?“. „ღიას, ბატონო“. „რა ღიას?“. „გიციც ვარ“. ომერის ტკივილისადმი ბრმანი არიან ირგვლივ მყოფნი. ყოველდღიურ, წვრილმან მატერიალურ ფაცი-ფუცში ადამიანებს დაეიწყებათ, რომ არსებობს უფრო მაღალი, ქემშარიტი ტკივილი — ტკივილი სიყვარულისა. სიყვარულს მოწყურებულმა სულმა დასტორა ომერი — თუმცა ბრმაა ჭერ გმირი — უფსკრულის პირას მოარული ბრმა (მას ხომ თვითმკვლელობა აქვს გადაწყვეტილი). „და ომერმა თვალეზი გაახილა სიბნელეში“ — ასე იწყება მეორე თავი და მასთან ერთად დღე მეორე — მეორე საფეხური გმირის სულიერი სრულქმნისა. რომანის სიუჟეტი სამ შრეს (და არა ხაზს, განშტოებას) მოიცავს:

პირველი — მელოდრამული შრე (თურქი კრიტიკოსების შეტყვის ობიექტი),

მეორე — პრობლემური შრე (ადამიანის, საზოგადოებრივი ფუნქცია) და მესამე — ფსიქოლოგიური, სიღრმისეული შრე — ომერის კაცადქმნის მხატვრული რეპრეზენტაცია, რომელიც რომანისეული მხატვრული სამყაროს ქვაკუთხედს წარმოადგენს.

გმირის სულიერი სრულქმნის პროცესი სულ ოთხი ფაზისაგან შედგება, აქედან პირველი — ტანჯვა, რომანის მხატვრული ქსოვილის მიღმა დგას, ის, თუ შეიძლება აუცილებლად, სტატიკური ფაზაა, წყაიო, მასალა, რომლისგანაც ეს ქსოვილი იქმნება. შემდეგ მოდის რომანისეული ფაზები: ა) ბუნტი. ბ) სასოწარკვეთილება. გ) გაწონასწორება. დ) პარმონია.

ყველაზე ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ფაზა არის ტანჯვა. რატომ იტანება ომერი? (იტანება იგი არა შეიძლება დღის განმავლობაში, არამედ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე). „აღსარება“ — თვითანგარიში არის პრინციპული და აქტუალური აქტი საკუთარ თავთან თანადუმთხვევლობისა, აღნიშნავს ბატონი. „მე ხომ ეს ცხოვრება არ მიყვარს და არც არაფრის მყვარებია — აი, სად არ ემთხვევა გმირი საკუთარ თავს (ისევე, როგორც აჰმედი „ბნელით მოცული ქვეყნიდან“). მას სინდისის ხმა სტანჯავს. სინდისის ხმა უპირველესი მტერია ადამიანის ცხოველურ სიწყისისა. იგი ადამიანის ყველაზე მკაცრი მსაჯულაცაა და სასჯელიც ერთდროულად. სინდისი ადამიანის მაღალი, ზეციური ბუნების გამოხატულებაა. თუ სინდისის ხმა აღარ სწევდა ადამიანის გულსა და გონებას, ეს უკვე აშკარა ნიშანია მისი დაცემის, სულიერი წრწაღების. ვერც ერთი კანონი, თუ საკანონმდებლო ორგანო ისე ვერ არეგულირებს ადამიანის ქმედებასა და მის სხვა ადამიანთან ურთიერთობას, როგორც ხმა სინდისისა. სინდისის ხმა, იგივე მაღალი „მე“ ომერს კარნახობს, რომ ეს ყველაფერი (კარგი სამსახური, პატივი, ფული და სხვა) ილუზორული ბედნიერებაა, რამეთუ იგი შორს დგას ქეშმარიტი სიყვარულისაგან. გმირი გაორებულია. მეორე, მაღალი „მე“ ვერ თმობს მიწიერ ილუზიას. ომერი იტანჯება. ტანჯვა ადამიანის სულიერი სრულქმნის, კაცადქმნის აუცილებელი პირობაა, ტანჯვის მეშვეობით ადამიანი ერთმანეთისაგან განასხვავებს ღირებულს და არაღირებულს, ტანჯვას შეაქვს ადამიანის სულში ყოველივეს ერთობის (ერთი) შეგრძნება და ბოლოს (ეს ყველაზე ფაქიზი და რთული ფაზაა) ხდება ადამიანის სულის მარადიულობასთან შეხება — სიკვდილის ქვეცნობიერი შიშის დაძლევა. ომერმა უარყო თავისი ძველი ცხოვრება. მან იცის, რომ არაფერია ფული, სიმდიდრე, თანამდებობა, რომ ყველაფერი სიყვარულშია. იგი მესამე, ყველაზე რთული ბარიერის მიჯნაზეა. სულიერი ქანების ასეთი გრანდიოზული მოძრაობა გმირში იწვევს შინაგანი წონასწორობის დაკარგვას — სასოწარკვეთილებას. იგი თავის მოკვლას განიზრახავს. თვითმკვლელობა — ბუნტი. სიკვდილის ქვეცნობიერი შიშის თავისებური პარაქსიზმია თვითმკვლელობა — ბუნტი — ანუ ამქვეყნიური ყოფით უკმაყოფილო ადამიანის შეგნებული, წინასწარგამიზნული პროტესტი ინდივიდის უკიდურესი სულიერი სიუსტების ნიშანია. ამ შემთხვევაში სიკვდილის შიში (რომელიც მუდამ თან სდევს თითოეულ ინდივიდს) კულმინაციას აღწევს და ისევე ოზიდავს თვითმკვლელს სიკვდილისაკენ, როგორც წყალში გარიყულს დახრჩობის შიში — ფსკერისაკენ, ან დაწნაშევს დანაშაულის გამოძევების შიში — დანაშაულის ადგილისაკენ.

ო. ჰანჩერლიოღლი სტრესული მდგომარეობების, სულიერი კატაკლიზმების გამოსახვის უდიდესი ოსტატია. მწერალი სასოწარკვეთილი ომერის ფსიქიკაში ჩვეული ალღოთი აგნებს ერთ ურთულეს და უფაქიზეს ნიუანსს. სასოწარკვეთილი ადამიანი, დამოუკიდებლად ინტელექტისა (სწორედ ეს არის ყველაზე საინტერესო), ხშირად ეთიშება ყოველდღიურ, წვრილმან ყოფას, მათ შორის იმ მომენტსაც, რომელიც მას სასოწარკვეთილების უშუალო წყაროდ, მიზეზად მიაჩნია და ყოველივეს უფრო



ფართო მასშტაბებით, დიდ სივრცეში აღიქვამს. ეს არის თავდაცვის ბუნებრივი ინსტიქტი. სწორედ ამ წყდება მისი ბედი. იგი ან მალდება (თუ ეს ინსტიქტი მასში მძლავრად არის განვითარებული) ან იღუპება.

„სიკვდილის მიჯნასთან მისვლამ თითქმის უკვე განაცდევინა სიკვდილი და ტივილის შეგრძნება დაუკარგა“. გმირი გადარჩა, კრიზისი უკან დარჩა. ომერმა განახლების გზაზე შედგა ფეხი.

„და ომერი ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე აქამდე განუცდელი სიხარულით საესე, ლოგინიდან წამოფრინდა. საკუთარ თავში ახალგაზრდულ ჯანღონესა და სილამის გრძნობა“. ასე იწყება მეოთხე თავი — დღე მეოთხე.

ომერის სულში ნელ-ნელა შედის სიმშვიდე, სინათლე, სიწყნარე, (ამ დროს მელოდრამულ შრეში გამოჩნდება გონული — ბავშვობის სიყვარული). ბავშვობის ილუზია — ცალკე ფენომენად დგას ჰანჩერლიოლის შემოქმედებაში. ბავშვობის ხანაში მწერალი ხედავს ადამიანის სულში ჩაქსოვილ სიყვარულის ნიჭს, რომელიც ჯერ კიდევ ხელუხლებელია და ამქვეყნიური ვნებებით წაუბილწავი. სწორედ ამ ნიჭის გაღვიძებისაკენ მიისწრაფვის შემოქმედი თავის გმირებში. ამიტომაც ბავშვობა მისი ცხოვრების ტკბილი, შეურყენელი წარსულიცაა და მომავლის ოცნება — გაელვებაც. ომერის რემინისცენციები (იგი ხშირად იგონებს პირველ სიყვარულს, თავის ბავშვობას) რეალურ სახეს იღებს. იგი უბრაუდება თავის პირველ, ბავშვურ სიყვარულს გონულს და, მასთან იმ პირველ პოზას — სიყვარულის ნიჭით მადლობს. გმირის სულის ძახილი „მარტო ვარ, უსასრულოდ მარტო“ უპასუხოდ არ დარჩა. სანტერესთა კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ნიუანსი. ისე, როგორც ძლიერი ქარიშხლის შემდეგ იწმინდება ცა, ნათდება და იწმინდება განახლების გზაზე შემდგარი ადამიანის გონება. ომერი მარტო, უბრალო აზრებში, წინადადებებში, რომლებსაც წინათ ბანალურად ჩათვლიდა, დიდ სიღრმეებს ხედავს.

„გონულის ოთახის მინის კარებს მიღმა აღისფერი შუქი ისე ციალებდა, როგორც სანთლები ტაძარში“. უკვე განწმენდილი გმირი დგას ამ ტაძრის მიჯნასთან. ტაძარში სიყვარულია, სინათლე, ის, რისკენაც ბრმად, სიბნელეში ხელების ცეცებით, ტანჯვითა და წამებით მიისწრაფვოდა ჩვენი გმირი. ასე მთავრდება გმირის სულის მოძრაობა, მთავრდება ჰარმონიით, მიზნის განმორციელებით.

დაუბრაუნდეთ მელოდრამულ შრეს, ანუ ამბავს, მასალას, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთი კრიტიკოსების შეტევის ობიექტი გახდა. ჩვენ ეს დავა შემოქმედის მხატვრული სამყაროს გაუბრალოებად და გამარტივებად მიგვაჩნია. პროფესიული ლიტერატურისმცოდნე სულ სხვა ხმას უნდა უგდებდეს ყურს, სულ სხვა შრეებითა და სიღრმეებით უნდა იყოს დაინტერესებული, მით უმეტეს, რომ ეს შრეები, ეს ხმა მწერლის პროზაში მკაფიოდ ჩანს და ისმის.

და ბოლოს, ერთი მომენტი. ო. ჰანჩერლიოლი ორმოცდაათიანელთა პლეიადას მიეკუთვნება. მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლები შეხედულებათა გადაფასების პერიოდად ითვლება თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში (და არა მარტო ლიტერატურაში). შეხედულებათა გადაფასების პერიოდები, როგორც წესი, წარსულის, როგორც დროშოქმულის, ხელადებით უარყოფის ულტრარადიკალური განწყობილებით ხასიათდებიან. ორმოცდაათიანელებმა სამიზნედ დიუანის პოეზია, აღმოსავლური მისტიკური აზროვნება, მთლიანად შუა საუკუნეების აღმოსავლური პოეზია ამოიღეს. წარსულის ღირებულებათა განურჩეველი უარყოფა დროებითი მოვლენაა. დრო — პირუთენელი მსაჯული — ყოველივეს, ყველაფერს თავის ადგილას ალაგებს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. გარკვეულ მომენტში (ამ დროს სოკოებივით მრავლდებიან ფსევდოლიტერატორები) მონასტერი ირევა. სწორედ ამ

დროს ქმნიდა ჰანჩერლიოლი. იგი სწორედ ამ ახალთაობის წარმომადგენელი მკვლევარმა, როგორც კეშმარიტი ინდივიდუალურობით აღბეჭდილ შემოქმედს, პიროვნებას შეჰფერის, მან შეჰქმნა თავისი განუმეორებელი მხატვრული სამყარო, რომელსაც სწორედ თურქული ლიტერატურის სათავეებთან მივყავართ, რამეთუ სიყვარული, ჰარმონია, ადამიანის სრულქმნა ადამიანის მარადიული, ზედროული, უკვდავი ოცნებაა, რომელსაც ერთნაირი აღმაფრენით უმღერიან შუა საუკუნეების მისტიკოსი პოეტი და ჩვენი თანამედროვე რეალისტი პროზაიკოსები.

მ ე ღ უ ზ ა

მე-მეშორ სერენადა

ლექსიკონები აგერ არა მაქვს? -

დღევანდმა აცხონოს მომგონი
მისი

არა, არა მწამს სხვა პარტიტურა.

ანტა შეთხზული ლიბრეტო
სხვისი

ჩემი ნოტები და ბლოკნოტები,

ჩემი სტროფები და მაჟორები,

მინიატურული მადრიგალები,
ქმნილებებია გამაჟრჟოლები.

რაც მთავარია, რედაქტორები

ხშირი ვიზიტით უნდა

დააფრთხო,

ღაარეკვინო პერსონა-გრატებს

და ზედ მაგიდის ძგიდედ

განართხლ.

შე ვაქიაქებ ყოველ კალმოსანს,

თუმც მათი ზვედრი მწარედ

მატირებს:

რა საჭიროა კაცი ჭკვიანი,
ბრძნული აზრებით ვის

გააკვირვებს?

ან თავმდაბლობით, თუნდა

ზრდილობით,

უბრალოებით, რიგით ან

რწმუნით.

გულში რა გიძევს, ეს სულერთია,
საქმე ის არის, რას ამბობ ენით.

ბურთი ჩემია და მოედანიც,

ნიჭიერების მამძიმებს მანტო,

მხოლოდ მე მეხმის პროსოპოპეა,

აღტერნატივა და თვით

ბელ-კანტო.

რას მეჩხირებით დისკარმონიით,

დიაფონიით, დისონანსებით,

ნუთუ გგონიათ, უნიჭოები

ჰონორარებით დაფინანსდებით!

ვლადიმერ დარჩია

წიგნის პროპაგანდის სრულყოფისათვის

პარტიის აპარის საოლქო კომიტეტში გაიმართა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აპარის რესპუბლიკური ორგანიზაციის პლენუმი, რომელმაც განიხილა წიგნის მოყვარულთა საკავშირო საზოგადოების III ყრილობის შედეგები და აპარის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ორგანიზაციის ამოცანები.

მოხსენებით გამოვიდა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აპარის რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუნავა.

კამათში მონაწილეობდნენ საზღვაო სანაოსნოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბაქინოვი, აპარის ასსრ განათლებას სამინისტროს ინსპექტორი ნ. ერქომაიშვილი, ქობულეთის რაიონის ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობის წიგნის მოყვარულთა პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე თ. ანანიძე, ბათუმის ოფიცერთა სახლის წიგნის მოყვარულთა კლუბის თავმჯდომარე ვ. ნეჩაევი, გამომცემლობა „საბჭოთა აპარის“ დირექტორი ა. ახვლედიანი, ხელვაჩაურის სკოლის ორგანიზატორი რ. ბოლქვაძე, ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე, ბიბლიოფილი რ. მაქავარიანი, აპარწიგნავაქრობის დირექტორი ა. ბოლქვაძე, პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ცეცხლაძე.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება და აპარის რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების გამგეობებს დაავალა ყველა ღონე იწმა-

რონ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, გააქტიურონ საზოგადოებრივი საბჭოებისა და სექციების მუშაობა და უზრუნველყონ წიგნის პროპაგანდის შემდგომი გაღვივება.

კოლუმბიელი სტუმრები

ოთხ დღეს იყვნენ სტუმრად აჭარაში კოლუმბიის რესპუბლიკის ქალაქ კარტახენის მერი ჰანს ჰერც მარტინესი და ქალაქის საზოგადოებრივი საწარმოების დირექტორი ლუის ბუსტამანტე.

სტუმრები გაეცნენ ბათუმის ღირებუნიშნაობებს, მის საწარმოებს.

კარტახენის დელეგაცია მიიღეს ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომში. მიღებას ესწრებოდნენ აღმასკომის წევრები, სამმართველოებისა და განყოფილებათა გამგეები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პრესისა და რადიოს მუშაკები.

აღმასკომის თავმჯდომარე რ. დოლიძე გულთადად მიესალმა სტუმრებს და გაცნო ბათუმის ისტორია, მისი რევოლუციური წარსული, მშრომელთა წარმატებები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

ჰანს ჰერც მარტინესმა მხურვალე მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, საინტერესო ინფორმაციისათვის და ისაუბრა კარტახენაზე, მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზე.

შემდეგ ჰანს ჰერც მარტინესმა მასპინძლებს გადასცა ტექსტი კარტახენის მერის გადაწყვეტილებისა ბათუმთან დაპირუბრების თაობაზე, აგრეთვე ქალაქის გერბი და მინიატურული დროშა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბათუმისა და კარტახენის დამოყვრების ოფიციალურ დოკუმენტს მიიღებენ მორიგი შესვედრისას.

ბათუმის ინტერკლუბში მოეწყო ქა-

ლაქის ინტელიგენციის შეხვედრა კარტა-
ხენის დელეგაციასთან.

შეხვედრაზე, რომელიც მეგობრულ,
ფრთხილობის ატმოსფეროში წარიმართა,
გამოვიდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკო-
მის თავმჯდომარე რ. დოლიძე, საზღვარ-
გარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და
კულტურული ურთიერთობის საზოგადო-
ების აპარის განყოფილების თავმჯდომა-
რე, აპარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის
მინისტრი რ. სურმანიძე, საქართველოს
ძვერალთა კავშირის აპარის განყოფილე-
ბის პასუხისმგებელი მდივანი, რუსთავე-
ლის პრემიის ლაურეატი ფ. ხალვაში,
კომპოზიტორი ი. ბარდანაშვილი.

სალამოს უძღვებოდა დრამატურგი
აღ. ჩხაიძე, იმპროვიზებულ კონცერტში
მონაწილეობდნენ ბათუმის თეატრის
მსახიობები, პროფკავშირთა კულტურის
საოლქო სახლის ვაჟთა ვოკალური
ტრიო, აპარის მუსიკალურ-ქორეოგრა-
ფიული საზოგადოების ვეტერან მოცეკ-
ვავეთა ჯგუფი.

გადაღების აღკვეთილი — ბ ა თ უ მ ი

აქარაში კინემატოგრაფისტთა სტუმ-
რობა ვერავის გააკვირვებს, მაგრამ წლე-
ვანდელი ზაფხული მაინც განსაკუთრე-
ბულია. ჯერ იყო და, ჩვენი თანაქალაქე-
ლი ზ. ხალვაში იღებდა მოკლემეტრაჟიან
მხატვრულ სურათს, რომლის პირობითი
სათაურია „მარტვი გასროლილი ტყვია“.
შემდეგ ზღვისპირა პარკში დ. ბათიაშვი-
ლის რეჟისორობით დამთავრდა გადაღე-
ბა სატელევიზიო ფილმისა „ქირილეს
მოგზაურობა“.

ამას წინათ კი უველას ცხოველი ინ-
ტერესი აღუძრა ნაგებობამ, რომელიც
საზღვაო ვაჭლის მახლობლად აშენდა.
ეკრანზე გადაქვთ ვიქტორ ჰიუგოს რო-
მანი „ზღვის მაშვრალნი“. ამ სამხედრო-
ნი სურათის პირველ ვერსიას, საკავში-
რო ცენტრალური ტელევიზიის დაკვე-
თით, ერთობლივად იღებენ ფრანგული
ფირმის „პატესინემასა“ და „ქართული
ფილმის“ ისტაბლები. დამდგმელი რეჟი-

სორები არიან ედმონდ სეზანი და სა-
ქართველოს სსრ ხელოვნების დამსახუ-
რებული მოღვაწე, სსრ კავშირის სახელ-
მწიფო პრემიის ლაურეატი გიჟო გაბეს-
კია. სეზანი თავის ქვეყანაში უპირა-
ტესად ცნობილია, როგორც კინოოპერა-
ტორი. ჩვენთანაც კარგად იცნობენ მისე-
ულ ფირებს „თეთრი ფაფარი“, „წითე-
ლი ბუშტი“ და სხვ.

ამ სატელევიზიო ფილმში საინტერესო
აქტიორული ანსამბლია შერჩეული. მთა-
ვარ როლს ასრულებს უიულები გიგან-
ტი. იგი ჯერ კიდევ 20 წლის წინათ ეწ-
ვია საქართველოს, როგორც საფრანგე-
თის ეროვნული თეატრის წევრი, იმ
კულტურის კერისა, რომელსაც უან ვო-
ლანი ხელმძღვანელობდა. ამავე დასში
გამოღის ორელიენ რეჟისორი, რომელიც
უიულებს განასახიერებს. ქალთაგან წამ-
ევან როლს ასრულებს მარი ტერეზა
რილიენი, კინოვარსკვლავის მარია შელის
შვილი.

მათთან ერთად მთავარ როლებს ასრუ-
ლებენ ქართველი მსახიობები ნოდარ
ძგალობლიშვილი, იმედო კახიანი, ნუგ-
ზარ ყურაშვილი, გურამ ლორთქიფანი-
ძე. ეპიზოდებში მათ პარტნიორობას გა-
უწევს ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუ-
მის სახელმწიფო დრამატული თეატრის
მთელი კოლექტივი.

„ზღვის მაშვრალნი“ სცენარი ეკუთვ-
ნის უან-კლოდ კარიერსა და რუსთავე-
ლის პრემიის ლაურეატს რ. თაბუკა-
შვილს, სცენოგრაფია — ანრი უანრისა
და საქართველოს დამსახურებულ მხატ-
ვარს დიმიტრი თაყაიშვილს. ფილმის
ოპერატორები არიან გი დელატარი და
ედუარდ გრიგორიანი, ხოლო დირექ-
ტორები — პატრიკ ლანსელო და დუში-
კო ხურციძე.

პრემიერა ბათუმის თეატრში

მენავთობეთა კულტურის სასახლეში
მორიგ პრემიერად ი. ჭავჭავაძის სახე-
ლობის სახელმწიფო დრამატული თეატ-
რის კოლექტივმა წარმოადგინა ნ. დუმ-

ბაძისა და გ. ლორთქიფანიძის ორმოკმედგებიანი პიენა „მე ვხედავ მზეს“ (დამდგემელი რეჟისორი „სუთწლედის მატია-ნის“ პრემიის ლაურეატი დ. ხინიკაძე, მხატვარი—ლ. მანთიძე, წარმოდგენა მუ-სიკალურად გააფორმა აჭარის ასსრ ტე-ლოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. შამილაძემ).

სპექტაკლში, რომელიც გამარჯვების 40-წლისთავს ეძღვნება, მონაწილეობდ-ნენ საქართველოს კომპაგვიზირის პრემიის ლაურეატი ნ. გოგიტაური, ბ. კუპრეიშ-ვილი, საქართველოს სსრ სახალხო არ-ტისტები ი. ცანავა, გ. გოგიბერიძე, მ. შერვაშიძე, მ. ხინიკაძე, ხ. მეგრელი-ძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ც. აბჯიანიძე, თ. სულხახი-შვილი, ნ. კეკელიძე, ნ. მესხიძე, ს. სუ-რმანიძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები რ. კაკაურიძე, ბ. ინწიკიშვი-ლი, მსახიობი ა. ქარჩავა და სხვ.

„გამარჯვების ცისარტყელა“

მამია ვარშანიძე დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და 1945 წლის შემოდგომაზე არ გაუხდია მემორის ფარაჯა, პირნათლად მოიხადა ძნედრული ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ხოლო პოეტი შალვა იოსელიანი, როგორც ბატალიონის კომისარი, მონა-წილეობდა ქერჩის ბრძოლებში და იქვე დაიღუპა 1941 წელს.

სხვებთან ერთად ჩვენი თანაქალაქელი ამ ორი პოეტის ლექსებიც ამშვენებს გამომცემლობა „ნაკადულის“ მშვენიერ კრებულს, რომელსაც „გამარჯვების ცი-სარტყელა“ ჰქვია. მასში შეუტანიათ იმ ქართველი მწერლების თითო ლექსი,

რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ დიდ სამამულო ომში.

ქვემოთხსენებული ღმრთი და არ ღმრთა მუზა; — წერს წიგნის წინასიტყვაობა-ში თ. ჯანგულაშვილი.

კრებულში წარმოდგენილია ოცდასუ-თი ქართველი პოეტი, მათ შორის 12 ველარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას;

კრებულს, რომელიც შეადგინა თ. ჯან-გულაშვილმა, ერთვის ავტორთა სურა-თები და მოკლე ბიოგრაფიული ცნობე-ბი.

კომედიის საღამო

ქობულეთის რაიონის ზუცუბნის კოლა-მეურნეობის სასოფლო კლუბში გაიმარ-თა ქართული ლექსის საღამო. იგი კომ-კავშირის აჭარის საოლქო კომიტეტმა და საქართველოს მწერალთა კავშირთან არ-ხებულმა ახალგაზრდა მწერალთა სექ-ციამ მოაწვეეს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კომპაგვირის აჭარის საოლქო კომიტე-ტის მეთორე მდივანმა შ. აბაშიძემ.

ზუცუბნელ მშრომელებს წარმატებები უსურვეს და თავიანთი ლექსები წაუ-კითხეს პოეტებმა ჯ. ქათამაძემ, ზ. გორ-გილაძემ, ც. ანთაძემ, ვ. ღლონტმა, უ. ხა-ჩიშვილმა, ზ. ფირცხალაიშვილმა, ქ. გი-ორგაძემ, ნ. მიქელაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ მწერალი ნ. მო-დეზაძე, კომპაგვირის ქობულეთის რაი-კომის მეორე მდივანი გ. ბაჭელიძე.

დასასრულ ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეებმა რ. გოგეშაშვილმა, მ. გი-გაშვილმა და ნ. ქეიშვილმა შეასრულეს ქართული და რუსული სიმღერები.

გარეკანის 1-ლ გვერდზე — შინმოუსვლელის ძეგლი ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში.

ნომერი გააფორმა ავთანდილ ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

648/98

02.14363-20
812-000033

3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИЗДАНИЕ 78118